

გიორგი გვიჩიანი სრულ გამართლებას ითხოვს
A4



შესანიშნავი შვიდეული
A6



პავიჩი საქართველოში
A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 21 მარტი, 2006 წელი. №60 (1212)

ფასი 50 თეთრი

## ახალი ბლოკი "24 საათში"




## პოლიტიკა

### "ომისა" და "მშვიდობის" პარტია ხელისუფლებაში

ის ფაქტი, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ბზარია, ეჭვს არ იწვევს. ორ სახელისუფლებო გუნდს შორის არსებული ჩუმი დაპირისპირება სულ უფრო სწრაფად იძენს საჯარო კონტურებს.

A3

## სამართალი

### შუალედური პასუხი სტრასბურგიდან

2005 წლის 10 ნოემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა მიმართეს - მათ სტრასბურგის სასამართლოს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაუგზავნეს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 21/03 | 22 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 15 |
| ტყიბული | 16 | 14 |
| სოხუმი | 17 | 15 |
| გორი | 12 | 12 |
| ონი | 10 | 7 |
| ზუგდიდი | 18 | 16 |
| სამტრედია | 18 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# გადადებული რევოლუცია

სოფო ბუკია

აქტუალური ანეკდოტი მინსკიდან: "მიღებულია შესწორება ბელარუსის კონსტიტუციაში: ბელარუსის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 50 წელს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც ბელარუსის პრეზიდენტად არაუმცირეს ორი საპრეზიდენტო ვადით მუშაობის გამოცდილება აქვს". როგორც ჩანს, ბელარუსში აღარც "ჯინსების რევოლუცია" იქნება და არც "კარტოფილის ბუნტი". გადაიდო წინასწარ დაანონსებული ტერაქტებიც, რომელთა მოწყობასაც ტერორიზმის არაბ მამებთან ერთად ქართველი პარლამენტარები გეგმავდნენ. ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ 19 მარტს გამართული 30-ათასიანი მიტინგი ბელარუსის ოპოზიციის ყველაზე დიდი გამარჯვებაა, რაც ამ საპრეზიდენტო არჩევნებს შეიძლება მოჰყოლოდა. ოპოზიციამ მაქსიმუმს მიაღწია - ბელარუსში უკვე იციან, რომ ლუკაშენკოს გარდა, ბელარუსში პოლიტიკით სხვაცაა გატაცებული. ბელარუსში საპროტესტო მიტინგები 7 საათზე იწყება, ანუ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ. იქ ხალხს დასაკარგი ბევრი აქვს - სამუშაო ადგილი. სამსახურიდან შინისკენ მიმავალ გზაზე მიტინგზე "შესეირნებით" კი რევოლუციები არ ხდება. ბელარუსი ცვლილებებისთვის მზად არ აღმოჩნდა.

ბელარუსის ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე აქვეყნებს 19 მარტის საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალურ შედეგებს, რომელთა მიხედვითაც ხმათა უმრავლესობა - 82,6 პროცენტი ალექსანდრ ლუკაშენკოს პირად ანგარიშზეა. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი ალექსანდრ მილინკევიჩი კი მხოლოდ ექვსპროცენტიან მხარდაჭერას დასჯერდა.

ოპოზიცია ლუკაშენკოს გამარჯვებას "ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებას" უწოდებს, მეორე ტურის დანიშვნას ითხოვს და ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.



30 ათასი ადამიანი აქციაზე - ოპოზიციის მთავარი შედეგი არჩევნებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვალერი გელაშვილი - საპარლამენტო უმრავლესობის სამიზნე

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტის ბიურომ მხარი დაუჭირა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრების, გიგა ბოკერიასა და რატი სამყურაშვილის მოთხოვნას, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა პარლამენტარ ვალერი გელაშვილის საკითხი შეისწავლოს. "ვეჭვობთ, რომ ვალერი გელაშვილის საქმიანობა დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელია, იგი კომერციაშია ჩართული და საკუთარ ბიზნესს ლობირებს," - აცხადებენ ბოკერია და სამყურაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე



კონტრსვლა.

# "პრავების ბუმი"

თამარ მაისურაძე

"მართვის მოწმობის საფასური არ იმატებს," - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი. მიუხედავად ამისა, საპატრულო პოლიციის შენობასთან მართვის მოწმობის აღების მსურველთა რიცხვმა ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა. ეს კი მართვის მოწმობის გაძვირებასთან დაკავშირებულმა მითქმა-მოთქმამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მოწმობის აღების მსურველებისთვის საპატრულო პოლიციის პირველი სართული საგანგებოდ მოაწყვეს, საბუთების მიღება-შევსება მაინც შენობის გარეთ ხდება.

გაგრძელება A3 გვერდზე




მართვის მოწმობის აღებისთვის რიგები დგას.

# "ლუკაშენკომ მოიგო ციფრები, მაგრამ არა არჩევნები"

*"24 საათი" გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ბელარუსის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან, პრეზიდენტობის კანდიდატის ალექსანდრ მილინკევიჩის შტაბის ხელმძღვანელთან ანატოლი ლებედკოსთან. ლებედკო აცხადებს, რომ 19 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებით ლუკაშენკომ ხელისუფლების ძალისმიერი გზით შენარჩუნების გეგმა განახორციელა. "რამდენი ხალხიც არ უნდა გამოვიდეს ქუჩაში, ის არავითარ დათმობაზე არ წავა," - დარწმუნებულია "გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის" თავმჯდომარე.*

სოფო ბუკია

- მიუხედავად ყველაფრისა, 19 მარტის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ბელარუსის უახლეს ისტორიაში. საუბარი მაქვს ხალხის რეაქციაზე. ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტოა ის, რაც დღეს მინსკის ქუჩებში ხდება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ხალხი მოვიდა 19 მარტს მოედანზე. და ეს მაშინ, როცა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ლუკაშენკოს ხელისუფლებამ ხალხს საკმაოდ სერიოზული მესიჯი გაუგზავნა. თქვენ, ალბათ, გახსოვთ სუკ-ის ხელმძღვანელის სუხორენკოს სიტყვები, რომელიც დაიმუქრა, რომ ვინც არჩევნების შემდეგ ქუჩაში გამოვა, ტერორიზმის მუხლით დაისჯებაო. ეს მუხლი სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. და თქვენ წარმოიდგინეთ, ამგვარი პოლიტიკურად შიზოფრენიული განცხადებების შემდეგ 30 ათასი ადამიანი სახლიდან გამოვიდა და ქუჩაში დადგა. ბელარუსში, ლუკაშენკოს მკაცრი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ეს უკვე თავისთავად ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. ეს იყო პირველი, ძალიან მცირე გამარჯვება არა იმდენად ოპონენტების და ოპოზიციონერების, რამდენადაც ხალხის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რატომ არის შეუძლებელი ახალი რევოლუცია

ნიკა იმნაიშვილი

"საქართველოში რევოლუციის სიო უბერავსო". მეტი სიზუსტისთვის, ყოველთვის დაამატებენ - "ახალი რევოლუციისო", რაკი წინა რევოლუციიდან ორიოდე წელია გასული.

მაგრამ, მართლა უბერავს კი? არა, ზოგიერთთა გონება კიდეც შეიძლება "იქით ქროდეს", მაგრამ ბულგაკოვისეული პროფესორის პერიფრაზით - "ქაოსი ქვეყანაში კი არა, ტვინებშია!"

როგორც უკვე ითქვა (იხ. "ანტინომენკლატურული რევოლუციები" - პოსტსაბჭოურ ელიტათა ლეგიტიმურობის კრიზისი". "24 საათი", 2005 წლის 27-28 მაისი), "მშვიდობიანი რევოლუციის" ბრენდი რამდენიმე ყოვლად აუცილებელ კომპონენტს მოიცავს, რომელთა არარსებობა "ბუკეტის" დარღვევას იწვევს და "მშვიდობიანი" რევოლუციის ნაცვლად მისი ავტორები, მათდაუნებურად, მხოლოდ 1991-1992 წლების სოდომ-გომორის ("დეკემბერ-იანვრის") მსგავს სისხლიან მარაზმს მიაღწევენ.

ეს აუცილებელი კომპონენტებია:

1) ხანგრძლივი და უაზრო მმართველობა, - საერთონაციონალური პროექტის არარსებობა ან თავდაპირველად დეკლარირებულის განხორციელების უკვე აშკარად გამოხატული უუნარობა;

2) "რბილი ავტორიტარიზმი" - "ბალანსირების პოლიტიკა", ძალაუფლების განხორციელება არა სახელმწიფო ინსტიტუტებზე, არამედ აპარატულ ინტრიგებზე და სხვადასხვა ელიტარულ ჯგუფებზე დაყრდნობით;

3) სიტყვის თავისუფლება - მნიშვნელოვანი და გავლენიანი "ყვითელი" შემადგენლით, რისი მეშვეობითაც ხდება ისედაც დასუსტებული ხელისუფლების საბოლოო "დაჩმორება", მისი დელეგიტიმაცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ პოლიტოლოგიაში ტერმინი "ლეგიტიმური" არ გამოიყენება მხოლოდ "კანონიერის" შესატყვისად. ამ კონტექსტში "ლეგიტიმური" იგივეა, რაც "არსებითი", "ძლიერი", "ქმედითი", "სერიოზული", "დასაბუთებული", "მისაღები", "რეალური".

გაგრძელება A3 გვერდზე

# აქცია მოძალადე პროკურორის წინააღმდეგ

*მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია "თრიალეთი" შიდა ქართლის ოლქის პროკურორს მიხეილ აბულაძეს დაუპირისპირდა, გორის ქუჩებში გაჩნდა პლაკატები "ქალაქში სექსუალური მანიაკია", "იძებნება მიხეილ აბულაძე". გუშინ კი გორში ახალი პლაკატებიც გამოჩნდა, ამჯერად "თრიალეთის" მფლობელის, პარლამენტარ ბადრი ნანეტაშვილის წინააღმდეგ: "ფრთხილად, პარლამენტში ტრეფიკერია", "გვაცქერინე რუსთავი 2-ს", "ბადრი! გაგვეცალე, სწრაფად, იაფად, ხარისხიანად".*

თეა თედლიაშვილი

გუშინ გორში ტელეკომპანია "თრიალეთის" ჟურნალისტებმა შიდა ქართლის ოლქის პროკურორის მიხეილ აბულაძის წინააღმდეგ აქცია გამართეს. ისინი ოლქის პროკურორს სექსუალურ ძალადობებში ადანაშაულებენ.

**"ჩვენ მოვითხოვთ მიხეილ აბულაძის დაკავებას. ის არის სექსუალური მანიაკი და მისი ადგილი ციხეშია"**, - აცხადებს "თრიალეთის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი სოფიკო რეზნიჩენკო.

"თრიალეთის" ჟურნალისტების მიერ აქციაზე გამოტანილ ყველა ტრანსპარანტში ყურადღება მიხეილ აბულაძესა და მის მიერ გამოვლენილ სექსუალურ ძალადობაზე იყო გამახვილებული. თუმცა, რატომღაც, ტრანსპარანტები ხელში პატარა ბავშვებს ეკავათ, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რა ეწერა წითელი და შავი წარწერების მქონე ტილოებზე.

გაზეთ "თრიალეთის" მთავარი რედაქტორი თინიკო ვაჩაძე აქციაზეც დაჟინებით იმეორებდა, რომ პროკურორის კაბინეტში შესვლისთანავე მას აბულაძე "ეცა" და მეორე ოთახში გასაუპატიურებლად შეიყვანა.

**"პროკურორი ეცადა, ჩემზე ძალა ეხმარა; ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად გთხოვთ, მხარში დამიდგეთ"**, - განაცხადა აქციაზე თინიკო ვაჩაძემ, რომლის ინტერვიუები დღითიდღე ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# როდის ვუშველით საბავშვო ბაღებს?

*დედაქალაქში 186 საბავშვო ბაღია, რომელთა უმრავლესობა ავარიულ შენობებშია განთავსებული - სახურავიდან წყალი წვეთავს და შეშის ღუმელებიდან გამონადენი კვამლიც ჯგუფებში გროვდება. ასეთი პრობლემები ბაღების მნიშვნელოვან ნაწილს აწუხებს. საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა და დღიური ნორმა ერთ ბავშვზე 1 ლარი და 15 თეთრით, ხოლო სოციალურად დაუცველ პატარებს ორი ლარით უზრუნველყოფს.*

ნინო ბერელიძე

ბოლო წლებში სახელმწიფოს დაფინანსებაზე არსებულ საბავშვო ბაგების რიცხვს კეთილმოწყობილი კერძო საბავშვო ბაღებიც შეემატა. კერძო საბავშვო ბაღები კი ის ფუფუნებაა, რომელზეც ხელი საზოგადოების მცირე ნაწილს თუ მიუწვდება (100 დოლარიდან ზემოთ). თუმცა, უფასო არც დანარჩენი ბაგებია და მშობლების უმრავლესობას იმ 5 ლარის გადახდაც უჭირს, რომელიც უკვე სავალდებულო გადასახადად ითვლება.

პრობლემა განსაკუთრებით მწვავე მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დგას. ლია აბესაძე 36 წლის მარტოხელა დედაა, რომელსაც ექვსი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს მისახედი. მათგან ყველაზე პატარა წლინახევრისაა. მცირეწლოვანი შვილების შენახვასაც გაჭირვებით ახერხებს. ღამის საათებში, მაშინ, როდესაც ბავშვებს უკვე სძინავთ ქალბატონი ლია სამუშაოზე მიდის, ის ჯიხურში გამყიდველად მუშაობს. **"ძალიან მიჭირს ექვსი ბავშვის რჩენა. ყველაზე ძნელი კი მაინც ის არის რომ მათ ვერავის ვუტოვებ დღე მათთან უნდა ვიყო ღამე კი ვიმუშაო. საბავშვო ბაღის გადასახადი ჩემთვის ძალიან დიდია, ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა ჩემთვის წარმოუდგენელია.** "- წუხს მარტოხელა დედა.

პრობლემების ერთიანი ჯაჭვის კონტროლი შეუძლებელი იმ ფაქტორმაც გახადა, რომ საბავშვო ბაღები ცალკეული რაიონის გამგეობების დაქვემდებარებაში გადავიდა. გასული წლის ბოლომდე კი საბავშვო ბაღებზე ზრუნვა მერიის განათლების, სპორტისა და კულტურის საქალაქო სამსახურს ევალებოდა.

საბავშვო ბაღების მოსამსახურეთა სახელფასო ანაზღაურება მიზერულია და 50 ლარიდან 100 ლარამდე მერყეობს, მაგრამ საბავშვო ბაღის გამგის თანამდებობა საკმაოდ მიმზიდველი ჩანს. ამ თანამდებობაზე მოსახვედრად კარგი ნაცნობიც საჭიროა და ფულიც, რადგან ბაღის ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით გამგედ გახდომის საფასური 500 აშშ დოლარიდან იწყება.

მარინა გაბუნია საბავშვო ბაღის ამღზრდელი: **"რამდენიმე წელია ერთ-ერთ პრესტიჟულ საბავშვო ბაღში ვმუშაობ და კარგად ვიცი საიდან რა კეთდება. ჩვენი სახელფასო ანაზღაურება იმის საშუალებას არ იძლევა, რომ გამგემ ყოველ დღე ტაქსებით იაროს სამსახურში. სამწუხაროდ, ეს ერთი ბაღის პრობლემა არ არის, მაგრამ იმედია მალე დაიწყება საბავშვო ბაღების რეფორმა და მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდება."**

# ჩინელები სამშენებლო ბიზნესში ჩაერთვებიან

გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ჩინეთის ქალაქ შანჰაის ადგილობრივი თვითმმართველობის თერთმეტკაციანი დელეგაციის წევრები მიიღო. მანამდე ჩინელთა დელეგაცია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ზაზა ბეგაშვილს შეხვდა.

ვიზიტის მიზანი ორ ქალაქს შორის ურთიერთობების გაღრმავებაა. ეს არის საპასუხო ვიზიტი თბილისის საკრებულოს დელეგაციის სამუშაო ვიზიტზე შანჰაიში, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში შედგა. იგი ასევე ითვალისწინებდა ორ ქალაქს შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

შემუშავდა საინტერესო პროექტები ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, ტურიზმის განვითარების მიზნით. ასევე დაიგეგმა სტუდენტთა გაცვლის პროგრამები. როგორც შეხვედრის დასასრულს გიგი უგულავამ განაცხადა, მისი საუბარი დელეგაციის წევრებთან ქალაქგანვითარების, ქალაქმშენებლობისა და ადგილობრივ სამშენებლო ბიზნესში ჩინური კაპიტალის მოზიდვას შეეხო. ჩინეთის დელეგაცია თბილისს 22 მარტს დატოვებს. ***მედიანიუსი***


## კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო (CRRC-Geo) ევრაზიის ფონდი
## აცხადებს კონკურსს
### შემდეგ თანამდებობაზე:

***კავკასიის კვლევითი რესურების ცენტრი-საქართველოს პროგრამის ასისტენტი.***

**ევრაზიის ფონდი** წარმოადგენს აშშ გრანტის გამცემ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა 1993წ, რათა დახმარება გაუწიოს ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს დახმარება ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში.

**CRRC** წარმოადგენს ევრაზიის ფონდისა და ნიუ-იორკის კარნეგი კორპორაციის ერთობლივ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის დონის გაუმჯობესებას ლიტერატურასა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მკვლევარებისათვის პროფესიული ტრეინინგების მოწყობის გზით

**სამუშაოს აღწერა:**

დახმარების გაწევა CRRC თანამშრომელთათვის:

- CRRC-Geo მოსახლეობის აზრის ყოველწლიური გამოკითხვის კოორდინაციაში;
- მკვლევარებთან და სტიპენდიანტებთან ურთიერთობების დამყარებაში;
- CRRC მონაცემთა ბაზების განახლებაში;
- CRRC ტრეინინგებისა და საგრანტო კონკურსის პაკეტების შერჩევასა და მომზადებაში;
- მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების მოწყობაში;
- CRRC-ის მიერ ორგანიზებული რეგიონალური კონფერენციების, სემინარების, ტრეინინგებისა და შეხვედრების ლოჯისტიკით უზრუნველყოფაში;
- ექსპერტებისათვის კონტრაქტებისა და მემორანდუმების მომზადებაში
- და სხვა დავალებების შესრულებაში

**განათლება და გამოცდილება**

- უმაღლესი განათლება, სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
- რამოდენიმე დავალების ერთდროულად შესრულების უნარი;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მაღალ დონეზე;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება.

დაინტერესების წერილი და ბიოგრაფიული მონაცემები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

**CRRC-GEO ოფისი**, თბილისი, კ. ჩოლოყაშვილის პრ. (ყოფილი ჭავჭავაძის პრ. 45) ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო ენისა და კულტურის უნივერსიტეტი, მე-3 სართ.

ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: dika@crrc.ge

სატელეფონო ზარები არ მიიღება.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 მარტი.


# ვალერი გელაშვილი - საპარლამენტო უმრავლესობის სამიზნე

პირველი გვერდიდან

ბოკერია და სამყურაშვილი თავიანთ მოსაზრებას თავად გელაშვილის გამონათქვამებით ამაგრებენ, რომელმაც თავის დროზე განაცხადა, რომ ლიტვიდან საქართველოში თავისი ბიზნესის დასაცავად ჩამოვიდა.

**"არსებობენ კონკრეტული მოწმეები, რომლებიც ვალერი გელაშვილის ბიზნეს-ინტერესებს დაადასტურებენ,"** - ამტკიცებენ სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები. ისინი ოპოზიციას იმაზეც მიანიშნებენ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ კობა ბექაური "დაუსაბუთებელი ბრალდებების გამო გადადგა".

გელაშვილის თანაფრაქციელს კახა კუკავას უკვირს, რომ ოპოზიციონერი პარლამენტარის ბიზნესმენობაზე უმრავლესობა ახლა ალაპარაკდა. **"სანამ გელაშვილი პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობას აფინანსებდა, მისაბაძი ბიზნესმენი იყო, მაგრამ როგორც კი ოპოზიციაში გადავიდა, ხელისუფლებისთვის მიუღებელი გახდა,"** - მმართველი გუნდის ორმაგ სტანდარტებზე საუბრობს კუკავა და იქვე იმასაც იხსენებს, რომ ვილნიუსში ვიზიტის დროს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვალერი გელაშვილს მადლობა გადაუხადა, რა კარგად აგიწყვია ლიტვაში ბიზნესიო.

**"უმრავლესობას ისიც დაავიწყდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთი დეპუტატის მიერ გახსნილი ლუდის ქარხნის პრეზენტაციასაც დაესწრო. ასევე დაავიწყდა, რომ მეორე დეპუტატს პამპერსების ბიზნესი აქვს. ასეთები პარლამენტში მრავლად არიან,"** - ცეზარ ჩოჩელისა და ბესო ჯუღელისკენ იშვერს ხელს კახა კუკავა. მისივე თქმით, თბილისის 84-ე საშუალო სკოლის დაწვაში ოპოზიციონერი დეპუტატის შესაძლო მონაწილეობის შესახებ თბილისის მერის მიერ გაკეთებული განცხადების წინა დღეს, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი პრეზიდენტთან აუდენციაზე იმყოფებოდნენ და "ეს სულელური განცხადებაც სწორედ ამ შეხვედრის დროს დაიგეგმა."

**"საზოგადოება არც იმდენად გულუბრყვილოა, დაიჯეროს, რომ ვალერი გელაშვილი, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და დავით ბერძენიშვილი "კანისტრებით" დარბიან და სკოლებს წვავენ. ასეთი ფანტაზია მხოლოდ ავადმყოფი ხალხის გონებაში შეიძლება წარმოიშვას,"** - აცხადებს კუკავა, რომელიც "ისტორიულ პარალელსაც" ავლებს და შენიშნავს, რომ 1934 წელს ადოლფ ჰიტლერმა, რაიხსტაგის დაწვის ბრალდებით, თავისი ოპოზიცია გაასამართლა.



*კუკავა ცდილობს, გაამართლოს გელაშვილის ბიზნეს ინტერესები.*

საპარლამენტო უმრავლესობის "ინიციატივას" "დემოკრატიული ფრონტის" მდივანი პოლიტიკურ ზეწოლად და ოპოზიციის დევნად აფასებს და "შემხვედრ ნაბიჯს" დგამს: კახა კუკავა მოითხოვს, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, გელაშვილის საქმესთან ერთად, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მაია ნადირაძის საქმიანობაც შეისწავლოს.

**"გელაშვილის საქმის წინ წამოწევა იმიტომ უნდათ, რომ ნადირაძის საკითხი მიჩქმალონ. ბეჟან გუნავამ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები დადო მაგიდაზე, მაშინ, როდესაც გელაშვილის საწინააღმდეგოდ კონკრეტული ვერაფერი სახელდება,"** - აღნიშნავს კუკავა.

საპარლამენტო უმრავლესობა თავისი ლიდერის საკითხის შესწავლას, ცხადია, მხარს არ უჭერს. **"გუნავას ნადირაძის რომელიღაც განცხადება არ მოეწონა და მასზე შურისძიება გადაწყვიტა. გუნავას გამოსვლა იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ მას თავად მისივე ფრაქცია გაემიჯნა,"** - ოპოზიციას ხურდას უბრუნებს გიგა ბოკერია.

გელაშვილის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას "ახალი მემარჯვენეები" ოპოზიციის დევნად აფასებენ და "დემოკრატიულ ფრონტს" "სოლიდარობას უცხადებენ". **"გელაშვილის საკითხის წინ წამოწევით უმრავლესობა ცდილობს, საზოგადოებისთვის აქტუალური ისეთი თემები გადაფაროს, როგორიც არის, მაგალითად, გირგვლიანის მკვლელობა, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება და სხვა,"** - ვარაუდობს მამუკა კაციტაძე.

საპარლამენტო უმრავლესობა არა მარტო "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს, არამედ მათ მიერ ინიცირებულ კანონპროექტებსაც "უტევს": პარლამენტის ბიურომ უარი თქვა, 28-31 მარტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეეტანა ოპოზიციური ფრაქციის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ფინანსური ამნისტიის გავრცელებას იმ კატეგორიის მეწარმეებზეც გულისხმობს, ვისაც შემოსავლები არ დაუმალავს, მაგრამ საურავებისა და ჯარიმების დარიცხვის გამო, დიდძალი დავალიანება დაუგროვდა. იმ მოტივით, რომ კანონპროექტს კომიტეტების უარყოფითი დასკვნები ერთვის თან, "დემფრონტს" დოკუმენტი გადასამუშავებლად უკან დაუბრუნდა.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გახმოვანდა, აგრეთვე, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფალმა დიპლომატიურ უწყებაში განახორციელა. კერძოდ, ამირან კავაძე გათავისუფლდა დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის მოვალეობისგან და შვედეთსა და ფინეთში დაინიშნა ელჩად. მის ადგილს პრეზიდენტის პრესსპიკერი გელა ჩარკვიანი დაიკავებს. საქართველოს ახალი ელჩები ეყოლება, აგრეთვე, ესპანეთში, დანიასა და ნორვეგიაში. პირენეის ნახევარკუნძულზე ჩვენი ქვეყნის დესპანი ზურაბ პოლოლიკაშვილი იქნება, დანიასა და ნორვეგიაში კი - დავით კერესელიძე.

პრეზიდენტის ამ საკადრო გადაწყვეტილებებს პარლამენტი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას, ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე დაამტკიცებს.

# "პრავების ბუმი"

პირველი გვერდიდან

სოფო ახალაია საჭესთან წლების განმავლობაში ზის, მანქანას მართავს, თუმცა მართვის მოწმობა არასდროს ჰქონია. როგორც თავად ამბობს, უმართლებდა და მოძრაობის წესებსაც იშვიათად არღვევდა. მართვის მოწმობის 600 ლარამდე გაძვირების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ მოწმობის სასწრაფოდ აღება გადააწყვეტინა. სოფო გამონაკლისი არ არის. მართვის მოწმობის აღება იმავე მიზეზით ბევრმა გადაწყვიტა და ამას სტატისტიკაც მოწმობს. საპატრულო პოლიციის უფროსის, გიორგი გრიგალაშვილის თქმით, ადრე თუ თვის განმავლობაში მართვის მოწმობის აღების მსურველი 150-170 კაცი იყო, დღეს მოწმობის აღებაზე განაცხადს 280-300 კაცი ავსებს.

მართალია, მართვის მოწმობების ფასი არ ძვირდება, თუმცა ცვლილებები კანონში სავარაუდოდ 1 აპრილიდან შევა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ეკა ტყეშელაშვილი აცხადებს, რომ **"იცვლება თავად მოწმობები, რომლებიც შვეიცარიაში, უმაღლესი ტექნოლოგიებით დამზადდება. მართვის ახალი მოწმობა ვიზუალურად კრედიტ-კარტების მსგავსი იქნება. ასევე ექნება მრავალი დამცავი მექანიზმი, რომელიც მოწმობას გაყალბებისგან დაიცავს."**

მართვის მოწმობის შეცვლა სავალდებულო არ არის. ძველი მოწმობები ძალაში 2012 წლამდე დარჩება. ფასი, მცირე განსხვავებებით, თითქმის იგივე რჩება - დღეს პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოქალაქე 29 ლარს იხდის და იღებს მოწმობას. ახალი კანონით კი, მოწმობის საფასური 5 ლარი იქნება. პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების წინ კი 25 ლარის გადახდა მოგიწევთ. იმ შემთხვევაში, თუ არ გაგიმართლათ და გამოცდაზე ხელმეორედ გახვედით, 25-ის ნაცვლად 50 ლარს გადაიხდით. ერთი სიტყვით, მეორე გამოცდიდან ყოველ მცდელობაზე 50 ლარი უნდა იხადოთ.

მოწმობის შეცვლილას მხოლოდ 5 ლარს, მოწმობის თვითღირებულებას გადაიხდით.

მათ, ვისაც საპატრულო პოლიციაში განაცხადი უკვე გააკეთეს ან გამოცდის პირველი (თეორიული) ეტაპი გაიარეს და მხოლოდ პრაქტიკული გამოცდა დარჩათ ჩასაბარებელი, ახალი წესები არც აპრილის თვეში შეეხებათ.

კანონპროექტი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერაა შემუშავებული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსში ცვლილებას შეიტანს. კანონპროექტის თანახმად, თუ მართვის მოწმობა დაკარგეთ, მის ხელმეორედ ასაღებად, ჯარიმის სახით 20 ლარის გადახდა მოგიწევთ. ამას დაემატება მოწმობის საფასური - 5 ლარი.

**"მართვის მოწმობა გაიგივებულია პასპორტთან და პირადობის მოწმობასთან. იგი ასევე გახლავთ პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი,"** - აღნიშნა ეკა ტყეშელაშვილმა.

და ბოლოს, როგორც პირველ (თეორიულ), ისე მეორე (პრაქტიკულ) გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, გამოცდაზე ხელმეორედ ჩაბარების საშუალება ერთი კვირის შემდეგ, ხოლო მესამედ გასვლის შესაძლებლობა ერთი თვის მერე გეძლევათ. რაც შეეხება გამოცდის ექსტერნად ჩაბარების მსურველებს, ანუ მათ, ვისაც ავტოსკოლაში სწავლის გარეშე სურს მართვის მოწმობის აღება, ჩაჭრის შემთხვევაში ავტოსკოლის კურსების გავლა მოუწევთ.

# უცნობი თავისუფლება

**გადაცემის სტუმარია პარლამენტარი, ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ტყემალაძე**

**ა.ე.:** ჩვენი დეპუტატები დაბრუნდნენ ბელორუსიიდან, სადაც ისინი არ შეუშვეს. დაბრუნებისას, მათ პრეზიდენტის შექებაც დაიმსახურეს. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?

**ზ.ტ.:** ერთი მხრივ, უარყოფითი მომენტია, როდესაც ბელორუსიამ სხვა ქვეყნის დამკვირვებლები და მით უმეტეს, დეპუტატები არ შეუშვა, თუმცა მეორე მხრივ, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ჩვენს წარმომადგენლებს არ შეუშვებდნენ.

**ა.ე.:** დღეს ბი-ბი-სი იუწყებოდა, რომ ბელორუსიაში წუხელ გამართულ აქციაზე, სადაც ოპოზიციის მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილი, შეიმჩნეოდა საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირის დროშები.

**ზ.ტ.:** სასიამოვნოა, როცა საქართველო ჩართულია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში.

**ა.ე.:** ბატონო ზურაბ, ჩვენი ინფორმაციით, გოგი თოფაძე აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას. რატომ მიდის და მოდის ხოლმე ეს ადამიანი ასე ხშირად?

**ზ.ტ.:** თოფაძე არც არასდროს წასულა პოლიტიკიდან. იგი წავიდა პარლამენტიდან, რადგან არის კანონმორჩილი. კანონის მიხედვით, ბიზნესმენს არ აქვს უფლება იყოს პარლამენტის წევრი. ამაში მე უარყოფითს ვერაფერს ვხედავ. წესით, ასე უნდა იქცეოდეს ყველა პოლიტიკოსი.

**ა.ე.:** ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე, რომ თქვენ გითქვამთ, თითქოს თოფაძე შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატად მოგვევლინოს.

**ზ.ტ.:** ეს იყო ჩვენი ოფისის პრეზენტაცია, როდესაც თოფაძემ განაცხადა, რომ მას თავის საწარმოში ათასობით ადამიანის და მათი ოჯახების ბედი აბარია. მაშინ მე ვურჩიე, იქნებ ოთხი მილიონი ადამიანის ბედიც ჩაებარებინა.

**ა.ე.:** საქართველოს პრეზიდენტმა ამის წინ, თავის სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ რვა წელი მსგავს რაღაცეებზე არავინ უნდა იფიქროს. ჰქონდა თუ არა უფლება პრეზიდენტს, რომ მსგავსი რამ ასე ხმამაღლა განეცხადებინა?

**ზ.ტ.:** ბ-ნ მიხეილს ალბათ აქვს თავისი მხარდამჭერების იმედი. აქედან გამომდინარე ამბობს, რომ მომავალ არჩევნებზე პრობლემები არ შეექმნება. თუ ეს ხალხის ნება იქნება, მე მივესალმები.

**ა.ე.:** ალბათ, კარგი იქნებოდა, პრეზიდენტსაც რომ მსგავსი სიტყვა ეხმარა, ანუ, თუ ხალხის ნება იქნება, სამი წლის შემდეგაც მე ვიქნები პრეზიდენტიო... თავად პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

**ზ.ტ.:** პრეზიდენტი ხშირად გამოდის ტელევიზიით. მაგრამ არა მგონია, რომ მისი გამოსვლები ადეკვატური იყოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან. ის, რომ გზები კეთდება, კარგია, მაგრამ პარალელურად ეკონომიკაც უნდა ვითარდებოდეს. მაშინ, როდესაც ქვეყანაში მეწარმეებისა და მცირე მეწარმეების გამოსვლებია, ვთვლი, რომ პრეზიდენტმა უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია. ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც მართლა მოხდა ჩვენს ქვეყანაში, მაშინ როდესაც ახალგაზრდა კაცს კლავს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ჯგუფი, ეს ხომ არ არის შემთხვევითი ფაქტი?!

## მოკლედ

### შეფერხება საინგილოს საზღვართან

არასამთავრობო ორგანიზაციას, "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრს" წარმომადგენელთა განცხადებით, დაუკავშირდნენ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს მცხოვრებლები. აღნიშნული სოფლის მოსახლეობა საქართველოდან აზერბაიჯანისკენ მიმოსვლის შეჩერებას აპროტესტებს. მათი განცხადებით, ხელისუფლება არად აგდებს მოსახლეობის პრობლემას. "უკვე ოთხი თვეა, ვერ ვუკავშირდებით ახლობლებს საინგილოში. ვართ იზოლაციაში", - აცხადებენ სოფელ სამთაწყაროს მცხოვრებლები. კახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს რაიონში, აზარბაიჯანის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების ქვეითად გადასვლა აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნით შეჩერდა. ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. რაც შეეხება, საავტომობილო მოძრაობას, ცისკარიშვილის თქმით, ქართულმა მხარემ შეზღუდვა მას მერე დააწესა, რაც შეიქმნა ხიდად გამოყენებული წყალსადენის დაზიანების საფრთხე. მისივე განცხადებით, აქ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობიდან სასმელი წყლით მარაგდება რამდენიმე ქართული სოფელი. მილსადენზე მოსახლეობამ თვითნებურად ააგო სახელდახელო ხიდი და სამანქანოდ იყენებდა. მისივე განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე ხიდის მშენებლობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზეთში სამხედრო სასწავლო წვრთნები იწყება

დღეიდან აფხაზეთში სამხედრო სასწავლო წვრთნები დაიწყება და 24 მარტამდე გასტანს. წვრთნები "სამხედრო მომზადების გეგმის ფარგლებში" ხორციელდება. ქართული მხარის პროტესტის თავიდან აცილების მიზნით, სამხედრო წვთნები იმ ტერიტორიაზე არ ჩატარდება, რომელიც რუსი სამშვიდობო ძალების კონტროლის ქვეშ იმყოფება. სწავლებისას სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნება მოყვანილი მოტომსროლელი და თავდაცვითი ბრიგადები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "კონსერვატორები" ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრებას მოითხოვენ

"საქართველოს კონსერვატიული პარტია", სამშობლოს ღალატის ბრალდებით, ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრებას და გასამართლებას მოითხოვს.

საქმე ეხება ედუარდ შევარდნაძის და ასლან აბაშიძის სატელეფონო აუდიოჩანაწერს, რომელშიც ყოფილი პრეზიდენტი აჭარის ავტონომიის ლიდერს მოუწოდებს, განაცხადოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების სათავეში მაშინდელი ოპოზიციური ძალები მოვლენ, მაშინ აჭარა დანარჩენ საქართველოს გამოეყოფა.

აღნიშნული აუდიოკასეტა გუშინ "კონსერვატიული პარტიის" ლიდერებმა კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა საგანგებო პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს და განაცხადეს, რომ სატელეფონო საუბარი 2003 წლის 2-3 ნოემბერს არის ჩაწერილი.

მათ არ დააკონკრეტეს, საიდან ჩაუვარდათ აღნიშნული კასეტა ხელში, თუმცა განაცხადეს, რომ კასეტას გენპროკურატურას გადასცემენ და იგი სამხილად აუცილებლად გამოდგება.

"მე არ ვიცი, რაზე შეთანხმდნენ მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე, თუმცა რევოლუციის შემდეგ ყოფილმა პრეზიდენტმა ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო, მაგრამ ამ შეთანხმებას არ ვცნობ და ბათილად ვაცხადებ. მოვითხოვ სამშობლოს მოღალატე ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრებას," - განაცხადა კობა დავითაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნული სატელეფონო ჩანაწერი პირდაპირ შეესაბამება 307-ე მუხლს (სახელმწიფო ღალატი) და 308-ე მუხლს - ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა.

დავითაშვილის განცხადებით, როდესაც შევარდნაძე საკუთარი სკამის გადასარჩენად ასლან აბაშიძეს სთავაზობს, რომ აჭარის საქართველოდან გამოყოფის საკითხი გააჟღეროს, თუ მისთვის არასასურველი პირები მოვლენ ხელისუფლებაში, ეს ადამიანი არ უნდა იჯდეს კრწანისის რეზიდენციაში და არ უნდა იღებდეს სახელმწიფო პენსიას.

კობა დავითაშვილი გენერალური პროკურორისგან მოითხოვს, უპირობოდ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ.

დავითაშვილის თქმით, სანამ ედუარდ შევარდნაძე არ არის დასჯილი, მანამ მისი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება უსამართლოა. "ჯერ ორგანიზატორები დაისაჯონ და მერე - შემსრულებლები," - განაცხადა კობა დავითაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

*მოკლედ*

## ხელისუფლებას რეპრესიების განხორციელებაში ადანაშაულებენ

საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ხელისუფლებას ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიების განხორციელებაში ადანაშაულებენ. როგორც გუშინ "რესპუბლიკური პარტიის" ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ირგვლივ ბოლო დღეების განმავლობაში ატეხილ სკანდალს ოპოზიცია პოლიტიკური რეპრესიების გაგრძელებად განიხილავს როგორც დეპუტატ ვალერი გელაშვილის, ისე "რესპუბლიკური პარტიის" და, მთლიანად, დემოკრატიული ოპოზიციის წინააღმდეგ. ბერძენიშვილის განცხადებით, პარლამენტში საგამოძიებო კომისია ჯერ კიდევ რვა თვის წინ უნდა შექმნილიყო და მას ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი უნდა გამოეძიებინა. მისივე თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი პარლამენტში ორჯერ იმყოფებოდა და ორივეჯერ აარიდა თავი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს. ოპოზიციის აზრით, ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, საკუთარი "უვარგისობის" გადასაფარად პოლიტიკური რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიეროს. დავით ბერძენიშვილი მოითხოვს, რომ ხელისუფლება, პირველ რიგში, მის შემადგენლობაში მყოფი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებით დაინტერესდეს. კონკრეტულად, ბერძენიშვილმა გირგვლიანის საქმის გამოძიებაზე მიანიშნა. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილი მთავარი ბრალდებულია ორგანიზებული დანაშაულის განხორციელებაში. "რესპუბლიკელთა" ლიდერის განცხადებით, ოპოზიცია ყველაფერს გააკეთებს, რომ საზოგადოებრივი აზრი გაღრმავდეს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და ხელისუფლებას არ მისცემს საშუალებას, პოლიტიკური პროცესები პარლამენტის გარეთ გაიტანოს. **ინტერპრესნიუსი**

## რუსული მხარე ქართულ დელეგაციასთან კონსტრუქციული მუშაობისთვისაა განწყობილი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტისთვის დიალოგი აუცილებელია, რუსული მხარე ქართულ დელეგაციასთან კონსტრუქციული მუშაობისთვისაა განწყობილი. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გუშინ მოსკოვში, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან შეხვედრაზე განაცხადა. კარასინმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული დელეგაცია იგრძნობს რუსული მხარის განწყობას, რომელსაც ორმხრივ ურთიერთობებში პოზიტიური ცვლილებების შეტანა სურს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, პასუხისმგებელი პოლიტიკოსების და დიპლომატების ამოცანაა, რომ ბოლო თვეებში დაგროვილი პრობლემები გადაწყვიტონ და რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ნორმალურ, პოზიტიურ კალაპოტში დააბრუნონ. "ამით ჩვენი ხალხები არიან დაინტერესებულნი," - აღნიშნა კარასინმა. თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გამოთქვა აზრი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული რთული ურთიერთობები დიალოგს მოითხოვს. "ვიმედოვნებ, რომ დიალოგი ხელს შეუწყობს ამ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც, სამწუხაროდ, ბევრია და რომლებიც კი არ წყდება, არამედ გროვდება," - დასძინა მიხეილ მაჭავარიანმა. **ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი ალასანია პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია. საქართველოს პრეზიდენტმა ირაკლი ალასანია კონფლიქტების მოგვარების დარგში საკუთარ მრჩევლად დანიშნა. ამის შესახებ განცხადება გუშინ, პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა გააკეთა. როგორც ჩარკვიანმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა საკადრო გადაწყვეტილება კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების კოორდინაციის ამაღლების მიზნით მიიღო. "ირაკლი ალასანია, ამავდროულად, იქნება პრეზიდენტის წარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში," - განაცხადა ჩარკვიანმა. მისივე თქმით, ალასანიას კომპეტენციაში შევა აფხაზეთთან დაკავშირებით აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია. ვინ დაიკავებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გამონთავისუფლებულ თანამდებობას, ჯერჯერობით უცნობია. **ინტერპრესნიუსი**

## თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია გუშინ, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მამუკა კუდავა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა. ვიზიტისას, ქართული მხარე შეხვედრებს გამართავს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონში და ეროვნული უშიშროების საბჭოში. დაგეგმილია სტუმრობა სენატში და საერთაშორისო კვლევის ცენტრში. შეხვედრების დროს მხარეები თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობასა და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე იმსჯელებენ. დელეგაცია საქართველოში 24 მარტს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

# გადადებული რევოლუცია

პირველი გვერდიდან

ოპოზიციური ბრძოლა "უკანასკნელი ევროპელი დიქტატორის" წინააღმდეგ გუშინ მინსკში ოქტომბრის მოედანზე შედგა. გუშინდელი მიტინგი, გუშინწინდელის მსგავსად, ხალხმრავალი ვერ გამოდგა. სხვადასხვა მონაცემებით, ოპოზიციის მხარდასაჭერად, მინსკის 6-გრადუსიან ყინვას 10-დან 20 ათასამდე ადამიანი უძლებს. გამორიცხული არ არის, დღეს მიტინგზე მეტი ადამიანი მივიდეს, ან სულაც - ნაკლები. ერთადერთი, რაც ბელარუსში ნამდვილად გამორიცხულია, არჩევნების შედეგების შეცვლაა. "ბატკა" გამარჯვებას ზეიმობს, მილოცვებს იღებს (ჯერჯერობით, მხოლოდ მოსკოვიდან მიულოცეს) და ევროპას ემუქრება.

გუშინ საარჩევნო გამარჯვებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ლუკაშენკომ საკუთარ ხალხს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ევროპას სერიოზულ პრობლემებს დაჰპირდა. ლუკაშენკოს რისხვა ევროპას იმ შემთხვევაში დაატყდება, თუ მინსკის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს აამოქმედებს. **"ჩვენი ეკონომიკური იზოლაცია დღეს შეუძლებელია. ბელარუსის გავლით 100 მილიონი ტონა ტვირთი გადის. ნავთობი და გაზიც არ დაგავიწყდეთ... თუ ევროკავშირს პრობლემები უნდა, ის ამ პრობლემებს მიიღებს,"** - ასეთი პასუხი გასცა ლუკაშენკომ ევროკომისიას, რომელიც ბელარუსში გამართულ არჩევნებს არადემოკრატიულს უწოდებს და მინსკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ამოქმედებას არ გამორიცხავს.

დიპლომატიური სანქციების, რომელსაც ასევე ჰპირდებიან ლუკაშენკოს, "ბატკას" არ ეშინია, რადგან ბელარუსის პრეზიდენტი, უკვე კარგა ხანია, ევროპაში პერსონა ნონ გრატად ითვლება.

კიდევ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლუკაშენკომ რუსეთზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ არჩევნების დროს მოსკოვისთვის დახმარება არ უთხოვია, რადგან ამ ქვეყანას **"თავისი პრობლემებიც ეყოფა." "არ მინდოდა, "დიდი რვიანის" სამიტის წინ რუსეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა,"** - დიდსულოვნად აღნიშნა ბელარუსის სამგზის პრეზიდენტმა.

დიდსულოვანია პრეზიდენტი ოპოზიციონერების მიმართაც. იგი არ აპირებს ცილისწამებაში მხილებული პრეზიდენტობის კანდიდატების კოზულინისა და მილინკევიჩის დაპატიმრებას. **"არ მინდა, ისინი ციხეში ისხდნენ. მე არავის ვიჭერ,"** - აშკარად იუმორის ხასიათზე იყო ლუკაშენკო.

საერთაშორისო შეფასებები, რომლებიც ბელარუსის არჩევნებს მოჰყვა, ისეთივე პროგნოზირებადი გახლავთ, როგორც თავად არჩევნების შედეგები იყო.

მსოფლიო თანამეგობრობის აზრი ორად გაიყო. ერთ მხარეზეა რუსეთი, რომელიც ბელარუსის არჩევნების დემოკრატიულობის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავს; მეორე მხარესაა დანარჩენი მსოფლიო, რომელიც ერთხმად აღიარებს, რომ ბელარუსის არჩევნებს დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

**"ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების აუცილებელ საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა,"** - განაცხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ და ბელარუსში ეუთოს სადამკვირვებლო მისიის კოორდინატორმა ელსი ჰასტინგსმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

ბელარუსში ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა გერტ არენსმა ბელარუსის სპეცსამსახურები "შიშის ატმოსფეროს შექმნაში" დაადანაშაულა. იგი მიიჩნევს, რომ არჩევნების შედეგები უნდა გასაჩივრდეს.

ბელარუსის ხელისუფლება დემოკრატიული ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა აღნიშნა, რომ **"ქვეყანაში, სადაც სიტყვის თავისუფლება იზღუდება, ნებისმიერი არჩევნები ფარსია."**

**"ბელარუსი ხალხის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ,"** - აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

**"აშშ არ ცნობს ბელარუსის არჩევნების შედეგებს და მიიჩნევს, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა "შიშის ქვეშ". ჩვენ მხარს ვუჭერთ ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნას,"** - აღნიშნულია თეთრი სახლის განცხადებაში, რომელიც გუშინ სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა.

ემმა უდვინი, ევროკომისიის ოფიციალური წარმომადგენელი: "ჩვენ ვამზადებთ იმ ადამიანთა სიას, რომლებმაც ბელარუსში არადემოკრატიული არჩევნების ჩატარება უზრუნველყო. ეს ადამიანები ევროკავშირის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ეს ბელარუსის რიგით მოქალაქეებს არ ეხება".

რუსეთის პოლიტიკური ბომონდი ბელარუსის არჩევნებით კმაყოფილია.

**"მიუხედავად უპრეცედენტო გარეშე ზეწოლისა, ბელარუსში არჩევნები მაღალ დემოკრატიულ დონეზე ჩატარდა,"** - აღნიშნა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ პეხტინმა.

რუსეთისა და ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოს სახელმწიფო მდივანი პაველ ბოროდინი: **"მესმის, რომ ლუკაშენკო ანგელოზი არ არის, მაგრამ ეს ხალხის აზრია და ძნელია, არ დაიჯერო."**

ბორის ნემცოვი: **"ის ფაქტი, რომ არჩევნების შემდეგ ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მოწმობს იმას, რომ ბელარუსში ამაყი ადამიანები არიან."**

# "ომისა" და "მშვიდობის" პარტია ხელისუფლებაში

ია ანთაძე

ის ფაქტი, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ბზარია, ეჭვს არ იწვევს. ორ სახელისუფლებო გუნდს შორის არსებული ჩუმი დაპირისპირება სულ უფრო სწრაფად იძენს საჯარო კონტურებს. თუ თავს მოვუყრით იმ ინფორმაციას, რაც ყოველდღიურად ოფიციალური არხებით ვრცელდება და იმ არაოფიციალურ ცნობებსაც, რომლებიც ზუსტად ეწერება ერთიან კონტექსტში, შეგვიძლია, სავარაუდოდ განვსაზღვროთ ორივე გუნდის ლიდერი და ზოგადი სახე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ორივე სახელისუფლებო გუნდის ლიდერი ძალოვანი მინისტრია. ეს ბუნებრივიც არის, რადგან, ტრადიციულად, საქართველოში ძალაუფლების დიდი ნაწილი სწორედ ძალოვანი მინისტრების ხელშია თავმოყრილი. ერთ გუნდს ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, მეორე გუნდს კი - შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი. პირველი გუნდი გაცილებით "დახურულია", ვიდრე მეორე; ამიტომ, საზოგადოებამ უფრო მეტი იცის ვანო მერაბიშვილის, მისი თანამოაზრეებისა და გავლენის სფეროების შესახებ. ალბათ, ამიტომაც, შინაგან საქმეთა მინისტრის ციხე-სიმაგრე სულ ორიოდე თვის წინ უძლეველი ჩანდა.

დავიწყოთ სწორედ ვანო მერაბიშვილით: იგი აკონტროლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელშიც, იმავდროულად, გაერთიანებულია ყოფილი უშიშროების სამინისტროს ფუნქციები და კადრები. ამ გუნდის ორი ძლიერი საყრდენია გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა. ვანო მერაბიშვილის გავლენა ვრცელდება, ერთი მხრივ, ენერგეტიკის სფეროზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა ზამთრის ენერგეტიკული კრიზისისას და, მეორე მხრივ, ციხეებზე, რომლებსაც ბაჩო ახალაია მართავს. საპარლამენტო უმრავლესობიდან ვანო მერაბიშვილის გუნდის წევრები არიან გიგა ბოკერია, მაია ნადირაძე, ნინო კალანდაძე, ნიკა გვარამია; სავარაუდოდ, გივი თარგამაძე და ნიკა რურუაც.

ირაკლი ოქრუაშვილის გავლენა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვრცელდება საფინანსო პოლიციაზე, რადგან მისი ხელმძღვანელი - დავით კეზერაშვილი - ოქრუაშვილის გუნდის წევრია. თავდაცვის მინისტრის პოზიციებს აძლიერებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი არველაძეც. ამ გუნდის წევრია, აგრეთვე, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი - მთელი ადგილობრივი რესურსით. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხილული გავლენა ამით იწურება, მაგრამ ძნელი სათქმელია, რეალურად კიდევ რა სფეროებს სწვდება ირაკლი ოქრუაშვილის მძიმე ხელი. საპარლამენტო უმრავლესობაში კი ამ გუნდს მრავალრიცხოვანი შემადგენლობა ჰყავს: დავით კირკიტაძე, მიხეილ მაჭავარიანი, ნოდარ გრიგალაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, ელენე თევდორაძე, ალექსანდრე შალამბერიძე. ამბობენ, რომ პირადად ირაკლი ოქრუაშვილს ნორმალური ურთიერთობა აქვს რესპუბლიკურ პარტიასთან და სწორედ ამის გამო გახდა იგი იძულებული, მკაცრი განცხადებით გამიჯვნოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

ირაკლი ოქრუაშვილის გუნდს, პირობითად, შეგვიძლია "ომის პარტია" ვუწოდოთ, ვანო მერაბიშვილის გუნდს კი - "მშვიდობის პარტია". ეს არ ნიშნავს, რომ ოქრუაშვილი დღედაღამ ომის დაწყებაზე ოცნებობს, ხოლო მერაბიშვილი ცივცინათელების მწყემსვით არის დაკავებული. უბრალოდ, ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი გუნდის გავლენა გაცილებით იზრდება ომის და, ვთქვათ, ომისათვის მზადების პირობებში; ხოლო ვანო მერაბიშვილისა და მისი გუნდის გავლენა მაღალი ხარისხისაა სწორედ მშვიდობიანობის პერიოდში.

ორივე გუნდს სჭირდება საინფორმაციო უზრუნველყოფა და ეს ამოცანა გასული ორი წლის განმავლობაში მეტნაკლები წარმატებით გადაიჭრა. საზოგადოებრივი მაუწყებლობა "მეგობრობს" ვანო მერაბიშვილთან და მის თანამოაზრეებთან, ხოლო ტელეკომპანია "იმედი" - ირაკლი ოქრუაშვილის გუნდთან. ამით აიხსნება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს სთავაზობს ჩაღრმავებულ მასალებს ჯარის თემაზე, ხოლო პროგრამა "დროება" ზედიზედ აქვეყნებს ჟურნალისტურ გამოძიებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე. ამითვე აიხსნება ერთი შეხედვით უცნაური ფაქტი, რომ "დროებაში" დაიბლოკა სიუჟეტი დავით კეზერაშვილზე და, სამაგიეროდ, გამომზეურდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველაზე ბნელი კუნჭულები. თავის მხრივ, "რუსთავი 2" დაბეჯითებით ცდილობს, ბალანსი დაიცვას და არც ერთ გუნდს არ აწყენინოს; თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი მფლობელი - ქიბარ ხალვაში - ირაკლი ოქრუაშვილის პირადი მეგობარია.

საქართველოს პრეზიდენტიც, ჯერჯერობით, ბალანსის შენარჩუნების პრინციპით მოქმედებს. სავარაუდოდ, მერაბიშვილი სწორედ იმიტომ აღმოჩნდა "ძალიან მაგარი მინისტრი", რომ მისი მოხსნა ძალთა ბალანსს მთლიანად დაარღვევდა. მაგრამ არ არის გამორიცხული მინისტრის ნებაყოფლობით გადადგომა. მით უმეტეს, რომ ამაზე, საზოგადოებასთან ერთად, ოქრუაშვილის გუნდიც იზრუნებს.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით*

*თვალსაზრისი*

# რატომ არის შეუძლებელი ახალი რევოლუცია

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

ჭეშმარიტად საბრალონი არიან, ვისაც ჰგონია, თითქოს ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან "გაუვათ" ის, რაც შევარდნაძის საწყალობელ ხელისუფლებასთან "გადიოდა".

საქმე აქ მხოლოდ ის როდია, რომ "კობას", "შალიკოს" ან "ჯონდოს" ქარიზმა ვერ შეედრება "მიშას" ქარიზმას. მთავარი სხვაა - "მიშას" ჰქონდა მკაფიო საერთონაციონალური პროექტი, რომელიც მან ქვეყანას შესთავაზა შევარდნაძის დევალვირებული, გაკოტრებული, გასაწყლებული მმართველობის ალტერნატივად.

დღევანდელი "მრავალფეროვანი" ოპოზიცია კი რას სთავაზობს ქვეყანას? ან რა პროექტი გააჩნია ალტერნატივად?

■ ■ ■

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მომენტიც: საერთონაციონალური პროექტის ლეგიტიმურობისათვის (მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში ეს იყო ქვეყნის ყოველმხრივი მოდერნიზაცია) სულაც არ არის აუცილებელი, მას მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებდეს. უმრავლესობას შეიძლება იგი სულაც არ ეპიტნავებოდეს, თავის შეწუხება არ უნდოდეს, ბრძოლა და შრომა ეზარებოდეს, მრავალგვარი მსხვერპლის გაღების ეშინოდეს, გაჭირვების ატანა არ სურდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხს "უმრავლესობა - უმცირესობა" კი არ წყვეტს, არამედ პროექტის არსი, მისი ლეგიტიმურობა, მის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრების "უხერხულობა" (აბა ვინ ამოიღებს ხმას ქვეყნის მოდერნიზაციის საწინააღმდეგოდ?!) და არსებული, "ძველი" პროექტის დევალვირებულობის დონე. სწორედ ამიტომ და ამის ხარჯზე ახერხებს პასსიონარული უმცირესობა ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლას "ხავერდოვანი რევოლუციის" დროს.

■ ■ ■

"იმავე მდინარეში" მეორედ შესვლის მოსურნეთ კი არაფრით არ სურთ გაიგონ, რომ სოციალურო მოტივაციების, მიზეზ-შედეგობრიობის და ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ფაქტორების ის უნიკალური კონფიგურაცია, რომელიც საქართველოში არსებობდა 2003 წლის ნოემბრისათვის, - დღეს არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს! მაშინ სისხლი არ დაიღვარა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება საბოლოოდ და შეუქცევადად დელეგიმიტიზებული იყო. ლეგიტიმური (თუნდაც დიდწილად უკვე არაპოპულარული - ამ ორ ცნებას ერთმანეთში ნუ ავურევთ) ხელისუფლების შეცვლის მცდელობა კი უეჭველად (უეჭველად!!!), გამოიწვევს საზარელ სისხლისღვრასა და სამოქალაქო ომს.

რაც შეეხება "პოპულარობას" - აქ უკვე კონკრეტულ სოციალურ მოტივაციათა სფეროში გადავდივართ, მაგრამ ეს მოტივაციები სულაც არ არის ისეთ პირდაპირ და განუყრელ კავშირში "ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან", როგორც ზოგიერთებს ეჩვენებათ. ხელისუფლება შეიძლება იყოს ძალზე არაპოპულარული, რადგან ატარებდეს არაპოპულარულ, მტკივნეულ რეფორმებს, შეიძლება ამ რეფორმებით გატანჯული მოსახლეობა ტკივილით კვნესოდეს, ტიროდეს, მოთქვამდეს, ხელისუფლებას წყევლა-კრულვას უგზავნიდეს, მაგრამ ხელისუფლება მაინც ლეგიტიმურად რჩებოდეს მანამ, სანამ გააჩნია ლეგიტიმური საერთონაციონალური პროექტი.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, სასურველია(!) საერთონაციონალურ პროექტს მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებდეს, მაგრამ აუცილებელი(!) ეს სულაც არ არის - არსებითია, მის სერიოზულობას (სწორედ ამ აზრით ლეგიტიმურობას) ელიტა, ისტებლიშმენტი აღიარებდეს. თანაც, "აღიარებდეს" არ არის იგივე, რაც "იზიარებდეს".

■ ■ ■

სოციალური მოტივაციის თვალსაზრისით: 2003 წლის 22 ნოემბერს, თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ასი ათასიანი მიტინგის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ სწორედ ის "წვრილი მოვაჭრეები", რომელთაც შევარდნაძე არ უშლიდა კონტრაბანდით ვაჭრობას და (ანუ) ქვეყნის ეკონომიკის ნგრევას. ამის მიუხედავად, იგი მაინც სძულდათ და ეზიზღებოდათ.

რასაკვირველია, მათთვის რომ მაშინ ვინმეს ეთქვა, ახალი ხელისუფლება ქვეყანაში საბიუჯეტო-ფინანსური ვითარების გასაუმჯობესებლად და კონტრაბანდის აღსაკვეთად (რაც ეკონომიკის განვითარების ყოვლად აუცილებელი პირობაა) "სალარო აპარატების გამოყენებას" მოგთხოვთო - ისინი იმ მიტინგებში მონაწილეობას ნამდვილად აღარ მიიღებდნენ. მაგრამ საბედნიეროდ, მაშინ ვერ მიხვდნენ, რომ რევოლუცია არა მხოლოდ საძულველი, ყოველმხრივ მოყირჭებული შევარდნაძის მოშორებას ნიშნავდა, არამედ ქვეყანაში ელემენტარული წესრიგის დამყარებასაც გულისხმობდა.

იმავე მიტინგის მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენდნენ სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლები, "ძველი ისტებლიშმენტის" ნამუსრევნი, რომლებიც 40 ლარიან ხელფასზე სამსახურში ყავის სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ და შევარდნაძე თავდავიწყებით სძულდათ. საბედნიეროდ, ისინი მაშინ ვერ მიხვდნენ, რომ რევოლუცია "კადრების ოპტიმიზაციას" და სახელმწიფო დაწესებულებებიდან უსაქმური უმრავლესობის გაპანღურებასაც ნიშნავდა.

"კოლეჯის სტუდენტებისთვის" მაშინ რომ ვინმეს ეთქვა, საერთონაციონალური გამოცდების ჩაბარება მოგიწევთო, - არა მგონია ენთუზიაზმი შეენარჩუნებინათ. ისევე, როგორც ელექტროენერგიის არგადამხდელი მომხმარებლები, ერგნეთის ბაზრობაზე თუ სხვა "ბაზრობებზე" მოქმედი ათეულობით ათასი (!) "მიკრობიზნესმენი" და ასე შემდეგ.

ამგვარ სეგმენტთა ჩამოთვლა კიდევ დიდხანს შეიძლება. დღეს ისინი უაღრესად უკმაყოფილონი არიან "შედეგით" და შეიძლება მწარედ ნანობდნენ კიდეც, მაგრამ ამით უკვე აღარაფერი შეიცვლება - არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლეგიტიმურ (ძლიერ) ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებენ, არამედ ისინი (მასაში - როგორც ვხედავთ) საერთოდ არ გამოდიან მიტინგებზე - მათ მიერ მხარდაჭერილი რევოლუციიდან ორიოდე წლის შემდეგ. მთავარი მიზეზი გასაგებია: ძალიან ძნელია (საქვეყნოდ) აღიარონ ის, რაშიც საკუთარ თავს უკვე უტყდებიან.

■ ■ ■

რაც შეეხება "გახმაურებულ მკვლელობებს" - იყო ღონღაძის მკვლელობა უკრაინაში, კუჩმას უკვე დელეგიტიმიზებული ხელისუფლების დროს; სანაიას მკვლელობა საქართველოში - შევარდნაძის ასევე უკვე "დაჩმორებული" მმართველობის პერიოდში.

ლეგიტიმური ხელისუფლების პირობებში კი, ამგვარი არგუმენტებით, "რევოლუციური ტალღის" აგორება ვერ მოხერხდება და ვერც ხერხდება - როგორც ვხედავთ.

რასაკვირველია, ამგვარი "ორმაგი სტანდარტი" ბევრს აღიზიანებს, მაგრამ არანაკლებ ღიზიანდებოდა ალბათ საბრალო "ხარი", როდესაც იუპიტერისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჩნევდა.

აქვე: დღეს ისიც დადასტურდა, რამდენად ბრიყვული იყო წარმოდგენა, თითქოს "ტელევიზიას შეუძლია რევოლუციის მოწყობა". სინამდვილეში, ტელევიზიას რევოლუციის მოწყობა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება უკვე დიდწილად დელეგიტიმიზებული და გაკოტრებულია. ლეგიტიმურ ხელისუფლებას კი, ნურას უკაცრავად - ტელევიზია ასე იოლად და უცბად ვერაფერს დააკლებს.

■ ■ ■

ლეგიტიმურ ხელისუფლებაში ინსტიტუციური "ნგრევის" პროცესებიც არ მიმდინარეობს. მაგრამ არა იმიტომ, თითქოს ბიუროკრატიის არსი შეიცვალა. ბიუროკრატია ყველა დროში თითქმის ერთნაირია. შევარდნაძის ბიუროკრატიამ დროულად "იყნოსა" საფრთხე და "ალტერნატიულ ნავში" გადახტა. დღეს არ ხტება. ოღონდ არ იმიტომ, რომ არ ეშინია - უბრალოდ, სხვა ნავი (ალტერნატივა, ალტერნატიული პროექტი) ჯერ არ არსებობს, ხოლო საფრთხე იმოდენა არ არის, პირდაპირ წყალში ისკუპოს.

■ ■ ■

ზემოთთქმული სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ამჟამინდელი ხელისუფლების ლეგიტიმურობა მარადიული და შეუცვლელი მოცემულობაა. ბუნებრივია, ბევრი მოლოდინი არ გამართლდა, არის იმედგაცრუებაც, ამდენად იწყება "საერთონაციონალური პროექტის" თანდათანობითი ცვეთის ძალზე საშიში პროცესიც. მაგრამ იმ სტადიაზე მისვლას, რომელზეც მისი მისვლა შევარდნაძემ დაუშვა, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

ვიმედოვნოთ, დღევანდელ, ქმედით და ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეყოფა არა იმდენად და არა მხოლოდ ინტელექტი, რამდენადაც პოლიტიკური ნება და პასუხისმგებლობა, ჩამოაყალიბოს ხელისუფლებათა ცვლის ქმედითი მექანიზმი, რათა ქვეყანა გამოვიდეს "რევოლუციიდან - რევოლუციამდე" ცხოვრების მანკიერი ციკლური პერიოდიდან.

ამისთვის კი, ყოვლად აუცილებელი იქნება იმგვარი სისტემის შექმნა, როდესაც არჩევნებში მხოლოდ ერთი "ზელირებულებების" მატარებელი (თუმცა, პოლიტიკური პროგრამებით განსხვავებული) პოლიტიკური ძალები მიიღებენ მონაწილეობას და შეუძლებელი გახდება არჩევნებით სახელმწიფო-სტრატეგიული კურსის შეცვლა, როგორც ეს აბსოლუტურად შეუძლებელია დასავლეთის "კონსოლიდირებულ დემოკრატიებში".

არ ვიცი, რამდენად დაუშვებს ამას, მთლიანობაში, თანამედროვე ქართული "პოლიტოკრატია", მაგრამ ჩემი აზრით, რამდენიმე წლის შემდეგ, სავსებით მიზანშეწონილი იქნებოდა, ორპარტიულობის დაკანონების კონსტიტუციური მექანიზმების შემუშავება (დიდი პირობითობით "მიშას პარტია" და "ნინოს პარტია"), საარჩევნო ციკლების 4-5 წლიდან - 3-4 წლამდე შემცირება და 2014-2015 წლისათვის საპარლამენტო (ალბათ უფრო ისრაელის) მოდელზე გადასვლისათვის პირობათა შემზადება.

# "ლუკაშენკომ მოიგო ციფრები, მაგრამ არა არჩევნები"



პირველი გვერდიდან

**- თუმცა, ეს "მცირე გამარჯვება" არჩევნების რეალურ სურათს ვერ ცვლის...**

- მოდით, ნუ ვიჩქარებთ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. როგორც გითხარით, ბელარუსში ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენცია შეინიშნება. თუ 19 მარტს მიტინგზე 30 ათასი ადამიანი მოვიდა, შესაძლოა, დღეს უფრო მეტი მოვიდეს, ხვალ კიდევ უფრო მეტი... ასეთ შემთხვევაში ლუკაშენკოს ხელისუფლებასაც კი სერიოზულად დაფიქრება მოუწევს.

**- და რა შეიძლება მოიფიქროს ლუკაშენკომ?**

- ლუკაშენკოს რეჟიმს ძალიან მწირი არჩევანი აქვს. ამ ხელისუფლებას მხოლოდ ერთადერთი რამ შეუძლია - ნებისმიერი პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტა. ამ კუთხით ლუკაშენკომ არნახულ წარმატებებს მიაღწია...

**- ანუ, შეიძლება მინსკში სისხლი დაიღვაროს?**

- იმედი მაქვს, სისხლისღვრამდე საქმე არავითარ შემთხვევაში არ მივა. ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით. აქ საკმაოდ არაპროგნოზირებადი სიტუაციაა.

**- ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ფაქტია, რომ ლუკაშენკო კიდევ ხუთი წელი ბელარუსის პრეზიდენტი იქნება. ოპოზიცია რას აპირებს? ქვეყანაში დარჩენის ხომ არ გეშინიათ? რამდენად უსაფრთხო იქნება ოპოზიციური საქმიანობა და რა გეგმები გაქვთ?**

- რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს არჩევნები, 19 მარტის შემდეგ ბელარუსში თვისობრივად სხვა ვითარება იქნება. ხალხმა კარგად დაინახა, რომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებს სიტყვა "სამართლიანთან" არავითარი კავშირი არა აქვს. ხალხს არჩევნების არ სჯერა. ხალხის უმრავლესობას არ სჯერა, რომ ლუკაშენკო სამართლიანად აირჩიეს. მთელი თავისი მმართველობის პერიოდში ლუკაშენკოს არასოდეს ჰქონია ქვეყნის შიგნით დელეგიტიმიზაციის ასეთი მაღალი ხარისხი. ეს ფაქტი ჩვენ - ლუკაშენკოს ოპონენტებსაც სხვა ხარისხში გვაყენებს. დღევანდელი რეალობა ოპოზიციას მოქმედების სხვა პირობებს კარნახობს. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგი გაჩერება ხუთი წლის შემდეგ არ იქნება. ყველაფერი გაცილებით უფრო ადრე მოხდება. შეიძლება, ახლა, შეიძლება - ნახევარი წლის შემდეგ, ან ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაგვჭირდება ხუთწლიანი ლოდინი. ამაში, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ.

**- თქვენთვის არ არის ხელმისაწვდომი პრესა, ოპოზიციური აზრი არ ისმის პარლამენტში... ასეთ პირობებში რა გაძლევთ იმედს, რომ ხუთწლიანი ლოდინი არ დაგჭირდებათ?**

- ლუკაშენკომ მოიგო ციფრები, მაგრამ არა არჩევნები. მან ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან საჩუქრად მიიღო ის ციფრები, რომლებიც უნდოდა. მაგრამ ეს არ არის გამარჯვება და ეს არ ნიშნავს უმრავლესობის მხარდაჭერას. ამ საარჩევნო კამპანიის შემდეგ ლუკაშენკოს ელექტორატის რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

იცით რა, საბჭოთა კავშირის დროს დისიდენტებს არც პრესა ჰქონდათ და არც პარლამენტი, მაგრამ ინგრეოდა იმპერიები...

დღეს ბელარუსი, საბედნიეროდ, ძალიან დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე. ჩვენ ევროპის შუაგულში ვართ. დიახ, ჩვენ არა გვაქვს ტელევიზია, მაგრამ დავდივართ ბინიდან ბინაში; მართალია, ჩვენ არ გვაქვს გაზეთი, მაგრამ იატაკქვეშა პრესას დავბეჭდავთ. შეუძლებელია ქვეყნის საზღვრები გადაკეტონ. ყოველწლიურად ბელარუსის 30 ათასი მოქალაქე ევროპულ ვიზას იღებს. ისინი ჩადიან სხვა ქვეყნებში და ხედავენ, რომ ბელარუსი უკეთესის ღირსია. თქვენ ფიქრობთ, ხალხი ვერ ხედავს იმას, რომ 73 ათასწევრიან საარჩევნო კომისიაში მხოლოდ ერთია ოპოზიციონერი? ასეთი არჩევნების შედეგები როგორ უნდა ირწმუნონ?

**- რამდენად გრძნობს ბელარუსის ოპოზიცია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას? იქნებ, მსოფლიომ არასათანადოდ შეაფასა "ევროპის უკანასკნელი დიქტატორის" შესაძლებლობები და 19 მარტის არჩევნების შედეგებიც ამის ბრალია?**

- არჩევნების პერიოდში ბელარუსის მიმართ ყურადღება გაიზარდა. იმედი გვაქვს, რომ ეს შეუქცევადი ტენდენციაა. ეს ყურადღება ბელარუსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ცხადია, საბოლოო ჯამში საკუთარი ბედი ბელარუსმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და ამისთვის აქტიურად ვიბრძოლებთ, რომ ბელარუსის საკითხი ევროპული დღის წესრიგის თავში მოექცეს. მე ჩემს თავს პოლიტიკური ოპტიმიზმის ლიდერს ვუწოდებ. საარჩევნო კამპანიის დასაწყისში ჩვენ აბსოლუტურ უმცირესობაში ვიყავით. დღეს კი, თქვენ ნახეთ, ალბათ, 19 მარტს მინსკის ცენტრში გადაღებული კადრები... და ეს იმ წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში, რომელიც ლუკაშენკოს რეჟიმმა გაიმეტა. გარწმუნებთ, მსგავსი ცინიკური და უსინდისო კამპანია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპის არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ეს კამპანია მაინც არ წავიდა ისე, როგორც ეს ბელარუსის წითელ სახლში იყო დაგეგმილი. ჩვენ შეუძლებელი შევძელით. ამ კამპანიამ ძალიან ბევრი პოზიტიური ტენდენცია გამოავლინა. განსაკუთრებით საინტერესოა ხალხის რეაქცია. იმ წინასაარჩევნო შეხვედრების დროს, რის საშუალებასაც ხელისუფლება გვაძლევდა, ხალხმა კანდიდატებთან ურთიერთობის დიდი ინტერესი გამოავლინა. ხალხი ჩვენ გვისმენდა. ხალხისთვის სულ ერთი არ არის, რას ამბობს ოპოზიცია. ბელარუსი ხალხი პოლიტიკით დაინტერესდა. თქვენ იცით, ეს რა არის? ამაზე მნიშვნელოვან შედეგს ეს არჩევნები ვერაფერს მოიტანდა.

**- არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ, ალბათ, სიურპრიზები არ იქნება... თქვენი პროგნოზით, რა შეიცვლება ბელარუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ლუკაშენკოს პრეზიდენტობის მესამე ვადაში?**

- ჩემი პროგნოზი ასეთია: პირველი, ქვეყანაში საგრძნობლად გაიზრდება პოლიტიკური აქტივობა. მეორე, როგორც ევროკავშირი, ისე რუსეთი გაცილებით უფრო გააქტიურდება ბელარუსში. ბრიუსელიც და მოსკოვიც აუცილებლად შეიმუშავებენ ბელარუსში შემდგომი მოქმედების საკუთარ გეგმას. ცხადია, მოტივები მათ განსხვავებული ექნებათ. ევროკავშირს პროგნოზირებადი და დემოკრატიული ბელარუსი სჭირდება. რაც შეეხება რუსეთს, კრემლი ბელარუსში სტატუს კვოს შენარჩუნების მომხრეა. ამასთან, კრემლი ძალიან დაინტერესებულია, რომ ლუკაშენკომ არჩევნებში რაც შეიძლება დიდი და უხეში დარღვევების შედეგად გაიმარჯვოს. ასეთ შემთხვევაში, ლუკაშენკო, როგორც სუსტი მმართველი, იძულებული იქნება, ლეგიტიმურობა სადმე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოძებნოს და, სავარაუდოდ, ეს იქნება აღმოსავლეთის მიმართულებით. შემდეგ რუსეთი აუცილებლად დაიწყებს ბელარუსში პოლიტიკური ინფრასტრუქტურის ინვესტირებას... დაინტერესდება პოლიტიკურ პარტიებით, არასამთავრობო ორგანიზაციებით... ეს მხოლოდ ერთი რამის მანიშნებელია: ძალიან მალე კრემლი ბელარუსი იანუკოვიჩის გამოზრდის პროცესს დაიწყებს.

ყველა შემთხვევაში შიდა ფაქტორი მაინც გადამწყვეტია. ნებისმიერი მცდელობა იმისა, რომ ბელარუსში გარეშე ძალებმა შიდა სიტუაცია შეცვალონ, ხელს შეუწყობს მოვლენების შემდგომ განვითარებას. ეს ბელარუსში პოლიტიკური სიტუაციის კვანძის გახსნაზე და ლუკაშენკოს წასვლაზე იმუშავებს.

მოკლედ

## ჯარიმა საქალაქო სამსახურის უფროსს

სახალხო დამცველმა თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს ნიკა ჩხაიძეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეუდგინა. საქმე ისაა, რომ 2006 წლის 9 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს ნიკა ჩხაიძეს წერილით მიმართა, გადაუგზავნა მას ტერიტორიული ნახაზი და მოითხოვა, ეცნობებინა, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ნახაზი ოფიციალურ დოკუმენტს და იყო თუ არა შედგენილი მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის მიერ. სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის" 23-ე მუხლის თანახმად, მასალები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში, დადგენილი ვადის ამოწურვისა და არაერთი შეხსენების მიუხედავად, ნიკა ჩხაიძემ არ უპასუხა სახალხო დამცველის აპარატს, რითაც დაარღვია ორგანული კანონი; შესაბამისად, არ შეასრულა სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა, რაც იწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734 მუხლით გათვალისწინებულ პასუხიმგებლობას - სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გულისხმობს და იწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე. კანონის თანახმად, ოქმი გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში სისრულეში მოსაყვანად.

*24 საათი*

## აღმოჩენილი "ამონალი" გაუვნებელყოფილია

ფოთში, მე-7 კილომეტრზე ხიდის აღდგენითი სამუშაოების დროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის თანამშრომლებმა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება "ამონალი" აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერების წონა 35 კილოგრამს შეადგენდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაციების ცენტრის უფროსი მამუკა თოიძე განმარტავს, მდინარე რიონზე არსებულ ხიდთან ასაფეთქებელი ნივთიერება ორ ადგილზე იყო დამონტაჟებული. ნივთიერება, აფეთქების შემთხვევაში, დააზიანებდა არა მარტო ხიდს, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიებს, რასაც მოჰყვებოდა მასშტაბური ნგრევა. ორ ადგილას დამონტაჟებული 15 და 20-კილოგრამიანი ასაფეთქებელი ნივთიერება ერთმანეთისგან სამი მეტრით იყო დაშორებული. თოიძის თქმითვე, ასაფეთქებელი ნივთიერება საკმაოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზე იყო დამონტაჟებული. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ის მოძველებული იყო. **"დეტონატორის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს ნივთიერება ორი წლის წინ, სავარაუდოდ, ასლან აბაშიძის რეჟიმის პერიოდში უნდა იყოს დამონტაჟებული",** - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერება გაუვნებელყოფილია. **24 საათი**

## ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები სამტრედიაში

სახალხო დამცველის აპარატმა სამტრედიაში 15 მარტს გარემოვაჭრეების მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები გამოავლინა. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, არსებობს ვარაუდი, რომ სამტრედიის ადგილობრივი ხელისუფლების არაპირდაპირი ჩარევით მოხდა მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უფლების ხელყოფა. შედეგად, მოქალაქეებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს თბილისში მიმდინარე მიტინგში და ვერ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია.

2006 წლის 15 მარტს სამტრედიაში ე.წ. "ბონგის ბაზრობის" მოვაჭრეებმა სალარო აპარატების სავალდებულო შემოღებასთან დაკავშირებით ადგილობრივი გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილენი თბილისში გამგზავრებას და პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციასთან შეერთებას აპირებდნენ. მოვაჭრეები წინასწარ შეუთანხმდნენ ავტობუსის მძღოლს, მაგრამ მას ავტოპარკის ხელმძღვანელობამ თბილისში გასამგზავრებლად აუცილებელი დოკუმენტაცია არ გაუფორმა. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია აქციის მონაწილეთა აღშფოთება, რასაც შემდეგ სამანქანო გზის გადაკეტვა მოჰყვა.

2006 წლის 16 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონულმა წარმომადგენელმა იმერეთში თეონა კუჭავამ სამტრედიის შს რაიონულ განყოფილებაში აქციის მონაწილე ნინო შენგელიას დაკავების ოქმი შეისწავლა. მას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ჯგუფურ ორგანიზებას ან მასში აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა დაკავებულს საავადმყოფოშიც მიაკითხა. შენგელიამ პირად საუბარში განაცხადა, რომ მას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია აქციის ორგანიზებაში - ის მხოლოდ რიგითი მონაწილე იყო. **24 საათი**

## ფარულად გადაღებული ვიდეოკადრები და ფოტოსურათები

ქალაქ გალსა და გალის მიმდებარე რამდენიმე სოფელში ფარულად გადაღებული ვიდეოკადრები და ფოტოსურათები გავრცელდა. ფოტოსურათებზე ასახულია რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და სხვა სამხედრო პირების ქმედებები გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებსა და ქალაქ გალში; კერძოდ, რუსი სამშვიდობოები სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე სხვადასხვა დანიშნულების დანადგარებს, ძირითადად, სათვალთვალო მოწყობილობებს ამონტაჟებენ. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იუწყება, მათ შორის არის, ასევე, საზენიტო დანადგარები. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მიზნით ხდება ამ დანადგარებისა და სათვალთვალო მოწყობილობების დამონტაჟება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს პირები რუსეთის სამშვიდო ძალების ფორმებში არიან გამოწყობილები. **ინტერპრესნიუსი**

## წიგნები იუსტიციის სამინისტროს ბიბლიოთეკას

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიბლიოთეკისთვის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა შეიძინა.

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის რუსუდან ტუშურის ინფორმაციით, სამინისტროს ბიბლიოთეკისთვის საჭირო ლიტერატურის სია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტებმა წარუდგინეს.

70-მდე დასახელების წიგნს შორის არის ლიტერატურა საერთაშორისო და ქართული სამართლის შესახებ, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები, სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სამართალი, ლექსიკონები და კანონების კომენტარები. **24 საათი**

## საზღვრის დამრღვევი ავტომანქანის მისაბმელში

საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით, რეგიონული სამმართველოს "აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში", ალჟირის მოქალაქე ქემალ ბელგუინი დააკავეს.

45 წლის ალჟირელი თურქეთის სახელმწიფონომრიანი სატვირთო ავტომობილის მისაბმელში იმალებოდა. იგი ამ დროისთვის საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონულ სამმართველოში იმყოფება.

დაკავებულის განცხადებით, მან საქართველოში სირიისა და თურქეთის გავლით შემოაღწია, საქართველოდან კი იგი გამგზავრებას ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ფინეთში გეგმავდა. დაკავებულს ჩხრეკისას მხოლოდ პასპორტი აღმოაჩნდა. მისი პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა საგარეო საქმეთა უწყებას უკვე მიმართა.

გამოძიებამ უნდა გაარკვიოს იმ თურქი მძღოლის ბრალეულობის საკითხიც, ვის ავტომანქანაშიც ალჟირელი იმყოფებოდა. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა მთიანეთის სამმართველომ მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება შპს "მცხეთის კომუნალურ გაერთიანებას", რომელიც ქალაქის კეთილმოწყობაზე მუშაობდა, კერძოდ: გარე განათება, გამწვანება და სხვა. ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, საქმე ეხება სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებას. დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით, "მითვისება ან გაფლანგვა". **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მდებარე შპს "სიცოცხლის" ხელმძღვანელი პირის ავთანდილ ჯეჯეიშვილს მიერ საავადმყოფოს ქონების მითვისების ფაქტს.

ფინანსური პოლიცია მითვისებული ქონების ღირებულებას ადგენს. გამოძიება კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, "მითვისება ან გაფლანგვა". **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება იმერეთის ჭადრაკის ფედერაციას, რომლის გენერალური მდივანი ალექსანდრე არსენიძე ფედერაციის თანხების მითვისებაშია ეჭვმიტანილი. მითვისებული თანხის ოდენობა ზუსტდება. გამოძიება კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, "მითვისება ან გაფლანგვა". **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება ბენზინგასამართ სადგურ "იმპერიალ კომპლექსს", რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 10 მარტამდე სამეწარმეო საქმიანობას ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ნებართვის გარეშე ეწეოდა. ფინანსურ პოლიციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით დაიწყო, "უკანონო სამეწარმეო საქმიანობა". **ჯი-ეიჩ-ენი**

# აქცია მოძალადე პროკურორის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ვაჩაძის მიერ გახმაურებულ ამბავთან დაკავშირებით გორში საზოგადოების აზრი არაერთგვაროვანია: ზოგი მიიჩნევს, რომ თავისუფალი სიტყვა საფრთხეშია, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი სირცხვილია. თუმცა, ბევრს მიაჩნია, რომ ამ ყველაფერს შანტაჟის ელფერი უფრო დაჰკრავს.

**"ასეთ საკითხებზე სასამართლო პროცესები დახურულია, ესენი კი აქციას მართავენ. ორი თვის წინ თუ იხმარეს მასზე ძალა, აქამდე სად იყო? არ შეიძლება ასეთ სამარცხვინო აქციას ვინმემ მხარი დაუჭიროს"**, - ამბობს გორის მცხოვრები ლეილა სამხარაძე.

"აუცილებლად უნდა დაიჭირონ პროკურორი, ის სექსუალური მანიაკია. ჩემი ძმა რომ დაიჭირა, კარგი იყო?" - აცხადებს თაღლითობისთვის დაპატიმრებული ადვოკატის მამუკა ნოზაძის და.

აქციაზე მასობრივად მისვლისგან გორელებმა რატომღაც თავი შეიკავეს, სამაგიეროდ, იქ ბევრი იყო ისეთი, რომელთა ოჯახის წევრები პროკურატურამ სხვადასხვა ბრალდებით დააკავა. აქციაზე გამოჩენისგან თავი შეიკავეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. მათთან მხოლოდ ახალი მემარჯვენეების გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი მივიდა და განაცხადა, რომ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვა არ უნდა იზღუდებოდეს.

აქციაზე არ გამოჩენილა ტელეკომპანია "თრიალეთის" მფლობელი, პარლამენტარი ბადრი ნანეტაშვილი, სამაგიეროდ, ქარელიდან მისი მხარდამჭერები ხუთი ავტობუსით ჩამოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ბადრი ნანეტაშვილი წარმოშობით ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრიდანაა.

აქციამ ტელეკომპანიის შენობიდან პროკურატურის შენობისკენ გადაინაცვლა. აქაც აქციის მონაწილეთა მოთხოვნა ერთი იყო: "დააკავეთ მიხეილ აბულაძე". "თრიალეთის" საინფორმაციო სამსახურის უფროსის სოფიკო რეზნიჩენკოს განცხადებით, აქცია დღეს გენერალურ პროკურატურასთან გაიმართება, სადაც "თრიალეთის" ჟურნალისტები ისევ "მოძალადე პროკურორის" დასჯას მოითხოვენ.

# გიორგი გვიჩიანი სრულ გამართლებას ითხოვს

*გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლოში "თბილგაზის" გაკოტრების ყოფილი მმართველის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი გიორგი გვიჩიანის სააპელაციო სარჩელის განხილვა დაიწყო. საქმეს, რომელსაც სააპელაციო სასამართლო განიხილავს, ჯერჯერობით ოფიციალურ დონეზე არავითარი კავშირი არ აქვს გვიჩიანის ბოლო ბრალდებასთან - "AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის დაკვეთასთან.*

საქმე, რომლის სააპელაციო განხილვაც გუშინ დაიწყო, თავისი შინაარსით იმთავითვე იყო "AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო მოტივად მიჩნეული, უფრო ზუსტად, სხვა ვერსიას გამოძიებამ ვერც მიაკვლია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის მანძილზე 2,5-მილიონიანი ფინანსური მაქინაციის გამოძიებისას სამართალდამცველებმა ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის გახსნა მაინც ვერ შეძლეს. თუმცა კი, ამ მაქინაციის გამო, თავის დროზე არაერთი ადამიანი, მათ შორის გიორგი გვიჩიანიც, დააკავეს და გაასამართლეს.

"24 საათი" უკვე არაერთხელ წერდა ამ მაქინაციის, მასში მონაწილე პირებისა და ორგანიზაციების შესახებ. საქმე ეხება ვალების ჩათვლის წესით გადაბარების პროცესს, რომლის დროსაც რუსეთის ჯარების შტაბის მიერ "თბილსრესისთვის" ორი კერძო ფირმის შუამავლობითა და "AES თელასის" სახელით დაგზავნილი, ორი ყალბად მონათლული წერილის საფუძველზე ჩარიცხული 2,5 მილიონი ლარი "დაიკარგა".

მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა იმავე რუსეთის ჯარების შტაბმა ხელმეორედ გადაიხადა და თითქოს პრეტენზიაც არავის უნდა გამოეთქვა, მაგრამ შემთხვევით დოკუმენტები ნიკა ლომინაძეს ჩაუვარდა ხელში და ფინანსური დირექტორიც, როგორც ჩანს, თანამშრომელთა კეთილსინდისიერებაში გასარკვევად, ამ საქმით დაინტერესდა. ორიოდ თვეში კი ნიკა ლომინაძე მოკლეს. სწორედ მკვლელობის გამოძიებისას ნიკა ლომინაძის სამუშაო მაგიდაზე სამართალდამცველებმა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს მიაკვლიეს და მაქინაციის საქმე მკვლელობის საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო.

თბილისის პროკურატურამ ამ საქმესთან დაკავშირებით მაქინაციის მონაწილე კერძო ფირმების დირექტორებიც მისცა პასუხისგებაში და "AES თელასის" მაშინდელი კომერციული მენეჯერი გიორგი გვიჩიანიც.

როგორც ცნობილია, მაშინ, ფინანსური მაქინაციის გამო, დაკითხვაზე დაბარებული გვიჩიანი დააკავეს და ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინეს. შესაბამისად, მას ბრალი, მაქინაციაში მონაწილეობის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვისაც წაუყენეს. საბოლოო ჯამში, გიორგი გვიჩიანი, მართალია, გაასამართლეს და მიუხედავად იმისა, რომ "AES თელასის" ხელმძღვანელობამ სასამართლოს არაერთხელ მიმართა, რომ ის თავს დაზარალებულად არ ცნობს, განსასჯელი სწორედ ამ ორგანიზაციის საწინააღმდეგო ქმედებაში დამნაშავედ ცნეს. მაგრამ, როგორც მისი ამჟამინდელი ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე ამბობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამჟამად, ფაქტობრივად, ნასამართლევადაც კი არ ითვლება. საქმე ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი, რომლით გათვალისწინებული დანაშაულისთვისაც იქნა გასამართლებული გიორგი გვიჩიანი - "სამეწარმეო ორგანოში ხელმძღვანელის მიერ, ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ინტერესებისთვის უფლებამოსილების გამოყენება" - ამნისტირებულ იქნა, ანუ ამ მუხლით გასამართლებული პირები სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ. მიუხედავად ამისა, გაცილებით მძიმე ბრალდებით - ნიკა ლომინაძის მკვლელობის დაკვეთისთვის, დაკავებულმა გიორგი გვიჩიანმა ადრინდელი ბრალდებისგან სრულიად გათავისუფლება გადაწყვიტა და, ფინანსურ მაქინაციაში უდანაშაულოდ აღიარების მოთხოვნით, სააპელაციო სასამართლოს მიმართა. გუშინ ეს პროცესი დაიწყო კიდეც. თუმცა, საქმეში ახალი ადვოკატი ჩაერთო, რომელმაც საქმის გასაცნობად დრო მოითხოვა. მოსამართლემ მისი წინადადება გაითვალისწინა და პროცესიც გადაიდო.



ინტერპრესნიუსი

*გიორგი გვიჩიანმა ადრინდელი ბრალდებისგან სრულიად გათავისუფლება გადაწყვიტა და სააპელაციო სასამართლოს მიმართა.*

*24 საათი*

# შუალედური პასუხი სტრასბურგიდან

2005 წლის 10 ნოემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა მიმართეს - მათ სტრასბურგის სასამართლოს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაუგზავნეს. როგორც ცნობილია, ევროსასამართლოს მოთხოვნით, მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად პარიტეტული წესით დაკომპლექტებული სამედიცინო კომისია შეიქმნა, რომელიც სულხან მოლაშვილის ადვოკატებისა და სახელმწიფოს მიერ შერჩეული რვა წევრით დაკომპლექტდა. ჩატარებული ექსპერტიზით, სულხან მოლაშვილს სხვადასხვა სერიოზული დაავადება, მათ შორის, გულის იშემიური დაავადება, C ჰეპატიტი, სისხლძარღვებისა და სხვა დაავადებები დაუდგინდა. თუმცა, მოლაშვილის დაცვის მხარე ჩატარებული გამოკვლევით უკმაყოფილო იყო, რაც სტრასბურგის სასამართლოს ოფიციალურად აცნობეს კიდეც და მათ მიერ დაყენებულ შუალედურ შუამდგომლობაზე რეაგირება მოითხოვეს. ადვოკატები მოლაშვილისთვის წინასწარი პატიმრობის მსუბუქი ღონისძიებით შეცვლასა და მკურნალობის უზრუნველყოფას მოითხოვდნენ.

ამ დღეებში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატებმა და იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგის სასამართლოდან აღნიშნულ სარჩელზე შუალედური პასუხი მიიღეს. იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით: **"ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი სულხან მოლაშვილის შუამდგომლობა მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია საქართველოს მთავრობის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც მოლაშვილის ჯანმრთელობის შემსწავლელი პარიტეტული კომისიის დასკვნას შეეხებოდა",** - აღნიშნულია ოფიციალური სტრუქტურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, რომ შუალედური სარჩელი ევროსასამართლომ ბოლომდე არ დააკმაყოფილა, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატები სტრასბურგიდან მიღებული პასუხით უკმაყოფილებას მაინც არ გამოთქვამენ.

**"ევროსასამართლომ საქართველოს მთავრობას მოლაშვილის პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში უვადო მკურნალობის დავალება მისცა, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციას მოლაშვილის კოლონიაში გადაყვანას უკრძალავს. ამასთან, სახელმწიფოს დაევალა, დაცვის მხარესთან შეთანხმებით, ევროსასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია დაკავებულის მკურნალობის წესისა და პირობების შესახებ",** - განაცხადა დაცვის მხარემ, რომელიც კმაყოფილია იმითაც, რომ სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს (მოპასუხე მხარის) მიერ წარადგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ბრალდების მხარეს მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევაში ხელს დაცვის მხარე უშლიდა.

საქმის განხილვის პროცესში მოლაშვილის ადვოკატებმა ევროსასამართლოს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბოლო პერიოდში დაღუპულ პატიმართა სტატისტიკა წარუდგინა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის" მიერ არის მოპოვებული. ამის გამო, შუალედურ პასუხში სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს დაავალა, უახლოეს ხანში წარადგინოს ციხე-საპყრობილეებში ავადმყოფობის შედეგად დაღუპულთა სტატისტიკა. გარდა ამისა, საქართველომ სტრასბურგის სასამართლოს უნდა წარუდგინოს სხვადასხვა დაავადებაზე (ჰეპატიტი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, და სხვა) მოლაშვილის მკურნალობის გრაფიკი.

**"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა სარჩელის უზრუნველყოფა, სტრასბურგის სასამართლოს მოლაშვილი წინასწარი პატიმრობიდან არ გაუთავისუფლებია, რადგან მის მიმართ ორი ინსტანციის სასამართლოს უკვე გამამტყუნებელი განაჩენი აქვს გამოტანილი. თუმცა, წინასწარი გამოძიების დროს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ადვოკატების მიერ შეტანილ სარჩელზე საბოლოო პასუხი ჯერ სასამართლოს არ მიუღია",** - ამბობენ მოლაშვილის ადვოკატები.

ძირითად და შუალედურ სარჩელებთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საქართველოს სახელმწიფომ შესაბამისი რეაგირება 31 მარტამდე უნდა მოახდინოს. ამ დღეებში გაირკვა ისიც, რომ სტრასბურგში მოლაშვილის საქმის განხილვაში თვითაცილების გადაწყვეტილება მიიღო ქართველმა მოსამართლემ მინდია უგრეხელიძემ. ადვოკატების ვარაუდით, აღნიშნული იმით აიხსნება, რომ ადრე იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში სულხან მოლაშვილთან ერთად მუშაობდა. ამის გამო, საქართველოს სახელმწიფოს სულხან მოლაშვილის საქმის განხილვაში ახალი მოსამართლის ჩართვა მოუწევს.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.......................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.......................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**institute for war and peace reporting**
**ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი**

# საქართველო ნატოში გამოცდას აბარებს

*საქართველოს მთავრობას სურს, რომ ქვეყანა 2008 წელს ნატო-ს წევრი გახდეს, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით პასუხგაუცემელი კითხვები ჯერ კიდევ დარჩა.*

კობა ლიკლიკაძე, თბილისი

რამდენიმედღიანი ინტენსიური შეხვედრების შემდეგ ნატო-ს შემფასებელმა მისიამ უკვე დატოვა საქართველო, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის პერსპექტივებზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს.

ნატო-ს მისია, რომელმაც საქართველო ოთხდღიანი ინტენსიური შეხვედრების შემდეგ, 9 მარტს დატოვა, აპრილის შუა რიცხვებში წარმოადგენს შეფასებას იმის შესახებ, შეძლებს თუ არა საქართველო ნატო-ში შესვლის გეგმის (MAP) განხორციელებას. ეს ნატო-ში გაწევრიანების მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

საქართველოს ხელისუფლება წინასწარ აცხადებს, რომ დასკვნა დადებითი იქნება და წლის ბოლოსთვის ქვეყანა ალიანსის წევრობის კანდიდატი გახდება.

საახალწლო მიმართვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2006 წელი საქართველოში „ნატო-ს წლად“ გამოაცხადა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ანუ 2008 წლის ბოლომდე შევა.

ნატო-ში საქართველოს წევრობას მხარს ვაშინგტონის ზოგიერთი გავლენიანი პირი უჭერს. აშშ-ში საქართველოს ფორუმის თავმჯდომარე ელჩი დევიდ სმიტი აცხადებს, რომ მოკავშირეებში საქართველოს მიღება ნატო-ს ინტერესებში შედის.

„ჩვენ, ალიანსის წევრ 26 ქვეყანას, შავი ზღვიდან აღმოსავლეთისკენ მდებარე მეგობრული დემოკრატიული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მოკავშირეებად ხილვის სერიოზული გეოპოლიტიკური მიზეზები გვაქვს“, – განაცხადა დევიდ სმიტმა რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

სმიტმა ყურადღება გაამახვილა გასული წლის მაისში თბილისში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის მნიშვნელობაზე, რომელმაც საქართველოს თავისუფლების იდეის ირგვლივ დარაზმვისკენ მოუწოდა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი ნატო-ში ქვეყნის შესვლის მომხრეა. ამ იდეას პროპაგანდა ქვეყნის მთავრობაშიც დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს.

„ნატო-ში შესვლასთან ერთად გაიზრდება საქართველოს უსაფრთხოების გარანტიები, რასაც პოლიტიკური სტაბილურობისთვის, ეკონომიკური პროგრესისთვის, ინვესტიციების მოზიდვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ საქართველო ეკონომიკურად ძლიერი და უსაფრთხო ქვეყანა იქნება, ის სწრაფად შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენას“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.

საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2004 წლის დეკემბერში „ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმას“ (IPAP) მოაწერა ხელი. მის მაგალითს მალევე მიბაძეს აზერბაიჯანმა და სომხეთმა. IPAP-ის ფარგლებში ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურად ირჩევს ამოცანებსა და ვადებს, რომელთა შესრულებაზეც ორგანიზაციის წევრად გახდომის შემდგომ ეტაპზე – MAP-ზე გადასვლაა დამოკიდებული.

საქართველომ ყველაზე ამბიციური გეგმა დაისახა და ნატო დაარწმუნა, რომ მას ორ წელიწადში შეასრულებს. ქვეყანამ საგრძნობლად გაზარდა თავდაცვის ხარჯები, ხოლო ძალოვანი სტრუქტურების ბიუჯეტი ბოლო ორი წლის განმავლობაში რვაჯერ გაიზარდა.

თუმცა გასული წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოსულმა ნატო-ს შემფასებელმა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ „ჭიქა ნახევრად ცარიელია“. შესაბამისად, მისიის მარტის დასაწყისში დანიშნულ ვიზიტს ყველა მოუთმენლად ელოდა.

ნატო-ს წარმომადგენელთა ჯგუფი შვიდი ადამიანისგან შედგება. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად ისინი მიმდინარე წლის განმავლობაში არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიის წარმომადგენლებსაც ხვდებოდნენ.

ქვეყნის ხელისუფლება მისიის ვიზიტს ოპტიმიზმით ხვდება. „ეს კვირა ნატო-სა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს და ჩვენი შვილები მომავალში მის შესახებ წაიკითხავენ. პროგრესი ყველა მიმართულებით შეიმჩნევა. ცნობილია, რომ თავდაცვითი ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია – ის IPAP-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თავდაცვის სისტემაში რეფორმის განხორციელების შესახებ დოკუმენტი ჩვენმა ექსპერტებმა და ნატო-დან მათმა კოლეგებმაც მოიწონეს“, – ამბობს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა.

შემფასებელი ჯგუფისა და ნატო-ს პოლიტიკისა და თავდაცვითი დაგეგმვის სამმართველოს ხელმძღვანელმა ფრენს ბოლანდმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინა.

„პრობლემების გადალახვა, რომლებიც ერს განვითარების გზაზე შეიძლება გადაეღობოს, ნებისმიერი ერისთვის ძალიან რთული პროცესია, საჭიროა, გულახდილად ვაღიაროთ, რომ ეკონომიკის დაბალი დონე ხელისუფლებას მრავალი წამოწყების განხორციელებაში ზღუდავს. მაგრამ ამ შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, ცვლილებების რაოდენობითა და საქართველოს ხელისუფლების უახლოესი სამომავლო გეგმებით ნამდვილად განცვიფრებული ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ნატო-ს 26 წევრისა და საქართველოს შეხედულება ამ საკითხებში ერთმანეთს სავსებით დაემთხვევა“, – განაცხადა ბოლანდმა.

თუმცა ჯერ კიდევ რჩება მოუგვარებელი პრობლემები, რომელთა შორისაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები არც მთლად ბოლო ადგილზეა. „კრიტერიუმები ნათელია. შიდა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები უნდა მოგვარდეს. სახელმწიფო სტაბილური უნდა იყოს“, – განუცხადა შარშან ქართველ ჟურნალისტებს ბულგარეთის არმიის შტაბის ხელმძღვანელმა ნიკოლ კოლევმა.

ზოგიერთი ქართველი მიმომხილველი ნატო-ში საქართველოს შესვლის მზადყოფნის საკითხისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი. „ეს ეხება როგორც თავდაცვის სამინისტროში, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროში საიდუმლო ფონდების არსებობას, ასევე სამხედრო შესყიდვებსა და თავდაცვის სამინისტროში დაუსრულებელ საკადრო გადანაცვლებებს, რის შედეგადაც სისტემიდან დასავლეთის სამხედრო სასწავლებლებში განათლებამიღებული ოფიცრები მიდიან“, – ამბობს ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი.

„სამხედრო უწყებაში გაუქმებულია სამხედრო დაზვერვა, არ არის ჩამოყალიბებული ქვეითი ჯარი, გაუქმებულია სამხედრო აკადემია და გრძელდება პროფესიონალი ოფიცრების გადინება. როდესაც გამოაშკარავდება სიმართლე, რომელსაც თავდაცვის სამინისტროს მალავს, ქვეყანა მეტად უსიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდება“, – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლება და თავისუფლება“-ს წარმომადგენელი, სამხედრო ექსპერტი შალვა თადუმაძე.

თადუმაძემ ყურადღება ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თავმჯდომარედ იმ ადამიანის დანიშვნაზე გაამახვილა, რომელიც ჟურნალისტის ცემაშია მხილებული.

„საქმე პროკურატურას უკვე გადაეცა, მაგრამ ეჭვმიტანილის საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნა მიგვანიშნებს, რამდენად ერთგულია საქართველოს ხელისუფლება ევროპული ფასეულობების მიმართ“, – განაცხადა მან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ნატოში“ თავმჯდომარე შალვა ფიჩხაძე მიიჩნევს, რომ მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ სამხედრო რეფორმის გატარების სფეროში რეალური პროგრესისა, მან ნატო-ში ქვეყნის შესვლის ვადებს უფრო რეალისტურად უნდა შეხედოს.

„ალიანსში ქვეყნის გაწევრიანების საკითხს ნატო-ში შემავალი 26 ქვეყანა კონსესუსით წყვეტს. მიუხედავად საქართველოსადმი არსებული ინტერესისა, არსებობს ქვეყნები, რომლებიც ნატო-ში საქართველოს შესვლას ეჭვის თვალით უყურებენ, განსაკუთრებით მოუგვარებელი კონფლიქტების გამო. შესაბამისად, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს, რაც საზოგადოების სერიოზულ იმედგაცრუებას გამოიწვევს“, – თქვა ფიჩხაძემ.

www.iwpr.net



*ძალოვანი სტრუქტურების ბიუჯეტი ბოლო ორი წლის განმავლობაში რვაჯერ გაიზარდა*

**institute for war & peace reporting**

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# სომხეთში ფარული ცენზურის ეშინიათ

*ახალმა კანონმა ოპოზიციური პრესის გავრცელება შესაძლოა სერიოზულად შეზღუდოს.*

არფი არუთუნიანი, ერევანი

ახალი კანონის გამო, რომლის მიხედვითაც პრესის გამანაწილებელ კომპანიებს ლიცენზიების აღება მოუწევთ, სომეხი ჟურნალისტები განგაშს ტეხენ.

ადგილობრივი აქტივისტები აცხადებენ, რომ სომხეთის პარლამენტის მიერ გასულ წელს საფოსტო კავშირისა და სახელმწიფო გადასახადების კანონებში შეტანილი ცვლილებები, ფაქტობრივად, სახელმწიფო ცენზურის ფარული ფორმაა.

„ჟურნალისტთა საზოგადოება და სომხეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ კანონის ძალაში შესვლისთვის ხელის შეშლას ცდილობენ. სხვანაირად ფარული ცენზურის კიდევ ერთი მექანიზმის არსებობის ფაქტის დაფიქსირება მოგვიხდება“, – განუცხადა ერევნის პრესკლუბის თავმჯდომარემ ბორის ნავარარდიანმა IWPR-ს.

კანონის თანახმად, კომერციულმა ორგანიზაციებმა პრესის გავრცელებაზე ლიცენზიის მისაღებად ყოველწლიურად 11 ათასი დოლარი უნდა გადაიხადონ. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ კანონის ამ მოთხოვნის შესრულება მრავალ მცირე, დამოუკიდებელ პრესის გამავრცელებელ კომპანიას გააკოტრებს. პარალელურად კი ორი სახელმწიფო კომპანიის – საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი „არმფოსტისა“ და ქვეყანაში არსებული ჯიხურების უმრავლესობის მფლობელის – „არმპრესის“ მონოპოლისტებად ქცევას გამოიწვევს.

დახურული სააქციო საზოგადოება „არმფოსტა“, რომელიც თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედებს, დამოუკიდებელი მხოლოდ ნომინალურად არის. მიიჩნევა, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული მთავრობასთან, რადგან კომპანიის ყველა აქცია სახელმწიფოს ეკუთვნის.

რაც შეეხება საზოგადოება „არმპრესას“, ის მთლიანად დამოუკიდებელია. თუმცა მისი ისტორია ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს. კომპანია 1939 წელს დაარსდა და საბჭოთა სომხეთში პრესის ხელმოწერითა თუ გავრცელებით დაკავებული ერთადერთი ორგანიზაცია იყო. ამჟამად „არმპრესა“ ყველაზე მსხვილი დისტრიბუტორია – ქვეყანაში დაახლოებით 400 ჯიხურს ფლობს და 7223 ხელმომწერი ჰყავს. ის ერთ-ერთია მცირერიცხოვან კომპანიებს შორის, რომელიც სომხეთის ყველა რეგიონში მუშაობს.

საგაზეთო სფეროს პროფესიონალები ამტკიცებენ, რომ გაზეთებზე პირდაპირი ცენზურის დაწესების ნაცვლად, ოფიციალური პირები ამ ორ კომპანიაზე ზეწოლის განხორციელებას შეძლებენ და შეეცდებიან მათთვის არახელსაყრელი შინაარსის პუბლიკაციებმა ხალხამდე, განსაკუთრებით, სოფლებამდე არ მიაღწიოს.

ახალი კანონის მოწინააღმდეგეები რამდენიმე ფაქტზე მიუთითებენ, როდესაც „არმპრესამ“ ზოგიერთი გამოცემის გავრცელება ვერ შეძლო. მაგალითად, 2002 წლის ოქტომბერში „არმპრესის“ ჯიხურებიდან ოპოზიციური გაზეთის „არავოტის“ 4600 ეგზემპლარი გაქრა.

თავად გაზეთ „არავოტში“ ამბობენ, რომ ეს ინციდენტი სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის ყოფილი მრჩევლის გრაჩ აბგარიანის შესახებ კრიტიკულ წერილთან იყო დაკავშირებული.

ერევნის პრესკლუბის წევრები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ ახალი კანონი ადამიანის უფლებებს არღვევს. მათ ქვეყნის პარლამენტს კანონის შეცვლის მოთხოვნით წერილი გაუგზავნეს. IWPR-ის ინფორმაციით, ოპოზიციური გაერთიანებული ლეიბორისტული პარტია ამ ინიციატივას მხარს უჭერს.

ერევნის პრესის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს კანონი ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტალურ თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლს, ასევე ადამიანის უფლებათა საერთო დეკლრაციის მე-19 მუხლსა და სომხეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლს არღვევს. ეს უკანასკნელი გამოხატვის თავისუფლების უფლებას უზრუნველყოფს.

„თუ ჩვენ ევროპის საბჭოს წევრები ვართ და ევროინტეგრაციაზე, სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, მაშინ მასობრივი ინფორმაციის ლიცენზირებულ საშუალებებზე უარი უნდა ვთქვათ“, – ამბობს პრესის გამავრცელებელი კომპანია „ბლიც მედიას“ დირექტორი არმენ დავთიანი. დავთიანმა სომხეთში პრესის გავრცელების ლიცენზირებასთან დაკავშირებული მდგომარეობა ავტორიტარულ ბელორუსში არსებულ სიტუაციას შეადარა.

ახალი კანონმდებლობა ძალაში მხოლოდ რამდენიმე მცირე, დამოუკიდებელი კომპანიის გაჩენის შემდეგ შევიდა, რომელთაც პრესის მიწოდების სფეროში „არმფოსტისა“ და „არმპრესის“ თითქმის სრული მონოპოლიის „შელახვა“ შეეძლოთ.

გასულ წელს ამერიკულმა ფონდმა „ევრაზიამ“ და სოროსის ფონდმა „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების ალტერნატიული საშუალებების მხარდაჭერისა და სოფლებში პრესის მიწოდების სისტემის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ხუთ კომპანიას გრანტები მისცა.

ფონდ „ევრაზიის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ სომხეთის სოფლებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს, ყოველდღიური გაზეთების მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს. ზოგიერთ შორეულ რაიონში კი პრესა საერთოდ არ მიდის.

„ჩვენი მიზანი რამდენიმე სტაბილურად მოქმედი კომპანიის შექმნა იყო. მათ „არმფოსტისა“ და „არმპრესის“ მონოპოლური პოზიცია უნდა შეესუსტებინა და საგაზეთო ბაზრის ალტერნატივის როლს შეესრულებინა“, – ამბობს ფონდ „ევრაზიის“ საგარეო კავშირების კოორდინატორი ალისა ალავერდიანი.

თუმცა ახალი კანონის გამო ამ საწარმოებს დახურვა ელის. პრესის გამავრცელებელი ერთ-ერთი კომპანია „ბლიც მედია“ საგადასახადო უწყებამ უკვე რამდენჯერმე მოინახულა და არჩევნის წინაშე დააყენა – ან საქმიანობის შეწყვეტა ან ლიცენზიის მისაღებად თანხის გადახდა.

„ყოველწლიურად საშემოსავლო გადასახადის სახით 1500 დოლარს ვიხდი. როგორც ვიცი, ამ სფეროში მომუშავე სხვა მცირე ორგანიზაციებიც დაახლოებით ამდენივეს იხდიან. 11 ათასი დოლარის ოდენობით ფიქსირებული გადასახადის დაწესებაში არანაირი ლოგიკა არ არის“, – ამბობს „ბლიც მედიას“ დირექტორი არმენ დავთიანი.

ქალაქ ვანაძორში პრესის გამავრცელებელი კომპანია „სიმიკიანის“ დირექტორი აიკაზ სიმიკიანი ამბობს, რომ თუ კომპანიას ლიცენზირების თანხის გადახდა მოუწევს, ის, ალბათ დაიხურება. კომპანია „სიმიკიანს“ 700 ხელმომწერი ჰყავს და ფონდ „ევრაზიისა“ და „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ ხუთი გრანტიდან ერთ-ერთის მიმღებია.

„ეს აბსურდული თანხაა, ამ პირობებში ჩვენ შემოსავალი არ გვექნება“, – ამბობს სიმიკიანი.

ფონდ „ევრაზიის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ახალი კანონი ძალიან შეუფერებელ დროს მიიღეს. „ჩვენი პროგრამის ამუშავების შედეგად ზოგიერთი გაზეთის ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა, სანამ გამავრცელებელ კომპანიებს ლიცენზიის არქონის გამო საგადასახადო ორგანოებთან პრობლემები შეექმნებოდათ“, – ამბობს ფონდის პროგრამების კოორდინატორი მარინა მხითარიანი.

მთავრობის წარმომადგენლები კი ახალ კანონს იცავენ და ამტკიცებენ, რომ ინფორმაციის გავრცელება არავითარ შემთხვევაში არ შეიზღუდება. მათი თქმით, ლიცენზირებას მხოლოდ პრესის მიწოდება ექვემდებარება და არა ხელმოწერა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ გალეჩიანი აცხადებს, რომ ლიცენზირების მაღალი გადასახადის მიზანი ისეთი კომპანიების გამოვლენაა, რომლებიც პრესის გავრცელების სფეროში ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას შეძლებს.

„სახელმწიფო ხელმოწერის ორგანიზებით დაკავებულ კომპანიებთან მიმართებაში რეგულირების მექანიზმს ამკვიდრებს“, – განუცხადა IWPR-ს გალეჩიანმა.

თუმცა ეს ახსნა ბევრს დაუსაბუთებლად ეჩვენება. „რა აზრი აქვს ხელმოწერას თუ მიწოდება არ განხორციელდება“, – ამბობს კომპანია „ბლიც მედიას“ ხელმძღვანელი დავთიანი.

„არმფოსტაში“ ამტკიცებენ, რომ კომპანიის 904 საფოსტო განყოფილება ქვეყნის ყველაზე შორეულ რეგიონებშიც კი გაზეთების დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს. „გაზეთებს ყველაზე შორეული სოფლის აბონენტსაც კი ვაწვდით“, – ამბობს კომპანიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ასტხიკ მარტიროსიანი.

მარტიროსიანი ახალ კანონს მხარს უჭერს. „თუ სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ასეთი კანონი გვჭირდება, ე.ი. ნამდვილად გვჭირდება“, – განაცხადა მან.

საინტერესოა, რომ „არმპრესის“ წარმომადგენლები ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ გამოდიან, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ახალი კანონი მომგებიანია. „დღეს ისედაც ცოტა გაზეთი გამოდის და ისიც რეგიონების მცხოვრებლებამდე ვერ აღწევს“, – ამბობს „არმპრესის“ აღმასრულებელი დირექტორი არშალუის მანუკიანი.

„მსგავსი კანონები სოფლების მცხოვრებთა საინფორმაციო ველიდან სრულ იზოლირებას უწყობს ხელს, რადგან მცირე ბიუჯეტის მქონე ფირმები ლიცენზიის გადახდას ვერ შეძლებენ და იძულებული გახდებიან, საქმიანობა შეწყვიტონ“, – თქვა მან და ახალ კანონს „ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი“ უწოდა.

www.iwpr.net

# ენერგეტიკული თამაშები აზერბაიჯანში

*აზერბაიჯანის ხელისუფლება ღონისძიებებს ახორციელებს თურქული ენერგოკომპანიის წინააღმდეგ, რომლის რუსი მეტოქეც, როგორც ჩანს, მისი ადგილის დაკავებას აპირებს.*

ლეილა ამიროვა, ბაქო

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ერთობლივი აზერბაიჯანულ-თურქული კომპანიის „ბარმეკ აზერბაიჯანის“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო. ეს ორგანიზაცია ქვეყნის დედაქალაქის, ბაქოს ენერგოსისტემას უკვე რამდენიმე წელია მართავს. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ღონისძიებები ენერგოსისტემის რუსული ენერგოკომპანიისთვის – „რაო ეეს“-ისათვის გადაცემის პრელუდიაა.

13 მარტს კომპანია „ბარმეკის“ სამი მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის კომპანიის პრეზიდენტი ამერ გიუნელი და ტექნიკური დირექტორი ვაფა აგაევი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი კომპანიის სახალხო კრიტიკით გამოვიდა და განაცხადა, რომ მან ქვეყნის მოსახლეობის ნდობა არ გაამართლა.

ბაქოს ელექტროქსელების სისტემა კომპანია „ბარმეკის“ განკარგულებაში ოთხი წლის წინ 25 წლის ვადით გადავიდა. დედაქალაქის მოსახლეობა თავდაპირველად მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

„ჩვენ ენერგომომარაგების გაუმჯობესების იმედი გვქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ბაქოს გარეუბნებს ელექტროენერგია კვლავ ხანგრძლივი ინტერვალებით მიეწოდება. ადგილობრივ მაცხოვრებლებს შუქის მიწოდების შეწყვეტისა და მრიცხველების დაყენების პრობლემების გამო საპროტესტო აქცია არაერთხელ გაუმართავთ“, – ამბობს ბაქოს შორიახლოს მდებარე სოფელ მარდაკიანის მკვიდრი ჰურამან ქერიმოვა.

კომპანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის ერთდროულად სამი მუხლით აღიძრა: თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება, სიყალბე და ქონების დიდი ოდენობით დატაცება.

ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი ფარხატ ალიევი, რომელიც გასულ წელს შერისხეს და უკვე რამდენიმე თვეა, სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, კომპანიის პრეზიდენტ ჰუსეინ არაბულთან ერთად ორგანიზაციის ფიქტიური დოკუმენტაციის მომზადებაშია ბრალდებული.

არაბულს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაშიც ადანაშაულებენ. თუმცა იგი არ დაუპატიმრებიათ.

2001 წელს „ბარმეკის“ მფლობელობაში ბაქოს, სუმგაითისა და აზერბაიჯანის რამდენიმე რაიონის ელექტროგამანაწილებელი ქსელი საკმაოდ ბუნდოვან გარემოებებში გადავიდა. თავდაპირველად, ტენდერში გამარჯვებულად გერმანული კომპანია „სიმენსი“ გამოცხადდა. თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება თურქული კომპანიის „ბარმეკის“ სასარგებლოდ შეიცვალა და 25-წლიან კონტრაქტს მოეწერა ხელი. ამის მიზეზად თურქეთის პრეზიდენტთან სულეიმან დემირელთან აზერბაიჯანის მაშინდელი ლიდერის ჰეიდარ ალიევის ახლო ურთიერთობებს მიიჩნევდნენ.

„ბარმეკმა“ პირველი ხუთი წლის განმავლობაში 51 მილიონი დოლარის ინვესტირების ვალდებულება იკისრა.

თუმცა როგორც გენერალური პროკურატურის განცხადებაში ვკითხულობთ, „სინამდვილეში არავითარი უცხოური ინვესტიცია არ განხორციელებულა და საინვესტიციო ფინანსირება მთლიანად კომპანია „ბარმეკის“ მიერ მომხმარებლისგან ამოღებული გადასახადების ხარჯზე მიმდინარეობდა“.

გენერალური პროკურატურის მიმართვა, სადაც „ბარმეკის“ მიმართ პრეტენზიები იყო გამოთქმული, ქვეყნის პრეზიდენტთან – ილჰამ ალიევთან გამართული თათბირიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა. შეხვედრაზე აზერბაიჯანული ენერგოკომპანია „აზერენერჯის“ პრეზიდენტმა ეტიბარ პირვერდიევმა „ბარმეკი“ გააკრიტიკა.

„კომპანია ჩვენგან მიღებული ელექტროენერგიის საფასურს არ ანაზღაურებს. თებერვლის ვალი 92 მილიარდი მანათია (დაახლოებით, 20 მილიონი დოლარი). ჩვენ კრედიტების დაფარვა არ შეგვიძლია, რადგან „ბარმეკი“ არ გვიხდის. „აზერენერჯი“, ისევე, როგორც აზერბაიჯანის მთელი ელექტროსისტემა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა“, – განაცხადა პირვერდიევმა.

„აზერენერჯის“ საერთაშორისო ბანკების მილიონობით დოლარი ვალი აქვს, რაც ახალი ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების მშენებლობის დასაფინანსებლად აიღო. კომპანიას ამჟამად კონფლიქტი აქვს კრედიტორებთან, რომლებიც მას სანქციებით ემუქრებიან. ასე რომ, სამომავლოდ „აზერენერჯი“ საერთაშორისო ინვესტორების მხარდაჭერის გარეშე დარჩენის რისკის წინაშე დგას.

ილჰამ ალიევმა კომპანია „ბარმეკის“ საქმიანობის შემოწმების შესახებ განკარგულება გასცა. „თუ „ბარმეკი“ თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, შესაბამისი ზომები მიიღეთ. სანამ უნდა ვითმინოთ ასეთი მდგომარეობა? საჩივრები ძალიან ბევრია“, – განაცხადა მან სხდომაზე.

ამ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, „ბარმეკი“ რამდენიმე სხვა საერთაშორისო კომპანისთან ერთად აზერბაიჯან-თურქეთის მეწარმეთა და საქმოსანთა საერთაშორისო საზოგადოების (TUSIAB) შეხვედრაზე გადასახადის „დისციპლინირებულ გადამხდელად“ აღიარეს. შეხვედრაზე არაბულმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ალიევთან შეხვედრასა და მისთვის იმ ჩინოსანთა გვარების დასახელებას აპირებს, ვინც, მისი აზრით, კომპანიის საქმიანობას დაბრკოლებებს უქმნის. თუმცა მან ქვეყნის ხელმძღვანელთან შეხვედრა ვერ მოახერხა.

არაბულის თქმით, შეხვედრა ილჰამ ალიევის მოუცლელობის გამო ვერ შედგა, მისი კომპანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ კი პრესიდან გაიგო. მისი მტკიცებით, ხელისუფლებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. „მე არ ვამტკიცებ, რომ კომპანიაში ყველაფერი 100 პროცენტით კარგად კეთდება, მაგრამ თუ შეცდომებს ვაწყდებით, მის აღმოფხვრასაც ვახერხებთ“, – განაცხადა არაბულმა საინფორმაციო სააგენტო „ტურანთან“ ინტერვიუში.

„ბარმეკს“, ჯერჯერობით, მისი თანამშრომლების წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

„თუ ჩვენ ვიგრძნობთ, რომ კომპანიის იმიჯი ილახება, მზად ვართ ის ყველა დონეზე დავიცვათ“, – განაცხადა არაბულმა.

თავისი კომპანიის დასაცავად არაბულმა ასევე თქვა, რომ 4 წლის განმავლობაში მოსალოდნელზე 27 პროცენტითYმეტი ინვესტიცია დააბანდა და კომპანია ორი წლის განმავლობაში ათწლიანი საინვესტიციო პროგრამის განსახორციელებლადაც მზადაა.

არაბულმა მთავრობას 40-გვერდიანი მოხსენება წარუდგინა, სადაც ხელისუფლების მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევებზეა საუბარი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ „ბარმეკმა“ პირველი დანაკარგები უკვე განიცადა.

თანამშრომლების დაპატიმრების შემდეგ „ბარმეკმა“ კომპანია „ბაქო ელექტროავტომატიც“ დაკარგა – ხელისუფლებამ ამ კომპანიის აქციების 99%-ის „ბარმეკისთვის“ მიყიდვის შესახებ 2004 წელს ხელმოწერილი კონტრაქტი შეწყვიტა.

მთავრობა ამტკიცებს, რომ კონტრაქტი თურქული კომპანიის მიერ ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად საინვესტიციო პროგრამის შეუსრულებლობის გამო შეწყდა.

ვის ხელში გადავა ბაქოს ელექტროქსელი კომპანია „ბარმეკის“ მიერ აზერბაიჯანის დატოვების შემთხვევაში, ჯერჯერობით, უცნობია. მასმედიაში განსხვავებული ვარაუდები გამოითქმება. ერთ-ერთი ვერსიით, მისი შემცვლელი შესაძლოა რუსული ენერგოგიგანტი „რაო ეეს“-ი გახდეს, თუმცა, ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არ განუცხადებიათ. რუსულენოვანი გაზეთის „ეხოს“ ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი „რაო ეეს“-ია. ბაქოს ელექტროქსელების მიმართ რუსი მონოპოლისტის დიდ ინტერესზე თავად არაბულიც საუბრობს.

თურქული კომპანიის რუსულით შეცვლას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მთლიანობაში რუსულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში დათბობა შეინიშნება. გასულ წელს რუსეთის ლიდერმა ვლადიმერ პუტინმა აზერბაიჯანი პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ მესამედ მოინახულა, „რაო ეეს“-მა კი ახლახან ბაქოში წარმომადგენლობა გახსნა.

ზოგიერთ ექსპერტს ეს გარემოებები აშფოთებს. ოპოზიციონერმა პოლიტოლოგმა ჰიკმეტ ჰაჯიზადემ IWPR-ს განუცხადა, რომ „რუსეთი ყოველთვის ცდილობდა ჩვენი ეკონომიკის, განსაკუთრებით, კასპიის ნავთობის გაკონტროლებას, აზერბაიჯანი კი ყოველთვის ყველა ჩრდილოელ მეზობელთან აქტიურად თანამშრომლობდა. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ „რაო ეეს“-ი ჩვენი ელექტროქსელებით იყოს დაინტერესებული“.

მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს, ვინ იქნება ელექტროქსელების მფლობელი. მას ენერგოსისტემის მუშაობის ხარისხი აღელვებს.

„მოხარული ვიქნებით, თუ რაიმე ცვლილება მოხდება, მოგვბეზრდა ყოველ საღამოს სანთლის შუქზე ჯდომა. როცა ეს შორეულ მთიან რაიონებში ხდება, კიდევ გასაგებია, მაგრამ მე ბაქოს გარეუბანში ვცხოვრობ. ჩვენთან ელექტროენერგიის მიწოდება არ უნდა წყდებოდეს“, – ამბობს ჰურამან ქერიმოვა.

www.iwpr.net



დავით კოპზირიძის სვეტი

# ეკოლოგიურად სუფთა ხელოვნება

დღეს რონალდინიოს დაბადების დღეა. 26 წლის გახდა ბიჭი, რომელმაც ნახაზებად ქცეული ფეხბურთი გააფერადა და გააცოცხლა. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რა მოსაწყენი იქნებოდა სოკერი დღეს, რომ არა ეს დაკრეჭილი ბრაზილიელი საზოგადო მოღვაწე. დიახ, საზოგადო მოღვაწე და არა ფეხბურთელი, რადგან მისი ვიწრო ჩარჩოში მოქცევა და მისთვის თუნდაც სპორტსმენის წოდება ძალიან ცოტაა.

ფეხბურთს ყოველთვის ჰყავდა მხსნელები, ადამიანები, რომლებიც საკუთარი ნიჭისა და ნატურალური იმპროვიზაციის წყალობით გულშემატკივრებს სულ ახალ-ახალ ჭიშკრებს ულებდნენ სიამოვნების ამ მორევში.

თავიდან, როცა ფეხბურთი იბადებოდა და მხოლოდ გართობა, შეჯიბრი იყო, მოედანზე მყოფი ოცდაორივე ჯიგარი სწორედ საკუთარ და მაყურებელთა სიამოვნებაზე ფიქრობდა. მერე და მერე, ფეხბურთი ტრანსფორმაციის პროცესმა ჩაითრია - ჯერ ოფიციალური სახე მიიღო, მერე კლუბებად და ნაკრებებად დახარისხდა, მერე მასში ფულის ტრიალი იწყეს სხვა გზით გამდიდრებულმა ბატონებმა. გაჩნდა ნაირგვარი ინტერესები - ფინანსური, პოლიტიკური, მაქინაციური.

პარალელურად ამისა საოცარი სისწრაფით მცირდებოდა იმ მოთამაშეთა რაოდენობა, ვინც მხოლოდ სიამოვნებაზე ზრუნავდა და შესაბამისად, სპორტის ამ სახეობამ შარმის დაკარგვა დაიწყო, თანდათან ხელოვნური და მშრალი გახდა.

მერე ვილაცები მიხვდნენ, რომ საჭიროა, საჭირო კი არა, აუცილებელია სტრატეგიის, სქემების, ტაქტიკის შემუშავება. ამ ფუნქციის შესრულება იტვირთეს მწვრთნელებმა, კასტამ, რომელიც ვალდებული იყო, არის და იქნება გუნდში ფულის დამბანდებელი ადამიანის შაბაშების ყოჩაღად შესრულებაზე. ანუ - პრეზიდენტი უკვეთავს, მწვრთნელი რეცეპტს იგონებს და მოედანზე მყოფნი ამზადებენ. ხან კარგად, ხანაც ცუდად. აი, დაახლოებით ისე, როგორც რესტორანშია, კლიენტი უკვეთავს კერძს, ოფიციანტს ინფორმაცია მიაქვს მზარეულებთან და ისინიც ბზრიალს იწყებენ. კერძიც ხან გემრიელია, ხანაც გულისამრევი.

კარგ, დიდოსტატ მწვრთნელთა მომრავლებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სიამოვნებაზე მოფიქრალ ფეხბურთელთა შემცირებას. ისინი ჩარჩოში მოექცნენ იმიტომ, რომ უპირობოდ უნდა შეესრულებინათ მასწავლებლის ნებისმიერი დავალება. თუ ადრე ფეხბურთელი აბსოლუტურად თავისუფალი იყო, იმპროვიზაციაში არაფერი უშლიდა ხელს და უნდოდა წინ წავიდოდა, უნდოდა მარჯვნივ და უნდოდა ბურთს უკანალით გააჩერებდა, დროთა განმავლობაში მას ინფორმაციული ჩიპი ჩაუყენეს თავში. ფეხბურთი ძალიან ხელოვნური რამ გახდა.

ვინც ჩიპზე ღონიერი იყო, მწვრთნელის მხრიდან დედის გინებას თავს ვერ აღწევდა და ამის გამოისობით უამრავი კონფლიქტი შობილა. თუმცა ერთეულები მაინც ახერხებდნენ იმის დამტკიცებას, რომ ფეხბურთი კომპიუტერული პროგრამა არაა და ეს ძალიან მოსწონდათ ტრიბუნებზე და ტელევიზორებთან მსხდომთ. ანუ ჩვენ.

ამ პროცესებმა ორი მხარე შექმნა: იქით ფულზე დაკვირვებული პრეზიდენტები და ჩინოვნიკები, მწვრთნელთა 95 პროცენტი და ამ 95 პროცენტის ზურგს და სტრატეგიებს ამოფარებული უნიჭო, მაგრამ დავალებათა სწორხაზოვნად შემსრულებელი ბიჭები ანჯელო დი ლივიოს თამადობით. აქეთ კი ხალხი, მწვრთელთა დარჩენილი 5 პროცენტი და მოთამაშეთა უმრავლესობა. იქით ფული, აქეთ ხელოვნება.

თანამედროვე ფეხბურთში ხომ სრულიად ამაზრზენი ვითარებაა. მეოცე საუკუნის მიწურულს და ახალ მილენიუმში მხოლოდ რამდენიმე ხელოვნების შემქმნელი ფეხბურთელი გამოჩნდა. ეს, ერთი მხრივ, იმის ბრალია, რაზეც მთელი სვეტია ვწუწუნებ, მეორე მხრივ კი, სოკერში ტემპის, ფიზიკური მომზადების დონის არანორმალური ზრდისა.

ვგულისხმობ ამას - როდესაც ბურთი ფეხბურთელისკენ მიდის, ის ზუსტად მაშინ ფიქრობს, თუ რა გზას გაუყენოს იგი მიღების შემდეგ. ამ დროს ბრგე და უაზროდ სწრაფი რამდენიმე მცველი მისკენ მიქრის და მზადაა ფეხი მოაჭამოს განზრახვის სისრულეში არმოყვანის სანაცვლოდ. დრო ძალიან, ძალიან ცოტაა და მოვლენათა განვითარება დამოკიდებულია ბურთის სავარაუდო მიმღების ტალანტსა და ტექნიკაზე. ყველაზე ხშირი გაგრძელება ასეთია - ბურთის იდიოტურად მოშორება, პასის გამკეთებლისთვის დაბრუნება ან უახლოესი პარტნიორისთვის გადალოცვა. არაფერი განსაკუთრებული და საინტერესო. ძალიან ცოტა ბედავს ოდნავ ორიგინალურობას, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ამ ორიგინალურობის პროდუქტიულობას.

და მხოლოდ მაშინ, როცა ბურთს რონალდინიო ელის, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არ შეიძლება ჟურნალში ჩახედვა, ტელეფონზე დარეკვა, ბუზების თვლა, ერის მომავალზე ფიქრი და ასე შემდეგ. ამ მომენტში ყველაფერი უნდა დაივიწყო და დააკვირდე, კარგად დააკვირდე, თუ რა არის ეკოლოგიურად სუფთა ფეხბურთი.

P.S. გუშინაც იყო ერთი ძალიან ნიჭიერი ადამიანის, ჩემი ახლო მეგობრის დაბადების დღე. სამწუხაროდ, ის ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ სულ მგონია, რომ ძველებურად ჩემხელაა. ამ სვეტს სწორედ მას, ლევანჩო აბესაძეს ვჩუქნი.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# შესანიშნავი შვიდეული

უქმეებზე ევროპაში გამართულ ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში კარგად ითამაშეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტებმა. რვა მონაწილიდან მორიგი მატჩები შვიდმა მოიგო. "ბარსელონა" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს. კატალონიელებმა სტუმრად - 2:0 დაამარცხეს ბასკური "რეალ სოსიედადი".

გამარჯვება მხოლოდ ესპანურმა "ვილიარეალმა" ვერ მოიპოვა. გუნდმა მადრიდის "ატლეტიკოსთან" ფრედ - 1:1 ითამაშა. მატჩის დასაწყისში დიეგო ფორლანმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მადრიდელებმა შემდგომში მოახერხეს თანაფარდობის აღდგენა.

ამრიგად "ბარსელონამ" "რეალთან" თავისი უპირატესობა ორი ქულით გაზარდა და ახლა ის 11 ქულას შეადგენს. როგორც ყოველთვის კატალონიელთა გამარჯვებაში ფასდაუდებელი როლი მიუძღვის ბრაზილიელ რონალდინიოს. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ორი საგოლე გადაცემა გაუკეთა შვედ ჰენრიკ ლარსონსა და კამერუნელ სამუელ ეტო`ოს, რომლებმაც გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი - 2:0.



*ბარსელონას გამარჯვების შემოქმედნი - ჰენრიკ ლარსონი, რონალდინიო და ეტო`ო*

ტურინის "იუვენტუსმა" იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში "ლივორნო" - 3:1 დაამარცხა და ლიდერის პოზიციაზე 10-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებს. სამი ქულა ტურინელებს დავიდ ტრეზეგეს დუბლმა და დელ პიეროს გოლმა მოუტანეს. აი, მეორე ადგილისთვის კი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის პირდაპირი საგზური მოაქვს, იტალიაში შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს. თავისი მატჩები მოიგო ორივე მილანურმა კლუბმა, "მილანმა" და "ინტერმა". ისინი შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე იმყოფებიან. განსხვავება კი ორ ქულას შეადგენს. უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს დუბლმა "მილანს" საშუალება მისცა "უდინეზე" გაენადგურებინა - 4:0, ხოლო "ინტერის" შემადგენლობაში "ლაციოსთან" დუბლი გაახერხა ალვარო რეკობამ. კიდევ ერთი გოლი კი ლუიშ ფიგუს ანგარიშზეა - 3:1.

ლონდონის "არსენალი" შეუპოვრად იბრძვის ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასასვლელად, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. "ჩარლტონის" დამარცხების შემდეგ არსენ ვენგერის გუნდი ორი ქულით ჩამორჩება ლონდონის "ტოტენჰემს", რომელიც ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება. "არსენალს" ლონდონურ დერბიში წარმატება რობერ პირესის, შედი ადებაიორისა და ალექსანდრ გლების ზუსტმა დარტყმებმა მოუტანეს.

ფრანგული "ლიონი" კი შესანიშნავად ატარებს წლევანდელ სეზონს. გაანადგურა რა "სოშო" - 4:0 "ლიონმა" ჩემპიონატში ზედიზედ გამარჯვებათა სერია ხუთამდე აიყვანა. სილვენ ვილტორმა დუბლი გაახერხა. ბენუა პედრეტიმ და ფლორან ლამუდამ კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

ლისაბონის "ბენფიკამ" კი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაუტანა გოლი "რიუ ავეს" და პორტუგალიის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მიითვალა - 1:0. გოლი ანგოლელმა ფორვარდმა მანტორასმა გაიტანა. "ბენფიკა" ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფება და გათამაშების ლიდერ "პორტუს" 7 ქულით ჩამორჩება.

# არსენ ვენგერი: "მომავალ სეზონს "არსენალში" გავატარებ"

"მადრიდის "რეალის" უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ. "არსენალის" შემდეგ ეს ჩემი უსაყვარლესი კლუბია, მაგრამ ესპანეთში არ წავალ. მომავალ სეზონში კვლავაც "არსენალს" გავწვრთნი", - დარწმუნებით აცხადებს ფრანგი მწვრთნელი, რითაც საბოლოოდ უარყოფს ხმებს მისი "რეალში" შესაძლო გადასვლის თაობაზე.

**- ხმა დაირხა, რომ "რეალს" თქვენ ან კარლო ანჩელოტი ჩაიბარებთ...**

- ესე იგი, ეს ანჩელოტი იქნება. თუმცა, არ არის გამორიცხული, ახალი კანდიდატურაც ამოტივტივდეს. ყოველ შემთხვევაში, დღე არ გავა, რომ მსოფლიო პრესაში ახალი კანდიდატურები არ დაასახელონ.

**- როგორც ჩანს, ანჩელოტიც უარის თქმას აპირებს "რეალის" წინადადებაზე...**

- საოცრად სასიამოვნოა ამის მოსმენა. მადლობას ვუხდი ანჩელოტის ჩვენი სამუშაოს ასეთ მაღალ დონეზე დაფასებისთვის. მე მისი მესმის.

**- მარტინმა აღიარა, რომ მას "არსენალის" თამაშის სტილი ძალიან მოსწონს და სწორედ ასეთი "რეალის" ხილვა სურს - სწრაფის, ახალგაზრდულის, შემტევის...**

- მხოლოდ ის შემიძლია გავიმეორო, რაც არაერთხელ მითქვამს. კონტრაქტი "არსენალთან" 2008 წლამდე მაკავშირებს და, როგორც წესი, აღებულ ვალდებულებებს პატივს ვცემ.

**- ამბობენ, რომ "რეალში" მისული მწვრთნელი საკმაოდ მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება. კერძოდ, ამჯერად მაინც, ის უხელმძღვანელებს გუნდს და გააკეთებს ყველაფერს, რაც სურს...**

- თქვენ ეს გულწრფელად გჯერათ?

**- იმისთვის, რომ "რეალში" მისვლა თქვენთვის მიმზიდველი გახდეს, გარანტიები ხომ არ გჭირდებათ, რომ თქვენს საქმეში არავინ ჩაერევა?**

- გულახდილად რომ ვთქვა, წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ მადრიდში მუშაობა ძალზე საინტერესო იქნება. მე "რეალს" მართლა ვაღმერთებ და გავიმეორებ, რომ "არსენალის" შემდეგ ეს ჩემი უსაყვარლესი კლუბია, თან ასეთი დამოკიდებულება მაქვს ბავშვობიდან. როცა პატარა ვიყავი, "რეალის" თითოეულ წარმატება-წარუმატებლობას ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს. ამ გუნდზე ძალიან ბევრი კარგი შემიძლია ვთქვა, მაგრამ ამჟამად ჩემი პრიორიტეტი "არსენალია". ჩვენ ახალ გუნდს ვქმნით და კვლავაც ძლიერ, კონკურენტუნარიან მოწინააღმდეგედ ვყალიბდებით. მსურს, ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანო.

**- ესპანეთში კიდევ ერთი პოპულარული თემა ტიერი ანრის უკავშირდება. კატალონიურ სპორტულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია "ბარსელონასთან" და სეზონის დასრულების შემდეგ ამ კლუბში გადავა. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ "ბარსელონა" შეგნებულად არ ახმაურებს ამ ინფორმაციას, რათა საზოგადოების ინტერესი წინასწარ არ მიიპყროს და ტრანსფერი არ ჩაიშალოს...**

- არა მგონია, ეს სიმართლე იყოს. ჯერ ერთი, ვერ წარმომიდგენია, ანრიმ მოლაპარაკება ჩემს ზურგს უკან გამართოს. ამას გარდა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ კონტრაქტი "არსენალთან" მას მომავალი წლის ბოლომდე აკავშირებს. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი ამბავი ამ თავდამსხმელის სადმე გადასვლასთან დაკავშირებით გამოგონილია, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ თავად არ ვაღიარებთ ასეთი მოლაპარაკებების რეალურობას. და კიდევ: ყველასთვის ნათელია, რომ დაიწყო თამაში ინგლისურ და ესპანურ მედიასაშუალებებს შორის. ერთი რაღაცას აქვეყნებს, მეორე - მაშინვე გადაბეჭდავს ამ ინფორმაციას და პირიქით.

**- კი მაგრამ, კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება? ამაზე რას იტყვით?**

- თავად განსაჯეთ: რამდენიმე ხნის წინ ვცდილობდი, რომ ჩემთან დაკავშირებული ჭორები გამეფანტა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ანრისთან დაკავშირებით კი მოვლენათა განვითარების მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს: იგი ან უახლოეს ხანში გააგრძელებს კლუბთან კონტრაქტს, ან - სეზონის დასრულების შემდეგ. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ფეხბურთელის გადაწყვეტილება უნდა მოვისმინოთ. ყველაზე მთავარია, რომ იგი კონცენტრირებული იყოს "არსენალში" თამაშზე და იგი ამას აკეთებს, რაც იმით მტკიცდება, რომ ანრი ბევრს არ ლაპარაკობს და თავის საქმეს არ ღალატობს - გოლები გააქვს. მან ბრწყინვალედ იცის, თუ რას ვთავაზობთ. ჩვენ პატივისცემით მოვეკიდებით ანრის ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ვიცით, რომ დღეს იგი მზად არ არის, ჩვენთან ერთად მიუჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდას. ამ გადაწყვეტლიებას პატივს ვცემთ და ვეთანხმებით.

**- იქნებ ანრის გადაწყვეტილება დამოკიდებულია კლუბის შედეგებზე მიმდინარე სეზონში?**

- რა თქმა უნდა, მას სურს ჩემპიონთა ლიგაში თამაში. თუმცა, ვფიქრობ, მისი გადაწყვეტილება ამ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული. აი, იგი რას ფიქრობს: "მინდა თუ არა მე კარიერა "არსენალში" დავამთავრო? მინდა თუ არა დარჩენილი საფეხბურთო კარიერა და მისი საუკეთესო წლები ერთ კლუბში გავატარო?" სინამდვილეში იგი ასეთი დილემის წინაშე დგას.

**- რამდენად მალე გაიმართება კლუბისა და ფეხბურთელის შეხვედრა მოსალაპარაკებლად?**

- მან ბრწყინვალედ იცის, თუ რას ვთავაზობთ. ყველაფერი გარკვეულია და ისღა გვრჩება, ფეხბურთელის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

**ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს ბანკის ქონების დაზღვევაზე**

გთხოვთ, მოგვაწოდოთ დაზღვევის პირობები დალუქული კონვერტით და წარწერით მამუკა ტაბიძეს, კონფიდენციალურია.

**მისამართზე: ს.ს. "პროკრედიტბანკი" სათაო ოფისი მამუკა ტაბიძე, დ. აღმაშენებელის 154. თბილისი, ტელ: 202222 შიდა: 2225 დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დამიკავშირდით იმეილზე: m.tabidze@procreditbank.ge დაზღვევის პირობების მოწოდების ბოლო ვადაა 22 მარტი.**

**განცხადება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს გაზეთ "24 საათის" საავტომობილო საწვავის შესყიდვასთან დაკავსშირებით გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტმა".

**უმაღლესი საბჭოს აპარატის სატენდერო კომისია**

ჩოგბურთი

# ფედერერი და მორესმო





პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ საჩემპიონო რბოლაში ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელთა ნუსხა არის აღბეჭდილი. რეიტინგი გამოიყენება საერთაშორისო ტურნირებზე ჩოგბურთელთა განთესვისთვის და ის 52 კვირის შედეგების მიხედვით არის შედგენილი.

ვაჟთა შორის ამ რეიტინგს დამაჯერებლად ლიდერობს შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, როჯმელმაც ამას წინათ ინდიანა-უელსში 36-ე ტიტული მოიგო კარიერის განმავლობაში. ფინალში ფედერერმა ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი დაამარცხა. მეორე საფეხურზე ესპანელი რაფაელ ნადალი დამკვიდრდა. არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა კი მესამე საფეხურს გაუგო გემო. მან ამ პოზიციიდან ამერიკელი ენდი როდიკი ჩამოაქვეითა.

ქალთა ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. რეიტინგს სათავეში ფრანგი ამელი მორესმო ჩაუდგა. მორესმომ პირველობა ბელგიელ კიმ კლიისტერსს წაართვა. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტსმენთაგან არცერთს ინდიანა-უელსის უმაღლესი კატეგორიის ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია. ტურნირი კი 18 წლის რუსმა მარია შარაპოვამ მოიგო. ფინალში მან თანამემამულე ელენა დემენტიევა დაამარცხა. შარაპოვამ ამ გამარჯვებით რეიტინგის მეოთხე საფეხური დაიგემოვნა და მსოფლიო ყოფილი პირველი ჩოგანი ამერიკელი ლინდსი დევენპორტი შეავიწროვა.

გაგაცნობთ, საჩემპიონო რბოლაში რეიტინგის პირველ ათეულებს.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6935 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4890 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2560 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 2535 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2420 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2295 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 2025 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1985 |
| ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1880 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 1825 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3511 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 3290 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2944 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2753 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2524 |
| მარი პირსი (საფრანგეთი) | 2436 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2160 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2125 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია) | 1900 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 1492 |

**განცხადება**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის განჩინებით შპს "საგზაო საწარმოს" კრედიტორთა კრება გაიმართება 2006 წლის 28 მარტს 1000 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. გაკოტრების მმართველის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების განხილვა;
2. მიმდინარე საქმეები.

მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N 5

**მალხაზ მართალიშვილი**
**გაკოტრების მმართველი**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის თეიმურაზ მოსიაშვილის გარდაცვალების შესახებ და ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობა გიწვევთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად**

კონკურსის მიზანია გამოავლინოს გამარჯვებული ორგანიზაცია დედოფლისწყაროს გაზსადენის რეაბილიტაციისათვის.

პროექტის ღირებულებაა 147 000 ლარი.

ტენდერში მონაწილეობის მოსაკრებელი 200 ლარი.

საკონტაქტო პირი ემზარ ჯანაშვილი. ტელ: 899 77 00 35.

ქ. დედოფლისწყაროს გამგეობის შენობა, კოსტავას 42.

# შიშვლები კარაკასში

სიმონ ბოლივარი მე-19 საუკუნის ვენესუელის გმირია. ბოლივარი, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ბრიტანელი არტისტის სპენსერ თენიქის მსხვერპლი გახდებოდა. არადა, თავისი პროექტით "შიშვლები" უამრავი ცნობილი ადგილის მონახულების შემდეგ, თენიქი ბოლოს სწორედ კარაკასს და ქალაქის მთავარ მოედანზე ბოლივარის ძეგლს მიადგა. ფოტოგადაღებებში, რომლის შედგენა-არშედგენის მთავარი პირობაც შიშველი ხალხის დიდი მასაა, 1500-ზე მეტმა დედიშობილა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. შიშვლები ზუსტად იმ ადგილზე, სადაც პრეზიდენტ უგო ჩავეზის მხარდამჭერთა მრავალათასიანი მიტინგები იმართება ხოლმე.



უცნაურ შოუს უამრავი ჟურნალისტი და ცნობისმოყვარე გამვლელი ადევნებდა თვალს. მონაწილეები კი ხუმრობდნენ, თენიქს ხმამაღალი შეძახილებით აქებდნენ და ფოტოგრაფებისთვის ათასგვარ პოზას იგონებდნენ.

"ძალიან, ძალიან, ძალიან მაგრად ვიმუშავე და ხალხიც ძალიან, ძალიან, ძალიან ამყვა", - განაცხადა თენიქმა შოუს დასრულების შემდეგ. ერთ-ერთმა მონაწილემ 30 წლის ჯერი ლინომ კი დასძინა: "ეს რაღაც სრულიად ახალი იყო ჩემს ცხოვრებაში. და იმასაც მივხვდი, რომ გრადა უბრალო გაშიშვლებისა, საქმე მქონდა ხელოვნებასთან".

წინასწარ პროექტში მონაწილეობის სურვილი 7800-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა. ჩაეწერნენ კიდეც სიებში, მაგრამ ბოლივარის ძეგლთან ბოლოს 2 ათასამდე მსურველი შეგროვდა.

თენიქს ხელში მეგაფონი ეჭირა და პროექტში მონაწილეებს ბოლო ხმაზე აძლევდა ბრძანებებს. სხვადასხვაგვარი სიმაღლის, სიგანის, ფორმის და კანის ფერის ადამიანი კი ძეგლის წინ, კიბეებსა და მოედანზე მორჩილად ასრულებდა თითოეულ ბრძანებას. ზოგი იწვა, ზოგი იდგა, ზოგი ჩამუხლულიყო. თენიქი კი ყვიროდა: "აი, იქ ვიღაცას რაღაც აცვია, სასწრაფოდ მოშორდეს აქაურობას, ან ბოლომდე გაიხადოს!"

ბრძანებას ყველა ემორჩილებოდა. კარიბული მზის ქვეშ გაშიშვლება არავის დაზარებია. როცა ყველაფერი დასრულდა, 35 წლის ქირურგი ჯოზეფა მარია ბრისენო უყვებოდა პრესას: "სანამ სახლში პროექტის ბეჭდურ ვარიანტს არ გამომიგზავნიან, მშობლებს არაფერს ვეტყვი. დედაჩემი იფიქრებს, გაგიჟდაო".

ნიუ იორკელი არტისტი სპენერ თენიქი ნუდისტთა ჯგუფებს 1992 წლიდან მსოფლიოს უამრავ ქალაქში იღებს: ნიუ იორკში, ლონდონში, საუ პაულოში, ბრაზილიაში, ვენაში. ამერიკაში ჩატარებული გადაღებების გამო ის რამდენჯერმე დააკავეს კიდეც. თუმცა, სპენსერ თენიქი ტრადიციას მაინც არ ღალატობს და ბოლივარის ძეგლთან ვენესუელელების გაშიშვლების შემდეგ კმაყოფილი ამბობს:

"სხეული არის სილამაზე, სიყვარული და მშვიდობა. დღესაც ხალხისგან ზუსტად ეს სილამაზე და სიყვარულით სავსე ენერგია წამოვიდა". უფრო ვრცლად მისი ფილოსოფიის შესახებ ამ მისამართზე შეგიძლიათ, გაიგოთ:

http://www.spencertunick.com

# ახალი ბლოკბასტერები

V for Vendetta - "ვ, როგორც ვენდეტა" - ეს ახალი ფილმის სათაურია, რომელშიც ნატალი პორტმანი თამაშობს მთავარ როლს და რომელიც ამერიკული კინოსალაროების ახალი კვირის ბლოკბასტერი გახლავთ. 26.1 მილიონი აშშ დოლარი - ეს კი ის თანხაა, რომელიც ძმები ვაჩოვსკების პროდიუსერობით გადაღებულმა სურათმა გამოსვლისთანავე, ანუ პირველივე შაბათ-კვირას დააგროვა. თუმცა, ფული ხომ ყოველთვის არ ნიშნავს კინოკრიტიკოსთა აღიარებას. ბრიტანელი მწერლის ალან მურის გრაფიკული რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმს დიდი ქება-დიდება არ მოჰყოლია. ფილმში ნატალი პორტმანი თამაშობს გოგონა ივის როლს, რომელსაც უცნობი, უცნაური სახელით V მას ერთ სამკვდრო-სასიცოცხლო სიტუაციაში გადაარჩენს. ფილმის მსვლელობისას ირკვევა, რომ V კეთილისმსურველია და რომ ნატალი პორტმანის გმირიც მისი თანამზრახველი ხდება. პორტმანს პარტნიორობას ფილმში ჰუგო ვივინგი უწევს.

ვარსკვლავებითაა დახუნძლული ბლოკბასტერების სიაში მეორე ადგილზე გასული მეორე სურათიც. "დაწყების შიში", რომელიც ქართული კინოთეატრებისთვის ითარგმნა, როგორც "სიყვარული დიდ ქალაქში" (სარა ჯესიკა პარკერის ხათრით) ამერიკაშიც ძალიან პოპულარულია. ფილმი ჯერ პირველ ადგილზე იყო, ახლა კი ნატალი პორტმანის გამოჩენის შემდეგ მეორეზე ჩამოქვეითდა 15.8 მილონი დოლარით სალაროში.

საუკეთესო ხუთეულში კი დააგვირგვინა "დისნეის" "შეგი დოგმა", რომანტიკულმა კომედიამ "ეს ქალი კაცია" და რიმეიქმა ძველი საშინელებათა ჟანრის ფილმისა "მთებსაც თვალები აქვთ".

რაც შეეხება სხვა ქვეყნების კინოგემოვნებას, ის ამერიკულისგან დიდად არ განსხვავდება. ზემოთ ჩამოთვლილი ფილმების გარდა ამერიკაში, კანადასა და ბრიტანეთში თითქმის თანაბრად პოპულარულია "ვარდისფერი პანტერა". პირველ შაბათ-კვირას კომედიამ კანადისა და ამერიკის კინოთეატრების სალაროებიდან 12.3 მილიონი დოლარი ამოიღო. სტივ მარტინის დებიუტი ბრიტანეთშიც წარმატებული იყო - 2 მილიონი გირვანქა სტერლინგით სალაროში. საერთოდ ამ პოპულარული რიმეიქის საერთო შემოსავალი შტატებს გარეთ 47.3 მილიონი დოლარია.

# ოპერა განდიზე



სულ მალე ინგლისის ნაციონალური ოპერის თეატრში მაჰათმა განდიზე შექმნილი ოპერის დადგმას დაიწყებენ. ფილიპ გლასის საოპერო ნამუშევარი 2006-2007 წლის თეატრალური სეზონის რეპერტუარში შევა. ეს იქნება მისი პირველი ნაწარმოები, რომელიც დიდ ბრიტანეთში აჟღერდება.

ამ დადგმის განხორციელების ინიციატორია თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჯონ ბერი, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანების დისკრედიტაცია მათი რასისა და შეხედულებების გამო ჯერ კიდევ აქტუალურია. მინიმალისტ კომპოზიტორს ფილიპ გლასს ეს ოპერა 1970 წელს დაუწერია. ოპერა დაუდგამთ კიდეც ნიდერლანდებში 1980 წელს.

# გოჩა ჩოგოვაძე ევროპის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს

ევროპის აკადემიის საზეიმო სხდომაზე, საფრანგეთის მეცნიერებათა ასოციაციის წარდგენით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, იუნესკოს მისიების ხელმძღვანელი გოჩა ჩოგოვაძე ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დარგში მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპის აკადემიის ნამდვილ წევრად ერთხმად აირჩიეს.



მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპის აკადემიის მხარდამჭერები არიან ევროკავშირი და ავსტრიის რესპუბლიკა, მსოფლიოს მთელი რიგი ფონდები და ასოციაციები. მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპის აკადემიის შემადგენლობაში მსოფლიოს მასშტაბით 80-ზე მეტი ცნობილი ინსტიტუტი და ცენტრია გაერთიანებული. აკადემიას პატრონაჟს უწევენ ესპანეთის მეფე ხუან კარლოს ბურბონი, ბელგიის მეფე ფილიპი ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი და სხვები. აკადემიაში გაერთიანებულია ევროპის, აზიისა და ამერიკის 1200 მეტი მეცნიერი, მკვლევარი, ფილოსოფოსი და ხელოვანი, მათ შორის 12 ნობელის პრემიის ლაურეატია.

# სიახლე არომატების ბაზარზე

"ბოდი შოპი" ეს სახელი ყველამ იცის, ვისაც პარფიუმერია - სურნელოვანი საპნების, შამპუნების და ლოსიონების სამყარო უყვარს. "ლორეალმა" სწორედ ეს ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი მაღაზიების ქსელი შეიძინა. ახლა ბრიტანული კომპანია, რომელიც 1976 წელს დაფუძნდა ფრანგული "ლორეალის" ხელში გადავა. "ბოდი შოპის" მფლობელი ანიტა როდიკი მხოლოდ აქციათა 18 პროცენტს და კონსულტანტის სტატუსს დაიტოვებს.

ამ ახალ ამბავთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე "ლორეალის" აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა ლინდსი ოუენ-ჯონსმა განაცხადა: "ანიტას რომ თანხმობა არ ეთქვა, ჩვენ დღეს აქ არ ვიქნებოდით. "ბოდი შოპის" ყველა ერთგულ კლიენტს პირველ რიგში ეს აინტერესებს ჩვენგან - დარჩება თუ არა ანიტა კომპანიაში. ეს ასეც იქნება. "ლორეალის" გამოცდილება და ცოდნა საერთაშორისო ბაზარზე და "ბოდი შოპის" ორიგინალური კულტურა და ფასეულობები ორივე კომპანიას ძალიან წაადგება".

ასე რომ, ახლა "ბოდი შოპის" ქოქოსის კაკლის კარაქით, სკრაბებით, ჩანთებით, სუნამოებით, მასაჟებით, სასაჩუქრე პაკეტებით და ათასი მისთანა წვრილმანი სიამოვნებით "ლორეალთან" ერთად შეგიძლიათ ისიამოვნოთ - ჯერჯერობით ვირტუალურად:

http://www.thebodyshop.com

# ნარკომანია, აივ/შიდსი და ვირუსული ჰეპატიტები

## ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების ზოგიერთი ასპექტი

ნარკომანია დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების ერთერთი მთავარი პრობლემაა. დიდი ხანია ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა თითქმის ყველგან შეიმჩნევა ნარკოტიკების მოხმარების ზრდის ტენდენცია. ყოველივე ეს საქართველოსაც შეეხო. ციფრები შემაშფოთებელია, 170 000-დან 240 000-მდე ნარკოტიკის მომხმარებელი, მათ შორის 50 000 - 70 000 ნარკოტიკს ინექციური გზით მოიხმარს. ნარკომანიასთან ბრძოლის გზაზე თანდათანობით ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება, პრევენცია და ზიანის შემცირება. პრევენცია წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია იმ ადამიანებისაკენ, რომელთაც ჯერ არ გაუსინჯავთ ნარკოტიკი. რაც შეეხება ზიანის შემცირებას, იგი მიმართულია ნარკოტიკის მომხმარებლისდაკენ და გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ ზიანს, როგორც თვით ნარკოტიკის მომხმარებლებში, ასევე ზოგად მოსახლეობაში.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც დგას ნარკოტიკის მომხმარებლებში, ეს არის აივ/შიდსითა და ვირუსული ჰეპატიტებით დაინფიცირების ძალზე მაღალი რისკი. ამ პუბლიკაციაში ზიანის შემცირებას სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ.

ბოლო მონაცემებით მსოფლიოში აივ ინფიცირების 42 მლნ შემთხვევაა დაფიქსირებული. 10 მლნ უკვე გარდაიცვალა ამ დაავადებით.

დღეისათვის საქართველოში აივ/შიდსის გავრცელების მხრივ პრე-ეპიდემიური სიტუაციაა. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მონაცემებით საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია აივ ინფიცირების 900-მდე შემთხვევა, საექსპერტო შეფასებით კი მათი რაოდენობა 3000 ადამიანს აღემატება. საყურადღებოა, რომ ოფიციალურად რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულთა დაახლოებით 63% ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებელია.

რაც შეეხება ვირუსულ ჰეპატიტებს, ამ მხრივ მდგომარეობა უფრო სერიოზულია. საქართველო ამიერკავკასიის ქვეყნებთან ერთად ეპიდემიურ ზონადაა მიჩნეული. ვირუსული ჰეპატიტების, განსაკუთრებით კი **C** ჰეპატიტის გავრცელების მაჩვენებელი ძალზე მაღალია. ინფიცირებულთა დიდი ნაწილი ისევ და ისევ ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებლები არიან. ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ ნარკომანები განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან ამ დაავადებებთან მიმართებაში. ამის მიზეზი კი მათი სარისკო ქცევებია, რომელიც განაპირობებს ნარკოტიკის მომხმარებლებში აივ/შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების გავრცელებას. მოკლედ შევეხოთ გადაცემის გზებსა და სარისკო ქცევის თავისებურებებს.

აივ/შიდსისა და ვირუსული (**B დაC**) ჰეპატიტები გადაეცემა:

ნარკოტიკების ინექციური (ნემსით) გზით მოხმარებისას, საზიარო ნემსის, შპრიცის, ფილტრის, ნარკოტიკის მოსამზადებელი ჭურჭლის გამოყენებისას;

საზიარო ნემსის და შპრიცის მოხმარებისას სამკურნალო მიზნებისათვის;

დაუცველი (უპრეზერვატივოდ) ვაგინალური, ორალური, განსაკუთრებით ანალური ჰეტერო და ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტის დროს;

სხვისი საპარსი საშუალებების გამოყენებისას;

ტატუირების ("ნაკოლკის") გაკეთებისას;

ორსულობის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების დროს დედიდან შვილზე (თუ დედა ინფიცირებულია);

და მაინც, რატომაა ნარკოტიკის ინექციური გზით მომხმარებელი განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ. ყოველივეს განაპირობებს გარკვეული სარისკო ქცევები, რომლების სწორედ ამ კონტინგენტისათვისაა დამახასიათებელი. პირველ რიგში ესაა საერთო შპრიცის, ნემსის ან სხვა საინექციო ატრიბუტიკის გამოყენება. საზიარო შპრიცისა და ნემსის მოხმარებას ზოგჯერ რიტუალური ხასიათი აქვს და თითქოს ხაზს უსვამს მათ მეგობრობას, ურთიერთნდობას. ზოგჯერ ამის მიზეზი სუფთა შპრიცის არქონაა. აბსტინენციის მდგომარეობა კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. ნარკოტიკული შიმშილის დროს ნარკოტიკის მომხმარებელი საკუთარი ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე აღარ ფიქრობს. არანაკლებ საფრთხის შემცველია ნარკოტიკის მომხმარებელთა სქესობრივი ქცევა. ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ განსაკუთრებით მაღალია შემთხვევითი დაუცველი სქესობრივი კავშირების სიხშირე. ასეთ შემთხვევაში რისკის ქვეშაა არა მარტო შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი, არამედ მისი მეუღლე ან მუდმივი სქესობრივი პარტნიორი. შესაბამისად ნარკოტიკის მომხმარებელი უკვე საფრთხეს უქმნის არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ოჯახს, ახლობლებს, საზოგადოებას.

კიდევ ერთი შემაშფოთებელი ფაქტი, საქართველოში განუხრელად იზრდება ნარკოტიკის მოხმარების შემთხვევები სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის. გოგონები მოიხმარენ როგორც "მსუბუქ" (მარიხუანა, ანაშა...) ასევე "მძიმე" ნარკოტიკს (ოპიატები, ჰეროინი, სუბუტექსი...). ბოლო დროს აქტუალური გახდა ფსიქოსტიმულატორების (ექსტაზი, კრეკი და ა.შ.) გამოყენება, რაც ძირითადად დისკოთეკებსა და ახალგახრდული თავშეყრის სხვა ადგილებში გვხვდება. ეს გოგონები თინეიჯერები არიან, ეს სწორედ ის ასაკია, როდესაც ყალიბდება რეპროდუქციული სიტემა, ორგანიზმი სქესობრივი მომწიფების ეტაპზეა. ასეთ დროს ნარკოტიკის გამოყენება განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია. გარდა პირდაპირი ზემოქმედებისა, ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევებიდან გამომდინარე მაღალია აივ/შიდსით, ვირუსული ჰეპატიტებით სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით დაინფიცირების რისკი. ყოველივე ეს პირდაპირ ზეგავლენას ახდენს შთამომავლობაზე, რაც ვლინდება თანდაყოლილი ინფექციებისა და ანომალიების მაღალი ალბათობით.

ყოველივე ზემოთაღნშინულზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. ერთერთი მათგანი არასაკმარისი ინფორმირებულობაა. ნარკოტიკის მომხმარებლებსა და მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ სათანადო ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რაც ნარკოტიკის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს. უსაფრთხოების ელემენტალური ღონისძიებების იგნორირება მიზეზი ხდება სიცოცხლისათვის საშიში, განუკურნებელი დაავადებებისა. ასეთ შემთხვევაში დაცული არავინ არის.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკის **მოხმარება** კანონით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას. ნარკოტიკის არაერთი მომხმარებელი ხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. დღეისათვის კი, ჩვენს ქვეყანაში, ციხე ნამდვილად არ არის ის ადგილი სადაც ადამიანი რაიმე დადებით ზეგავლენას განიცდის. პირიქით, ციხეებში არსებული ვითარება კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას, რაც პირველ რიგში განპირობებულია იქ არსებული მძიმე სოციალური და სანიტარული პირობებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2005 წლის მოხსენებაში ნათქვამია: "სასჯელაღსრულების დაწესებულებები განსაკუთრებულ მაღალი რისკის მქონე ადგილებს წარმოადგენენ აივ ინფექციის გავრცელებასთან მიმართებაში, რაც აიხსნება შემდეგი ფაქტორებით: არასაკმარისი სახცხოვრებელი ფართი, ცუდი კვება, შეზღუდული სამედიცინო დახმარება, არალეგალური ნარკოტიკის გამოყენება და მასთან ერთად უსაფრთხო ინექციის მეთოდების უგულებელყოფა, დაუცველი სქესობრივი კავშირები, ტატუირების პარქტიკა."

უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებშია. უფრო მეტიც, ჩვენს ციხეებში მკვეთრად შეზღუდულია სამედიცინო სერვისებისა და ერთჯერადი სამედიცინო მასალების ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ერთი თვის განმავლობაში ერთ პატიმარზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია მხოლოდ 50 თეთრი. ერთჯერადი სამედიცინო მასალების დეფიციტი განაპირობებს იმას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განსაკუთრებულად მაღალია საზიარო შპრიცისა და ნემსის გამოყენების შემთხვევები არა მარტო ნარკოტიკის მოხმარების, არამედ სამკურნალო მიზნითაც. ასეთ შემთხვევაში კი აივ/შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების დაინფიცირების რისკი ერთიორად იზრდება.

საქართველოში ციხეები არის ის ადგილი, სადაც აივ/შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების გავრცელება რამოდენიმეჯერ მეტია ვიდრე ზოგად მოსახლეობაში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ საშიში დაავადებების მოსახლეობაში გავრცელება და ეპიდემიური აფეთქება სწორედ ციხეებიდან მოხდა. ნათელია, რომ თუ დროულად არ გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, შესაძლოა საქართველოშიც იგივე მოხდეს. ეს ღონისძიებები კი ზიანის შემცირების მომენტებს უნდა შეიცავდეს, რაც გულისხმობს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, ერთჯერადი საინექციო მასალების შეუზღუდავ დისტრიბუციას, ჩანაცვლებით თერაპიას, სოციალურ რეაბილიტაციას და ა.შ.

გთავაზობთ კიდევ ერთ ამონარიდს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2005 წლის მოხსენებიდან:

"ევროპის ქვეყნებში ნარკოტიკის მოხმარების სიხშირე პატიმართა შორის გაცილებით მეტია ზოგად პოპულაციასთან შედარებით. საგულისხმოა, რომ ბევრ მათგანს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრისას, უკვე ჩამოყალიბებული აქვს მძიმე ფიზიკური დამოკიდებულება."

საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ვალდებულია ნარკოტიკის მომხმარებელს ერთხელ მაინც უფასოდ ჩაუტაროს მკურნალობის (დეტოქსიკაციის) კურსი, თუმცა სახსრების უქონლობის გამო აღნიშნული ვალდებულება არ სრულდება. შესაბამისად მკურნალობა მხოლოდ ფასიანია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი საერთოდ შეუძლებელი. ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ნარკოტიკის მომხმარებლის ციხეში გამომწყვდევით მდგომარეობა არათუ უმჯობესდება, არამედ გაცილებით უფრო მძიმდება. დაპატიმრებით ნარკომანს ვაგზავნით ისეთ ადგილას, სადაც მას გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია საკუთარი თავისთვის, ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

ალბათ დროა საქართველომ გაიზიაროს ის მიდგომები და პოზიტიური გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ევროპის ქვეყნებში და რომელთა ეფექტურობა დღეისთვის ეჭვს აღარ იწვევს. ეს გამოცდილება კი ზიანის შემცირების პროგრამების სასარგებლოდ მეტყველებს. აუცილებელია ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული კანონების ლიბერალიზაცია. ნარკოტიკის მოხმარების გამო ადამიანები ციხეებში არ უნდა ხვდებოდნენ. დროა ამოქმედდეს ზიანის შემცირების პროგრამები, დაინერგოს მკურნალობის, ჩანაცვლებითი თერაპიისა და რეაბილიტაციის მეთოდები.

ყოველივე ამის განხორციელებაში კი განსაკუთრებული როლი იმ ადამიანებს ეკისრებათ, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავენ.

და ბოლოს, ნარკოტიკის მომხმარებელი ისევეა ჩვენი საზოგადოების წევრი, როგორც ყოველი ჩვენგანი. ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი დამნაშავე არ არის, იგი დაავადებულია. მას მკურნალობა და თანადგომა ესაჭიროება. სახელმწიფომ ამ ადამიანებს უნდა მისცეს შანსი, შანსი იმისა, რომ დაძლიონ სენი, დაუბრუნდნენ ოჯახს და საკუთარი ადგილი იპოვონ საზოგადოებში.

**გიორგი ლომიძე**
**საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"**

სტატია დაწერილია სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიული პროგრამის (SCAD) პროექტის ფარგლებში, დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ

ანოვანო

ფოტოკონკურსი უფროსკლასელთათვის

ჟურნალი "ანო და ვანო" აცხადებს ფოტოკონკურსს!

**თემა: ცნობილი ფრაზა სოსო ჩხაიძის "თუში მეცხვარიდან"- "ბალღო, აი, ეს არის შენი სამშობლო!"**

ფოტოების ზომა: 10x15.

100 საუკეთესო ნამუშევარი გამოიფინება 30 ივნისს კინოთეატრ "ამირანში".

**საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება პრიზით:**

**Nikon F 75**

სპეციალური პრიზები დააწესეს:
ჟურნალმა "ანაბეჭდი"
კომპანიამ "არსი"
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა.

საინფორმაციო მხარდაჭერა: ტელეკომპანია "რუსთავი 2"; გაზეთი " 24 საათი"; რადიო "მწვანე ტალღა"; რადიო "ახალი ტალღა";

**ფოტოების მიღების ბოლო ვადა:**
**31 მაისი, 2006წ.**

ფოტოები მოგვაწოდეთ მისამართზე:
თბილისი, პეტრიაშვილის N7,
21-ე საჯარო სკოლის შენობაში (ყოფილი მე-6)
ჟურნალ "ანო და ვანოს" რედაქცია ან
ელ-ფოსტით:
**anovano@yahoo.de**
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან - 17 საათამდე.

TV5MONDE

## 21 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ცივილიზაციები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ჩვენი ბაღი. **13.15** ამერიკული ფრანკოფონია. ლორიდა. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** გზააბნეული გოგები. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ დუტი. 2002. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. წითელი მეგობარი. 1924-1943. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. **24.00** გადაცემა: თალასა. **02.20** გადაცემა: კროსვორდი. დებატები პოლიტიკურ თემებზე. **05.30** გადაცემა: თვალსაზრისი.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში”

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# პავიჩი საქართველოში

მზევინარ ხუციშვილი



"თუ გსურთ გაიგოთ ამ ცხოვრების ინჩი და ბინჩი, ბევრი იკითხეთ მილორად პავიჩი." ეს სიტყვები ღიმილნარევი ტონით ბატონმა თამაზ ებანოიძემ შემოგვთავაზა გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ მილორად პავიჩის წიგნების პრეზენტაციაზე. წარმოდგენილი იყო ორი წიგნი "საწერი მოწყობილობების ზანდუკი" და "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინეპოლში", რომლებიც ელზა და გიორგი მეტრეველებმა თარგმნეს. ელზა მეტრეველმა, მამუკა ხანთაძემ, მიხო მოსულიშვილმა, წიგნის რედაქტორმა გურამ გოგიაშვილმა და ლაშა ბუღაძემ მიულოცეს საზოგადოებას მილორად პავიჩის შემოქმედების საქართველოში შემოსვლა და ისაუბრეს ამ ნაწარმოებების მნიშვნელობაზე. მათ მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ელზას, რომელმაც ეს წიგნები შვილის ხსოვნას მიუძღვნა. "მე ჩემმა შვილმა მაზიარა პავიჩის შემოქმედებას", - აღიარა მან.

"როგორც პირველი მკითხველი, ვაღიარებ, რომ იგი დიდი ოსტატობით არის ნათარგმნი. ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია იგი ქართულ ენაზე წავიკითხოთ", - თქვა მიხო მოსულიშვილმა.

პავიჩი ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი, მაგრამ ვერ მიიღო. თუმცა, როგორც რუსები ამბობენ, "პავიჩი - ეს არის ერთად აღებული მარკესი, ბორხესი და კორტესი". ლიტერატურისმცოდნეები მაღალ შეფასებას აძლევენ მისი ტექსტების სიმარტივესა და პარადოქსულ მრავალგანზომილებიანობას, ფორმის ვირტუოზულ ექსცენტრიკულობას. პავიჩს მიიჩნევენ თანამედროვე პროზის თვალსაჩინო ფიგურად, ოცდამეერთე საუკუნის მწერლად.

სერბი მწერალი მილორად პავიჩი დაიბადა 1929 წელს. იგი მეოცე საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი დიდი პროზაიკოსია. მის ერთ რომანში რამდენიმე რომანია. როგორც თავად მწერალი ამბობს, "ჩემი რომანი არის სახლი, რომელიც შენდება სახურავიდან და არა საძირკვლიდან". არასტანდარტული ტიპის რვა რომანმა და უამრავმა მოთხრობამ პავიჩი დღევანდელობის ერთ-ერთ გამორჩეულ მწერლად აქცია. "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინეპოლში" (1991) არის რომანი, დაფუძნებული ტაროს კარტზე, რომელშიც თავების თანამიმდევრობა და პერსონაჟთა ბედ-იღბალიც დამოკიდებულია კარტების განლაგებაზე.

პავიჩს თარგმნიან მთელ მსოფლიოში. საქართველოში მისი ნაწარმოებები წიგნებად პირველად გამოვიდა. "პირველმა ელექტრონულმა გამომცემლობამ" მოიპოვა ავტორის თანხმობა ამ პოპულარული ნაწარმოებების ქართულად თარგმნასა და გამოცემაზე. უახლოეს მომავალში ქართველი მკითხველი მიიღებს პავიჩის კიდევ ოთხ რომანს.

# ჭრელა-ჭრულა ჯიხურები სამშობლოში

ჰოლანდიელები ბრუნდებიან

სოფო კილასონია



ტაიკე ასელბერგსი, ონო ელდერენბსი და სოფო ტაბატაძე.

სწორედ იქ, სადაც რამდენიმე დღის წინ ჯი ემ თი ჯგუფი და ქალაქის მთავარი არქიტექტორი ფართს ზომავდნენ და სოფლის შენებას გეგმავდნენ, ანუ რუსთავის 7-ში, ამჟამად ცარიელ ტერიტორიაზე ერთი პატარა ნაგებობა მაინც არის შემორჩენილი. ის, რაც მხატვრის სახლის ისტორიულ ნგრევას თითქოს და გადაურჩა. ნაციონალური ხელოვნების ცენტრი ანუ NAC სწორედაც რომ იქ ბინადრობს. ამ ტერიტორიის გარშემო დავა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ცოცხალი იყო, მაგრამ დღეს აღარ. ამბობდნენ, რომ ჯი ემ თი ჯგუფის ბიზნეს კომპანიამ ნაციონალური ხელოვნების ცენტრი ნიღბად აიფარა და მხატვრის სახლის აღდგენის პერსპექტივა აქ დასრულდა, სათანადოდ მასზე ფიქრიც, რომ ყოფილი "სახლი" თანამედროვე ხელოვნების მუზეუმად იქცეოდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ და იმ ფეშენებელურ შენობაში, რომელსაც ჯი ემ თი ჯგუფი და არქიტექტურულ-საკონსულტაციო კომპანია "მეისი" ააგებენ და სადაც, როგორც ამბობენ, სხვა მრავალთან ერთად საგამოფენო სივრცეც უნდა არსებობდეს, ოდესმე თანამედროვე ხელოვნების ნანატრი მუზეუმის ჩამოყალიბების იდეაც დაიბადოს, ვინ იცის...

აწმყოს თუ დავუბრუნდებით, ძალიან კარგი იქნება, რადგანაც ბოლო ათი დღეა, ნაციონალური ხელოვნების არც თუ ისე შელამაზებულ ოთახებში ჰოლანდიელი და ქართველი თანამედროვე მხატვრები ერთად ფიქრობდნენ, ერთად აზროვნებდნენ, მაგრამ მაინც განსხვავებულად. სწორედ ამ განსხვავებაშია ხოლმე მთავარი ხიბლი, ხანდახან ერთადერთიც კი... თუმცა ამჯერად საქმე ხიბლზე საუბარი როდია. ჰოლანდიურ-ქართული პროექტი, რომლის შესახებაც საერთოდ უკვე ბევრი ითქვა, დასრულდა. "საქართველოვ, ჩვენ მოვდივართ" - ასეთია სლოგანი, რომლითაც ჰოლანდიელებმა ქართველი ახალგაზრდა ხელოვანები მიიზიდეს და მათთან ერთად შეეცადნენ საქართველოს, კონკრეტულად კი თბილისის აღმოჩენას.

მაინც რა დარჩა ამ ქალაქსა და მის სტუმრებს შორის არსებულ საზღვარზე რთული სათქმელია, თუმცა ალბათ მაინც დარჩა რაღაც. თუ 19 მარტს გამართული მათი გამოფენით ვიმსჯელებთ, ჰოლანდიელი მხატვრებისთვის საქართველო ინტერესმოკლებული არ ყოფილა, პროექტით მისი ორგანიზატორიც, მხატვარი სოფო ტაბატაძეც კმაყოფილი დარჩა, რაც შეეხება მასპინძლებს, მათთვის მთავარი გამოცდილებების გაზიარება უნდა ყოფილიყო. ლექცია-შეხვედრებს, რომლებზეც ჰოლანდიელები საკუთარ განხორციელებულ პროექტებზე საუბრობდნენ, მოისმინეს, ალბათ მეტ-ნაკლებად მოიწონეს, თუმცა ფაქტია, რომ მათ მონათხრობს გარკვეული იდეა-წინადადებები დაახვედრეს. გამოდის, რომ ინიციატივათა პროვოცირება მოხდა.

ისაუბრეს თანამედროვე დიზაინზე, საგალერეო საქმეზე, კონკრეტულ არტისტულ პროექტებზე, ყველაფერზე, რასაც ისინი ჰოლანდიასა და კიდევ სხვაგან აკეთებდნენ. არ უსაუბრიათ ამ ყველაფრის ქართულ ვერსიებზე. ანუ დიალოგი არ ყოფილა. დიალოგი ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, მაგრამ დიალოგი გარემოსთან იყო და ეს ალბათ სტუმრებს ბევრად აინტერესებდათ. ის რომ მსმენელი "აზრსმოკლებული" არ ჰყავდათ, ტაიკე ასელბერგსის აღმოჩენა გახდა. ამ უკანასკნელმა ინიციატივათა კონკურსი გამოაცხადა და გარკვეული კრიტერიუმებით რჩეული იდეებიც დაასახელა. იდეები კი, რომელიც სხვა მრავალთან ერთად 19 მარტიდან NAC-ის დარბაზშია გამოფენილი, ქართველ არტისტებს ეკუთვნით და ყველა თავისებურად საინტერესო გამოდგა.

გამოფენის გახსნაზე აშკარად ხალხმრავლობა იყო. პარალელურ რეჟიმში უყურებდნენ ვიდეოს, ჰოლანდიელების თბილისში დაბადებულ სურვილებს, კიდევ რაღაცას სვამდნენ და კიდევ რაღაცას საუბრობდნენ. თანამემამულეების გამოფენით დაინტერესდა ქალბატონი სანდრა რულოვსი, ჰოლანდიის ელჩი საქართველოში ონო ელდერანბსი და კიდევ სხვა მრავალი... ჰოლანდიელების პროექტებთან ერთად გარკვეული ნიშა ქართველი ახალგაზრდა მხატვრების მიგნებებსაც დაეთმო, რომლებმაც ამ ათი დღის განმავლობაში 21 ერთწუთიანი ვიდეო გადაიღეს და სხვა ვიდეოებთან შედარებით ყველაზე დიდი პუბლიკა შეაჩერეს დარბაზში საკუთარ კადრებთან.

გამოფენის ხილვა დღესაც შესაძლებელია. ჰოლანდიელების ინიციატივების განხორციელება კი გარკვეულ დროს მოითხოვს თუ საერთოდ განხორციელდება, რა თქმა უნდა. თუმცა, ეჭვი იმიტომ არ გაჩნდა, რომ ჰოლანდიელებს სათანადო ენთუზიაზმი არ ექნებათ, სულაც არა, უბრალოდ მათი პროექტები ცოტა შორსაა იმ ადგილებისგან სადაც ქართველები ვარსებობთ ანდა იმისგან, რაც ქართველებს დღეს გვაწუხებს და გვაინტერესებს.

ერთ-ერთი სტუმრის სურვილია, რომ ქალაქში ყველა ჯიხური და სავაჭრო დახლი ღია ცის ქვეშ არსებულ მუზეუმში მოათავსოს, ნიშნად და სახედ ჩვენი ყოფისა და ჩვენი ეკონომიკისა. ვინ იცის, იქნებ ჩვენს საამაყო ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჭრელა-ჭრულა და ჭუჭყიანი ჯიხურებიც მოათავსონ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ჩვენ არ გაგვიკვირდება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ამბავი დიდად მოგვხიბლავს და აღგვაფრთოვანებს...

ჰოლანდიელ მხატვრებს კიდევ ერთი შეხვედრა დარჩათ სამხატვრო აკადემიაში ჩასატარებელი. რამდენიმე დღეში სამშობლოში დაბრუნდებიან, თან წაიღებენ ქართველი მხატვრების ფილმებს, იდეა პროექტებით შექმნილ შთაბეჭდილებებს და არ ვიცი ზუსტად, შესაძლოა, მრავალ სუვენირს. რა შეიძლება კიდევ ითქვას, ალბათ შეიძლება კიდევ ერთი რამ აღინიშნოს. ამ პროექტის შემდეგ თბილისში დარჩება ერთიორი ათეული ახალგაზრდა ხელოვანი, რომლებსაც ერთად ფიქრი მოეწონათ და ერთმანეთის ხელოვნებას, რაღაც მაინც გაუგეს. ამ დღეებში კი ერთად ძალიან ბევრი რამ დაგეგმეს. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "გეოეარის" მისია ამ ეტაპზე მარტო ამიტომაც დასრულდა წარმატებით.

# სულ პატარა მარიამი



ოსკარის ყველაზე ახალგაზრდა პრეტენდენტი ქალი ღვთისმშობელს განასახიერებს. თხუთმეტი წლის ახალზელანდიელი კეიშა კაზლ ჰუიზი ფილმისთვის "შობა" მარიამის როლზე დაამტკიცეს.

2004 წელს სრულიად ახალგაზრდა მსახიობი გოგონა, რომელმაც "Whale Rider"-ში მთავარი როლი შეასრულა, ამერიკის კინოაკადემიამ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ოსკარზე წარადგინა.

ნახევრად ავსტრალიელმა, ნაწილობრივ კი მაორიმ, კეიშამ ამ ფილმის გარდა, კიდევ "ვარსკვლავთა ომებში" ზეცის დედოფალი განასახიერა.

"შობის" რეჟისორად კომპანია "ნიუ ლაინ სინემამ" კეტრინ ჰარდვიკი შეარჩია. მას ეკუთვნის ერთგვარი კინო-ჰიტი "დოქტაუნების მეფეები" და საოჯახო დრამა "ოცდაათი". მომავალი ფილმის სცენარი მაიკლ რიჩს ეკუთვნის. გადაღებები მაროკოსა და იტალიაში პირველ მაისს დაიწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პირველი კადრის პირველი დუბლიც არ არსებობს, ფილმის პრემიერის თარიღი უკვე ცნობილია. ის წლეულს, პირველ დეკემბერს გაიმართება.

ფილმში მოგვითხრობენ მარიამისა და იოსების ისტორიას. სიუჟეტური კულმინაცია ნაზარეთიდან მათ წასვლას ემთხვევა. მოქმედ პირთა შორის იქნებიან იროდი, იოანე ნათლიმსცემელი და მთავარანგელოზები.

"შობა" ნამდვილად არ არის პირველი ფილმი ღვთისმშობელზე. 1978 წელს ბერნარდ კოვალსკიმ გადაიღო ამავე სახელწოდების ორსაათიანი ტელეფილმი, რომელშიც მედლინ სტოუ და ჯონ ში თამაშობდნენ. 1979 წელს გაჩნდა კიდევ სხვა ტელეფილმი "მარიამი და იოსები: რწმენის ისტორია". 2003 წელს BBC-მ აჩვენა მრავალსერიანი ფილმი "მარიამი, იესოს დედა". 2005 წელს ამ თვალსაზრისით აღსანიშნავი გახლდათ აბელ ფერარის კინონამუშევარი "მარიამი". მთავარ როლს ჯულიეტ ბინოში ასრულებს. ამ ფილმმა ვენეციის კინოფესტივალზე ოთხი პრემია დაიმსახურა.

# სიშიშვლე სირცხვილი არ არის



ბეტი პეიჯი "ფლეიბოის" ერთ-ერთი პირველი მოდელი გახლდათ. თუმცა, ჯერ სად იყო ეს ჟურნალი, როცა ამ ქალბატონს უკვე ამერიკული პორნოგრაფიის სახედ იცნობდნენ. ის იყო მედდა, მონაზონი, მასწავლებელი, კოვბოი, ჯუნგლების დედოფალი და ქალი კნუტით. მოკლედ, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა წარმოსახვაში აღმოჩენილიყო. მის შესახებ არაერთი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, მისი ფოტოებით სავსეა ინტერნეტ-საიტები. მეტიც, მას სენატის ერთ-ერთი კონგრესიც კი მიეძღვნა - მაშინ მისი სადომაზოხისტური ფოტო განიხილეს... ასეთ ფოტოებს ბეტი მსურველებს შორის გამოწერის საშუალებით ავრცელებდა. ჰიუ ჰეფნერი, "ფლეიბოის" მთავარი რედაქტორი ბეტიზე უგონოდ ყოფილა შეყვარებული. მაშინ, როცა მან თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, ბატონმა რედაქტორმა მისი ყველა ვალი უმალ დაფარა.

50-იანი წლების ბოლოს ბეტი პეიჯმა სამოდელო კარიერა დაასრულა, თუმცა 70-იანი წლებიდან მისი პერსონა უწინდელივით მოდური გახდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ახალი თაობის მოდელები მისი სახისა და იმიჯის იმიტაციას ახდენდნენ. ბეტის კულტი უკვე ინტერნეტის გამეფების დროიდან ხელახლა აღდგა. მისი ოფიციალური საიტი დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მასში 588 მილიონი მნახველი დაფიქსირდა.

რაც შეეხება მხატვრულ ფილმს ბეტი პეიჯზე, ის მხოლოდ ახალახან გადაიღეს, თუმცა რამდენიმე კინოფესტივალზე, ტორონტოსა და ბერლინში, მისი ჩვენება მაინც მოხერხდა. სურათი ამერიკულ კინოგაქირავებაში ერთ-ერთი ლიდერია. ბეტი პეიჯის როლს გრეტჰელ მოლი ასრულებს. როგორც ამბობენ, თავად 82 წლის ბეტი ფილმის შემქმნელებს მნიშვნელოვან რჩევებს აძლევდა გადაღებების დროს.

"მეჩვენება, რომ დღეს უფრო ცნობილი ვარ, ვიდრე 50-იან წლებში ვიყავი. იყო შიშველი გადამღები კამერების წინაშე, სულაც არ არის სირცხვილი, თუ, რა თქმა უნდა, არ იქცევი ისე, როგორც მეძავი. ბოლოს და ბოლოს, ადამი და ევაც ღმერთმა შიშვლები დაბადა და, სავარაუდოდ, სამოთხის ბაღში ის თავადაც შიშველი იყო", - განაცხადა პეიჯმა ინტერვიუში "ლოს ანჯელეს თაიმსთან".

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ვინ იგებს და ვინ ზარალდება ინფლაციის დროს?



B2

## ამერიკის შეერთებული შტატების დილემა



B3

## დოლარის კურსმა დაიკლო, ამერიკულმა საფონდო ინდექსებმა კი ისევ მოიმატა

## ძვირფასი ლითონი ძვირდება

## ამერიკა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ უშვებს

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3379 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0074 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8275 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8498 |
| 1 ბულგალური ლეი | BGL | 1,1372 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2980 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3184 |
| 1 ევრო | EUR | 2,2230 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4213 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3514 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3839 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1566 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2050 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,2004 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2661 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3920 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5807 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,1346 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3834 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,4015 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2783 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5798 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6140 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0660 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1287 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4053 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5690 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,6762 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6114 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8580 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2583 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1430 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4418 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2381 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4150 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0781 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2276 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2356 |



# ქართული ოქრო ლონდონის ბირჟაზე

"მადნეულსა" და "კვარციტში" 30 მილიონი დოლარის ინვესტირება იგეგმება



B2

ნინო ნატროშვილი

*საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს "მადნეულის" პრივატიზაციას უხმაუროდ არ ჩაუვლია. მითქმა-მოთქმა და გახმაურებული სკანდალები საზოგადოებას ამ ობიექტის შესახებ ჯერ კიდევ იქ, ავსტრალიური კომპანიის საქმიანობისას ახსოვს. რენტაბელურ ოქროს მომპოვებელ კომბინატს ბიუჯეტის მიმართ მუდმივად სოლიდური დავალიანება ჰქონდა. ბოლო წლებში საწარმო, ფაქტობრივად, კლანური ინტერესების მძევლად იქცა.*

- 2006 წელს საწარმო გეგმავს 2 მილიონი ტონა კვარციტის ქანების გადამუშავებას, საიდანაც, სავარაუდოდ, 1,8-1,9 ტონა ოქროს დორე შენადნობი იქნება მიღებული.
- ინვესტორი სს "მადნეულსა" და შპს "კვარციტში" 2006 წელს 30 მილიონი დოლარის ინვესტირებას აპირებს. აღნიშნული საწარმოები "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" საკუთრებაა.
- 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით სამთო გადამამუშავებელი კომბინატი "მადნეული" და ოქროსგადამამუშავებელი საწარმო "კვარციტი", სავარაუდოდ, 54 მილიონ ლარს გადაიხდიან.

# უკრაინა - "გაზპრომის" რთული ფინანსური სქემის ტყვე

- რუსულმა "ნოვაია გაზეტამ" "როსუკრენერგოს" "გენეალოგიის ხე" გამოაქვეყნა, რომელზეც რუსულ-უკრაინული ინტერესების მჭიდრო კავშირი იყო ასახული. ამის თანახმად, უკრაინული მხარის უკან ორი იდუმალებით მოცული ოფშორული კომპანია - "უკრინვესტი" და "ზანგაზი" დგას.
- უკრაინამ რუსული გაზის ექსპორტირების შესაძლებლობა დაკარგა. აქამდე, უკრაინა თბილი ზამთრის პერიოდში გაზს საკუთარ მიწისქვეშა საცავებში ზოგავდა. შემდეგ კი მას თავისუფალ ბაზარზე მაღალ ფასებში ყიდდა. ეს "ნაფტოგაზს" დანაკარგების დაფარვაში ეხმარებოდა.

დიანა ჩაჩუა

*რუსეთთან ხელშეკრულების ხელმოწერით, რითაც უკრაინის გაზის კრიზისი დასრულდა, კიევი რთული ფინანსური სქემის ტყვედ იქცა, - წერს უცხოური მედია.* **"ეს ორივე მხარისთვის მომგებიანი შეთანხმებაა,"** *- "აღფრთოვანებას" ვერ მალავდა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო, როდესაც უკრაინა-რუსეთს შორის გაზის ხელშეკრულების დადების შესახებ განაცხადა. ევროპამ კი შვებით ამოისუნთქა: კიევზე ზეწოლისთვის მოსკოვმა გაზის ონკანი გადაკეტა, რის გამოც ევროპის ბევრ ქვეყანაში ბუნებრივი აირის უკმარისობა იგრძნობოდა. "გაზის ომი" ოფიციალურად დასრულდა. თუმცა, როგორც ამბობენ, უკრაინამ ძალიან არამომგებიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.*




"როსუკრენერგოს" "გენეალოგიის ხე", რომელიც "ნოვაია გაზეტამ" გამოაქვეყნა

B3

## დეპოზიტებისა და სესხების მოცულობის ზრდის ტენდენცია გრძელდება

**თბილისი.** საქართველოში კომერციული ბანკების მთლიანი დეპოზიტები 2006 წლის იანვარ-თებერვალში 103,9 მლნ ლარით (8,8%-ით)ს გაიზარდა და 1 278,7 მლნ ლარი შეადგინა.

სებ-ის ცნობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულმა დეპოზიტებმა 29,6 მლნ ლარით, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 74,3 მლნ ლარით მოიმატა. ზრდის ტენდენცია მეტწილად უცხოურ ვალუტაში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები იანვარ-თებერვალში 116,8 მლნ ლარით გაიზარდა და 1,853 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 36,3 მლნ ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 80,4 მლნ ლარით არის გაზრდილი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ლარის კურსი აშშ დოლართან 1,8275 ნიშნულზე შენარჩუნდა

**თბილისი.** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 21 მარტიდან /1,8275 ნიშნულზე დააფიქსირა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 20 მარტს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 90 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8275 ლარი. უცხოურ ვალუტაზე ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნა-მიწოდებამ 1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე დაფიქსირდა შემდეგი კურსი: 1 აშშ დოლარი - 1.8275 ლარი.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 20 მარტს დაიდო 10 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 21 მარტიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი: 1 გირვანქა სტერლინგი - 3.2109 ლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა შეზღუდულია

**მცხეთა-მთიანეთი.** ინტენსიური თოვის გამო, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა.

გზის ამ მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა აკრძალულია. დანარჩენი ავტოტრანსპორტისთვის გადაადგილება დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით და ზვავდამცავი გვირაბების გავლით.

გზის დანარჩენ მონაკვეთზე მოძრაობა თავისუფალია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ქათმის მწარმოებელი კომპანიები ბიზნესის პროფილის შეცვლას არ აპირებენ

**თბილისი.** საქართველოში ქათმის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები, ფრინველის გრიპის გამო, ბიზნესის პროფილის შეცვლას არ აპირებენ, - უთხრეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს მეფრინველეობის ასოციაციაში. ასოციაციის წარმომადგენლის, კომპანია "მუხრანის" მარკეტინგის მენეჯერის მარინა ნოზაძის თქმით, დღეს ქართულ ბაზარზე 10-მდე მსხვილი და საშუალო კომპანიაა წარმოდგენილი. მათი წარმოების მოცულობა კი ბოლო თვეების განმავლობაში 90%-ით შემცირდა. მინიმუმამდეა დაყვანილი საინკუბაციო კვერცხის იმპორტი, რომელიც ძირითადად თურქეთიდან შემოდიოდა. თურქეთიდან ამ პროდუქციის იმპორტის აკრძალვის შემდეგ, კომპანიებმა ალტერნატიული წყაროები მოძებნეს ევროპაში. ქვეყანათა არეალი, სადაც ქათმის გრიპი არ არის დაფიქსირებული, დღითი დღე მცირდება. ამჟამად საინკუბაციო კვერცხი მხოლოდ ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და დანიიდან შემოდის. მარინა ნოზაძის თქმით, ქათმის ხორცს, როგორც დიეტურ საკვებს, ექიმები ბავშვებს და ავადმყოფებს ურჩევდნენ. ენდოკრინოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელის დავით ვირსალაძის თქმით, ქათმის ხორცისა და კვერცხის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ენდოკრინოლოგები ამ პროდუქტის ჩანაცვლებას მოსახლეობას საქონლის ხორცით, თევზეულით და რძის პროდუქტებით ურჩევენ. ეს პროდუქტები ადამიანისთვის აუცილებელ ისეთ ცილებს შეიცავს, რომელთაც ორგანიზმი თავად ვერ წარმოქმნის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში" დასაქმებულთა რიცხვი 25%-ით გაიზარდა

**რუსთავი.** მიმდინარე წლის დასაწყისში ქარხანაში 640 ადამიანი იყო დასაქმებული, დღევანდელი მდგომარეობით, კი ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობებზე 860 თანამშრომელი მუშაობს. ქარხნის მეპარტონე კომპანია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" მომავალში თანამშრომელთა რიცხვის გაზრდას კიდევ გეგმავს. ასევე იგეგმება ხელფასების მომატებაც. მათი მონაცემებით, მიმდინარე წლის 2 თვეში თანამშრომელთა ხელფასები საშუალოდ 15%-ით გაიზარდა. "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანა" აუქციონის წესით 2006 წლის 12 ოქტომბერს შეიძინა. მფლობელი კომპანია ინვესტიციების განხორციელების გზით გეგმავს ქარხნის საწარმოო სიმძლავრეების სრულად ამოქმედებას.

როგორც "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" წარმომადგენლები აცხადებენ, ამ დროისათვის უკვე აკრძალულია ქარხნის ტერიტორიიდან ჯართის და მეტალის შემცველი წიდის გატანა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## პენსიები 5 ლარით გაიზარდა

**თბილისი.** პენსიონერთა ხელფასები ორშაბათიდან 5 ლარით გაიზარდა და 28-ის ნაცვლად 33 ლარი შეადგინა.

როგორც საქართველოს ერთიან სადაზღვევო ფონდში აცხადებენ, გაზრდილ პენსიებს საქართველოს მასშტაბით 800 ათასი ადამიანი მიიღებს, რისთვისაც ფონდმა დამატებით 4 მილიონი ლარი გამოყო.

ერთიანი სადაზღვევო ფონდის ინფორმაციით, პენსიების ზრდა მიმდინარე წლის სექტემბრის თვეშიც იგეგმება, რის შედეგადაც, საპენსიო თანხა 38 ლარამდე გაიზრდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# ქართული ოქრო ლონდონის ბირჟაზე

პირველი გვერდიდან

2005 წლის ნოემბრიდან სს "მადნეულის" პრივატიზაციის შემდეგ, საწარმოში "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" საქმიანობს, რომელიც მსხვილი რუსული ბიზნესჯგუფის "პრომიშლინიე ინვესტორის" შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. ინვესტორი სს "მადნეულსა" და შპს "კვარციტში" 2006 წელს 30 მილიონი დოლარის ინვესტირებას აპირებს. აღნიშნული საწარმოები "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" საკუთრებაა. სს "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კობა ნაყოფიას ინფორმაციით აღნიშნული ინვესტიციიდან 5 მილიონი დოლარი საკუთარი რესურსებია, ხოლო 25 მილიონი დოლარი მოზიდული სახსრები იქნება. განხორციელებული ინვესტიცია, ძირითადად, საწარმოს განვითარებაზე, ახალი ტექნიკის შეძენაზე და საწარმოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე დაიხარჯება, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კობა ნაყოფიამ.

### ჩემი ოქრო ჩემთან

ბრიტანული კომპანია "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულად 2005 წლის ნოემბერში გამოცხადდა. მას გადაეცა სს "მადნეულის" სახელმწიფო წილის 97,25 პროცენტი და "მადნეულის" საკუთრებაში არსებული კვარციტის 50 პროცენტი. ინვესტორმა სულ 51,1 მილიონი დოლარი გადაიხადა. აქედან 35, 1 მილიონი დოლარი მადნეულის წილში, ხოლო 16 მილიონი დოლარით საწარმოს ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება დაიფარება. "მადნეულის" პრივატიზაციის შემდეგ ინვესტორმა კვარციტის 50-პროცენტიანი წილიც იყიდა, რომელიც ავსტრალიურ კომპანია "კროუფორდსა" და "ბოლნისი მაინინგს" ეკუთვნოდა. ახლა უკვე კვარციტის 100 პროცენტი "მადნეულს" ეკუთვნის, ხოლო "მადნეული" - "სტენტონ ექუითიზი კორპორეიშენს".

2006 წლის დასაწყისიდან ინვესტორმა 1 მილიონი დოლარის ღირებულების ტექნიკა შეიძინა. კობა ნაყოფიას ინფორმაციით, 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით სამთო გადამამუშავებელი კომბინატი "მადნეული" და ოქროსგადამამუშავებელი საწარმო "კვარციტი", სავარაუდოდ, 54 მილიონ ლარს გადაიხდიან.

ამ თანხის გარდა, "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" 16 მილიონი დოლარის გადახდას გეგმავს. ამ თანხით ის სს "მადნეულის" და "კვარციტის" გასული წლის საბიუჯეტო დავალიანებას დაფარავს, რაც კომპანიასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

### "კვარციტი" წარმოებას ზრდის

საწარმოს საქმიანობის პერსპექტივებზე საუბრისას სს "მადნეულის" და შპს "კვარციტის" გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ჩაიკამ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ 2006 წელს იგეგმება "მადნეულის" საბადოს კარიერის კორექტირება, რაც მოპოვებითი სამუშაოების ტემპს გაზრდის. ჩაიკას შეფასებით, მადნის მოპოვების ტემპი ბოლო წლებში იმიტომ დაეცა, რომ საბადოს ექსპლოატაცია არასწორად ხდებოდა.

ჩაიკას თქმით, 2006 წელს იგეგმება 5,1 კუბური მეტრი მადნის გადამუშავება,. 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 2,1 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, საიდანაც მიღებული იქნა 60 ათასი ტონა მადნის კონცენტრატი.

რაც შეეხება "კვარციტს", ვლადიმერ ჩაიკას განმარტებით, 2006 წელს საწარმო გეგმავს 2 მილიონი ტონა კვარციტის ქანების გადამუშავებას, საიდანაც, სავარაუდოდ, 1,8-1,9 ტონა ოქროს დორე შენადნობი იქნება მიღებული.

2007 წლიდან. შპს კვარციტის წარმოება 1,5-ჯერ გაიზრდება. ამ ეტაპზე კვარციტი სოლიდური ინვესტიციების განხორციელებას არ საჭიროებს. კაპიტალდაბანდებები მაშინ გახდება საჭირო, როცა დღის წესრიგში ახალი საბადოების დამუშავება დადგება. რომლებიც "მადნეულიდან" რამდენიმე კილომეტრის დაშორებით საუდრისში მდებარეობს. ჩაიკას თქმით, საბადოს გეოლოგიური ექსპერტიზა და საძიებო სამუშაოები 2006 წელს განხორციელდება, ხოლო 2007 წელს საყდრისის საბადოზე მადნის მოპოვება უნდა დაიწყოს.

როგორც ჩაიკამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ამ დროისათვის "მადნეულის" პროდუქციის ექსპორტი თურქეთსა და ბულგარეთში ხორციელდება., ხოლო "კვარციტის" პროდუქცია კანადის ოქროს გადამამუშავებელ ქარხანაში იგზავნება, შემდეგ კი ლონდონის ოქროს ბირჟაზე იყიდება.

### რა ელის მაშავერას და კაზრეთულას

"სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" წარმომადგენლები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობას. ვლადიმერ ჩაიკას ინფორმაციით, მარტის ბოლოს ინვესტორი საქართველოს ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვის სამინისტროებს ეკოლოგიური უსაფრთხოების სპეციალურ პროგრამას წარუდგენს, სადაც ჰაერის, წყლის და გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე იქნება აქცენტები გაკეთებული. მისი თქმით, პროგრამა დამოუკიდებელმა აუდიტმა მოამზადა.

"სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" ამით არ შემოიფარგლება და მალე საერთაშორისო ეკოლოგიურ აუდიტს მოიწვევს, რადგან ინვესტორს სურს, რომ "მადნეულსა" და "კვარციტში" ეკოლოგიური მდგომარეობა საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს. წინასწარი შეფასებით, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას 3-4 მილიონი დოლარი დასჭირდება.

საწარმოების გენერალური დირექტორის ვლადიმერ ჩაიკას ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით "კვარციტში" ეკოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო "მადნეულში" კარიერებში წყლის მოხვედრის შემდგომ გარემოს ეკოლოგიურად დაბინძურების საფრთხე არსებობს. თუმცა ამ პრობლემას რუსულ-ქართული კომპანია "ეკოლოგი" აგვარებს, რომელიც ასუფთავებს წყალს და ფილტრებს. მაგრამ ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას დამატებითი სამუშაოების განხორციელება სჭირდება. ამ დროისათვის ინვესტორი რამდენიმე კომპანიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და სპეციალური ლაბორატორიის შემოტანასაც გეგმავს, რომელიც გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას გააკონტროლებს.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის" საქმიანობას სს "მადნეულსა" და შპს "კვარციტში" წარმატებული უწოდა, "რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ კერძო ხელში საწარმო უკეთესად მუშაობს. იზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა და ხელფასები. საშუალო ხელფასია 900 ლარი. ორივე საწარმოში დასაქმებულია 1 200 ადამიანი," - განაცხადა მან "24 საათთან" საუბრისას.

# ვინ იგებს და ვინ ზარალდება ინფლაციის დროს?

- **დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაციის პირობებში მცირდება საპროცენტო განაკვეთებში ინფლაციის რისკის პრემია. შესაბამისად, მცირდება რეალური საპროცენტო განაკვეთები და იზრდება საინვესტიციო აქტივობა.**
- **ფასების საერთო დონის სტაბილურობა, რაც დაბალ და პროგნოზირებად ინფლაციას გულისხმობს, არის აუცილებელი პირობა მაღალი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად.**




თინა შავაძე

*მცირე დოზით ინფლაცია, ეკონომიკური ზრდის დახმარების თვისებაა და ეს მეწარმისთვის კარგიც არის. ინფლაცია ადამიანებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს: ზოგი ზარალდება, ზოგიც იგებს. ძირითადად, ზარალდებიან მეტ-ნაკლებად ფიქსირებული შემოსავლის მქონენი, მეანაბრეები, კრედიტორები და ბიზნესმენები. ინფლაციის შედეგად მოგებულები ისინი არიან, ვისაც არამყარი, მოვლენებზე და ვითარებაზე დამოკიდებული შემოსავალი აქვს.*

**მეანაბრეები.** ცნობილია, რომ ზოგი თავის ფულს ათავსებს შემნახველ ანგარიშებზე ან ობლიგაციებში, რაც მოგების ფიქსირებული ნორმის - სარგებლის, ანუ პროცენტის მიღების გარანტიას იძლევა. თუკი მოგების ნორმა ინფლაციის დონეზე მეტი თუ არა, მისი ტოლი მაინც არ არის, მეანაბრეთათვის დაბრუნებული ფულის მყიდველობითი უნარი, მათ მიერ გადადებული თანხის მყიდველობით უნარზე ნაკლები იქნება.

**კრედიტორები.** ფულის გამსესხებლები ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც მეანაბრეები. თუ ინფლაცია სესხის ვადის პერიოდში გაიზარდა, მაშინ ვალის გასტუმრებისას გადახდილი ფული სესხის თავდაპირველ თანხაზე ნაკლები ეღირება. გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის განვითარების ტემპს აღემატება.

**მეწარმეები.** კომერციულ ფირმებს ინფლაცია იმის გამო აზარალებს, რომ იგი გაურკვევლობას იწვევს და ფირმის ხელმძღვანელებს მომავალი დანახარჯების პროგნოზირებას უძნელებს. ინფლაცია წარმოების ხარჯებსაც ზრდის.

ითვალისწინებს თუ არა ბანკი მოსალოდნელი ინფლაციის რისკებს და როგორ ასახავს მას ანაბარზე თანხის ბანკში შეტანისას, ან კიდევ სესხის გაცემისას - ამ კითხვით გაზეთმა "24 საათმა" რამდენიმე კომერციულ ბანკსა და ეროვნულ ბანკს მიმართა.

არჩილ მესტვირიშვილი, ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი: "კომერციული ბანკი სესხის გაცემისას ითვალისწინებს მოსალოდნელ ინფლაციას, ასევე ინფლაციის ცვლილების შესაძლო რისკს (რისკის პრემია), რაც აისახება სესხის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებში. ასევე მსესხებელი ანალოგიურად ითვალისწინებს ინფლაციის მოსალოდნელ მაჩვენებელს, ფულის სესხების პროცესში. დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაციის პირობებში მცირდება საპროცენტო განაკვეთებში ინფლაციის რისკის პრემია. შესაბამისად, მცირდება რეალური საპროცენტო განაკვეთები და იზრდება საინვესტიციო აქტივობა.

თუ ფაქტობრივი ინფლაცია უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სესხის აღების შემთხვევაში, ზარალდება მსესხებელი. ხოლო თუ ფაქტობრივი ინფლაცია აღმოჩნდა უფრო მეტი, მაშინ ზარალდება გამსესხებელი. ანალოგიურად ხდება მეანაბრის შემთხვევაშიც.

დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაციის დროს: უკეთ ხდება მოსახლეობის და ბიზნესის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება; მცირდება ინფლაციისაგან თავის დაცვისათვის, არაპროდუქტიული საქმიანობის საჭიროება, რაც ზრდის ეკონომიკის პოტენციალს; მცირდება ქონების არასამართლიანი შემთხვევითი გადანაწილების რისკი და სხვა. ამიტომ ფასების საერთო დონის სტაბილურობა, რაც დაბალ და პროგნოზირებად ინფლაციას გულისხმობს, არის აუცილებელი პირობა მაღალი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე ინფლაციის სასურველი დონე 5-6 პროცენტის ფარგლებშია."

ინფლაციის შედგად მოგებულები ისინი არიან, ვისაც ადვილად შეუძლია საკუთარი შემოსავლის გაზრდა, კერძოდ - სესხის ამღებნი და მთავრობა.

მოგებულია ის, ვისაც საკუთარი შემოსავლის გაზრდა შეუძლია. ზოგიერთი პროფესიისათვის, დარგისთვის და პროფკავშირული გაერთიანებისათვის ინფლაციის პერიოდში უფრო ადვილია ფასებისა და ხელფასების გაზრდა, ვიდრე სხვა დროს. თუ ზრდის მასშტაბი ინფლაციის ზრდის დონეზე მეტი იქნება, მაშინ ეს პირები მატერიალურად უფრო შეძლებულები გახდებიან, ვიდრე ფასების გაზრდამდე იყვნენ. ამის მაგალითია საიუველირო ნაწარმით ვაჭრობა. ინფლაციის პერიოდში საიუველირო ნაკეთობათა ფასი, ჩვეულებრივ, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ცხოვრების ღირებულება. შედეგი იუველირთა მოგების გაზრდილი კოეფიციენტია ხოლმე.

**სესხის ამღებნი.** ცალკეული პირები და ფირმები, რომლებიც სესხს ინფლაციის პერიოდში იღებენ, დააბრუნებენ ფულს, რომელიც ნაკლები ეღირება, ვიდრე სესხის აღების დროს ღირდა. თუ სესხზე დაწესებული სარგებელი ინფლაციის ზრდის ტემპზე ნაკლებია, მაშინ ამ სხვაობით სესხის ამღები იხეირებს.

**მთავრობა.** ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა და ზოგიერთი შტატის მთავრობები საშემოსავლო გადასახადებს პროგრესული განაკვეთით კრებენ. ეს ნიშნავს, რომ გადასახადის განაკვეთი მოგების ზრდასთან ერთად იზრდება. ინფლაციის პერიოდში ადამიანები ხშირად უფრო მეტ შემოსავალს იღებენ, რასაც ბევრი გადამხდელი უფრო მაღალი გადასახადების გადამხდელთა კატეგორიაში გადაჰყავს. ასეთ შემთხვევაში პირებმა, ვისი შემოსავალიც 10 პროცენტით გაიზარდა, შეიძლება აღმოაჩინონ, რომ მათი საგადასახადო განაკვეთი 12 ან, სულაც, 15 პროცენტით გაზრდილა. ამ მოვლენას გადასახადის გადამხდელის სხვა საგადასახადო კატეგორიაში გადანაცვლება ეწოდება.

ექსპერტი დათო ნარმანია განმარტავს, რომ საქართველოში პროგრესული განაკვეთის ნაცვლად ახალი საგადასახადო კოდექსით ფიქსირებული გადასახადების სისტემა მოქმედებს. ისეთი სპეციფიკური გადასახადი, როგორიცაა საშემოსავლო, განსაზღვრული, 12-პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთით მოქმედებს. ამდენად, გამორიცხულია ინფლაციის დროს კომპანიების მდგომარეობა შეიცვალოს, ანუ გადამხდელი მაღალი გადასახადების გადამხდელთა კატეგორიაში გადავიდეს. შესაბამისად, ინფლაციის დროს მთავრობა მოგებული ვერ დარჩება.

# უკრაინა - "გაზპრომის" რთული ფინანსური სქემის ტყვე

პირველი გვერდიდან

ვერც ერთი უცხოელი ექსპერტი ვერ მიხვდა, რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, საიდან გაჩნდა კომპანია "როსუკრენერგო", რომელმაც ძალიან მალე უკრაინაში გაზის მიწოდებისთვის ექსკლუზიური უფლება მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ "გაზპრომს" საკუთარი საექსპორტო ფილიალები გააჩნია, რომელთანაც უკრაინულ "ნაფტოგაზს" პირდაპირი ხელშეკრულების დადება შეეძლო. ამასთან, უკრაინის ყოფილი ხელისუფლების ინფორმაციით, "როსუკრენერგო", შესაძლოა, რუსული მაფიის, უკრაინული წარმოშობის მქონე ერთ-ერთ ხელმძღვანელს სემენ მოგილევიჩის სახელს უკავშირდება. მოგილევიჩი ფულის გათეთრების, რეკეტის და სხვადასხვა სახის მაქინაციებისთვის ფედერალური გამოძიების ბიუროს მიერ იძებნება.

უკრაინაში პოლიტიკურმა რეაქციამ დიდხანს არ დააყოვნა. უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიტალი ჩალიმ ხელშეკრულებას "უკრაინული დიპლომატიის "პერლ-ჰარბორი" უწოდა. 10 იანვარს უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატებმა ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადეს და ის "ნაციონალური ინტერესები გაყიდვაში" დაადანაშაულეს. მიუხედავად იმისა, რომ "როსუკრენერგოს" აქციონერებზე ძნელია საუბარი, მედია ვარაუდობს, რომ კომპანიის შექმნაზე რუსული მხარე, კუჩმას დროს გამდიდრებულ, უკრაინელ ოლიგარქებთან ერთად მუშაობდა. ცნობისათვის, კომპანია 2004 წლის 22 ივლისს, კუჩმას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე შეიქმნა. მისი რეგისტრაციის ადგილი კი შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონია.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან "როსუკრენერგოს" უკრაინაში თურქმენული გაზის იმპორტი დაავალეს. ის ბუნებრივ აირს თურქმენეთის საზღვარზე "იღებდა" და რუსეთ-უკრაინის საზღვრამდე "მიჰქონდა". რუსეთის და უზბეკეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის კომპანიამ ექსკლუზიური უფლებები მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს ის განსაკუთრებული ტერიტორიაა, რომელსაც "გაზპრომი" მხოლოდ თავის "მეგობრებს" ანდობს. ამასთან, ეს ფაქტი ევროპის ენერგეტიკულ ქარტიას ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა კონკურენციისთვის ღია უნდა იყოს. მოსკოვმა ხელი მოაწერა ამ ქარტიას, თუმცა მისი რატიფიცირება დღემდე არ მოუხდენია. უკრაინული გაზეთის "ზერკალო ნედელი"-ს წერდა, რომ "როსუკრენერგო" სინამდვილეში ერთ-ერთი ის შირმაა, რომლის უკანაც გაზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების მოსკოვში გადაქაჩვისთვის შექმნილი სხვადასხვა გაურკვეველი სტრუქტურები იმალება.




*რუსული მაფიის, უკრაინული წარმოშობის მქონე ერთ-ერთ ხელმძღვანელს სემენ მოგილევიჩის ინტერესები გაზის ბიზნესში*

რუსულმა "ნოვაია გაზეტამ" "როსუკრენერგოს" "გენეალოგიის ხე" გამოაქვეყნა, რომელზეც რუსულ-უკრაინული ინტერესების მჭიდრო კავშირი იყო ასახული. ამის თანახმად, უკრაინული მხარის უკან ორი იდუმალებით მოცული ოფშორული კომპანია - "უკრინვესტი" და "ზანგაზი" დგას. როგორც ამბობენ, "ზანგაზთან" "გაზპრომის" დირექტორთა საბჭოს წევრი ბოგდან ბუდზულიაკია დაკავშირებული. თუმცა, როცა ფრანგულმა "ლიბერასიონმა" "გაზპრომის" წარმომადგენელს ამის შესახებ ჰკითხა, მას ეს ინფორმაცია არც დაუდასტურებია და არც უარყვია. პუტინი მიიჩნევს, რომ "როსუკრენერგოს" "უკრაინულ ნაწილს" თავად უკრაინამ უნდა მოჰფინოს ნათელი.

ამასობაში, "როსუკრენერგომ" და "ნაფტოგაზმა" კიდევ ერთი ერთობლივი კომპანია - "უკრგაზენერგო" შექმნეს. სწორედ ის ამარაგებს უკრაინულ საწარმოებს გაზით. აქამდე ამით მხოლოდ "ნაფტოგაზი" იყო დაკავებული. **"აქამდე, ამ ბაზარზე შესვლის უფლება არ გვქონდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია,"** - აცხადებდნენ "გაზპრომში". **"აშკარაა ამ მოულოდნელი შეჭრის საშიშროება,** - წერს რუსული მედია, - **უკრაინის მრეწველობა ძალიან ბევრ ენერგიას მოიხმარს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, გაზის ფასი გაიზარდა. თუ რომელიმე საწარმო ბუნებრივი აირის საფასურის გადახდას ვერ შეძლებს, ის მთლიანად ამ ერთობლივი საწარმოს გავლენის ქვეშ მოექცევა."**

უკრაინულ მედიას შიშის საფუძველს კიდევ ერთი ფაქტი აძლევს: უკრაინისთვის 100 კუბური მეტრი გაზი 95 დოლარი მხოლოდ 2007 წლამდე ეღირება. **"შემდეგ ტარიფი საბაზრო ფასებზე იქნება დამოკიდებული,"** - ამბობენ "გაზპრომში".

ამასთან, უკრაინამ რუსული გაზის ექსპორტირების შესაძლებლობა დაკარგა. აქამდე, უკრაინა თბილი ზამთრის პერიოდში გაზს საკუთარ მიწისქვეშა საცავებში ზოგავდა. შემდეგ კი მას თავისუფალ ბაზარზე მაღალ ფასებში ყიდდა. ეს "ნაფტოგაზს" დანაკარგების დაფარვაში ეხმარებოდა.

**"უკრაინა რუსული გაზის იარაღის გამოსაცდელ პოლიგონად იქცა,"** - წერს უკრაინული "ზერკალო ნიდელი".

უკრაინელი ჩინოვნიკები ნიშნისმოგებით აცხადებენ, რომ მათ რუსეთისთვის გაზის ტრანსპორტირების სისტემა არ დაუთმიათ და ის დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაშია. ეს ხომ "გაზპრომის" მთავარი მიზანი იყო: "გაზპრომი" იამალადან ევროპისკენ მიმავალი გაზსადენის ბელარუსის მონაკვეთის 100 პროცენტს, პოლონეთის მონაკვეთის კი ჯერ მხოლოდ 45 პროცენტს აკონტროლებს. რუს მონოპოლისტს მოლდოვას გაზის ტრანსპორტირების ქსელის 46 პროცენტი, სომხეთის - 45 პროცენტი, ბალტიისპირეთის კი - 38 პროცენტი ეკუთვნის. ამბობენ, რომ საკუთარი ფილიალის "Wingaz"-ის საშუალებით "გაზპრომი" გერმანიის გაზის ტრანსპორტირების ოთხი ძირითადი მიმართულების 35 პროცენტსაც აკონტროლებს.

## დოლარის კურსმა დაიკლო, ამერიკულმა საფონდო ინდექსებმა კი ისევ მოიმატა



ევროსთან მიმართებაში ამერიკული დოლარის კურსი კვლავ შვიდკვირიანი მინიმუმის მახლობლად რჩება. კერძოდ, გუშინ ევროპაში გამართულ ვაჭრობაზე თბილისის დროით 15 საათსა და 52 წუთზე ევროსთან მიმართებაში დოლარის კურსმა 1,2171-მდე დაიკლო. ბოლო შვიდი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმუმი კი 1,2207 გახლავთ და ამ ნიშნულზე გასულ კვირაში დაფიქსირდა.

ამასთან დაკავშირების გახშირდა საუბარი, რომ აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა საპროცენტო განაკვეთების გაზრდის პროცესს მალე დაასრულებს. როგორც ცნობილია, ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ამ ღონისძიებას 2004 წლის ივნისიდან მიმართავს. აშშ-ს საფონდო ბირჟაზე კი კვლავ ინდექსების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, გუშინდელი ვაჭრობის შემდეგ Dow Jones Index 0,02 პროცენტით 11.282,37 პუნქტამდე გაიზარდა, Nasdaq Index-მა კი 0,22 პროცენტით მოიმატა და 2.311,47-ს მიაღწია. **როიტერი.**










# ამერიკის შეერთებული შტატების დილემა

## ვინ არის აშშ-ს საიმედო მოკავშირე?

თორნიკე შარაშენიძე
*ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

*აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი იზრდება, იზრდება ქვეყნის ვალიც (რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ ზემოხსენებული ხაზინის ობლიგაციებზე მოდის). მაგრამ ამავე დროს აშშ-ში არ იზრდება ინფლაცია, მთლიანი ეროვნული შემოსავალი კი გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მატულობს, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნებისა.*

აშშ ყველაზე სწრაფად ითვისებს ახალ ტექნოლოგიებს, შრომითი ბაზარი აქ ერთობ მოქნილია, ეკონომიკას კერძო კომპანიები აკონტროლებენ და შესაბამისად კონკურენცია აქ მეტია ვიდრე დავუშვათ დასავლეთ ევროპაში (რომ არაფერი ვთქვათ ჩინეთსა თუ რუსეთზე). აქ ბევრ რამეს სახელმწიფო არეგულირებს ხოლმე და სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების გატარების ყოველი მცდელობა მოსახლეობის მხრიდან პროტესტს იწვევს ხოლმე. გასულ კვირას პროტესტის ტალღა საფრანგეთს მოედო. სტუდენტებმა და პროფკავშირებმა დაგმეს ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც დამქირავებლებს უფლება ეძლევათ 26 წლამდე მუშაკები ორწლიანი გამოსაცდელი ვადით აიყვანონ და ამ ვადის განმავლობაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თავიანთი შეხედულებისამებრ გაუწყვიტონ კონტრაქტი. მთავრობა მიიჩნევს, რომ ამგვარი შეღავათი და მოქნილობა დამქირავებლებს ახალგაზრდა კადრების მიზიდვისაკენ უბიძგებს და ამ მხრივ არსებული პრობლემებიც მოგვარდება (დღესდღეობით საფრანგეთში 18-დან 25 წლამდე ასაკის მოქალაქეთა 20% პროცენტი დაუსაქმებელია), მაგრამ სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს კანონი კიდევ უფრო გააუარესებს მათ მდგომარეობას.



*გასულ კვირას პროტესტის ტალღა საფრანგეთს მოედო.*

ეს საპროტესტო მანიფესტაცია ერთ-ერთი მაგალითია და არა გამონაკლისი. ევროპაში უკვე არაერთი სახის ამგვარ პროტესტს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ევროპელები გააფთრებულები ეწინააღმდეგებიან ხოლმე საპენსიო ასაკის აწევის მცდელობას (ეს კი აუცილებელი ზომაა იმის გათვალისწინებით, რომ ევროპაში პენსიაზე გასულთა ხვედრითი წილი მალე მკვეთრად აიწევს და ეს ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვება). საერთოდ, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ევროპელებს დასვენება უფრო უყვართ ვიდრე შრომა. ევროპაში ნაკლებად ზრუნავენ შეიარაღებული ძალების განვითარებაზე - რახან უშუალო საფრთხე (როგორიც იყო მაგალითად კომუნისტური რუსეთი) აღარ არსებობს და რესურსებიც სხვა მიმართულებებით მიდის. თუმცა, შეიარაღებულ ძალებზე რესურსების დაზოგვის მიუხედავად ეკონომიკური ტემპი ამერიკულს მაინც ჩამორჩება.

ეს ვითარება შეშფოთების მიზეზს აძლევს დასავლელ პოლიტოლოგებს. თუკი ევროპის ეკონომიკა ასე გაიყინა და შესაბამისად, ძველი კონტინენტი დასუსტდა, ვის იმედად უნდა იყოს აშშ, რომლისთვისაც ევროპა ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენს? 2002 წელს გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აშშ-ის მოკავშირედ ტერორიზმთან ომში რუსეთი იყო გამოცხადებული, რომელიც "დამაიმედებელ გარდამავალ პერიოდში იმყოფებოდა და დემოკრატიული მომავლისკენ ისწრაფვოდა." მაგრამ მოყოლებული იქიდან რუსეთისადმი დამოკიდებულება კარგად ცნობილი მიზეზების გამო შეიცვალა და გასულ კვირას გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში აღინიშნება, რომ რუსეთი დასცილდა დემოკრატიის ნორმებს. დოკუმენტი მოსკოვს მოუწოდებს არ შეუშალოს ხელი დემოკრატიას, რადგან ეს იმოქმედებს რუსეთის ურთიერთობაზე მის მეზობლებთან, ევროპასთან და აშშ-სთან.

ახალი დოკუმენტი 2002 წლის სტრატეგიისგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ კიდევ უფრო მეტი აქცენტი კეთდება დემოკრატიის გავრცელებაზე (რომელიც ტერორიზმთან ბრძოლასთან ერთად უმთავრეს ამოცანადაა გამოცხადებული). სწორედ ამ ფრონტზე ქმნის კრემლი პრობლემებს. თუმცა, ცხადია რუსეთი შეტანილი არ არის იმ რეჟიმთა სიაში, რომლებიც დემოკრატიისათვის საფრთხეს წარმოადგენენ. ეს რეჟიმებია: ირანი, ჩრდილო კორეა, სირია, კუბა, ბირმა, ზიმბაბვე და ბელორუსი.

ვინ დგას აშშ-ს გვერდით ამ ამოცანების განხორციელებაში? ცხადია, ისევ და ისევ ევროპა და ასევე ახალი დემოკრატიები. თუმცა, ახალი დემოკრატიების დიდი სურვილის მიუხედავად, ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ აშშ-ის ახლანდელ პოლიტიკას, მათი საშუალებები ამ მხრივ შეზღუდულია (ისევ და ისევ ეკონომიკური ფაქტორების გამო). გადამწყვეტი სიტყვა ისევ აშშ-ზეა, რომლისთვისაც დღის წესრიგში კვლავ მწვავედ დგას ერაყის საკითხი. გასულ კვირას პრეზიდენტმა ბუშმა დამაიმედებელი განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ერაყში დღითიდღე იზრდება კარგად გაწვრთნილი ადგილობრივი სამხედრო მოსამსახურეების რიცხვი, რომლებიც თანდათანობით საკუთარ თავზე იღებენ უსაფრთხოების დაცვას და ეს აშშ-ის საშუალებას მისცემს უკვე ამ წლის ბოლოს მკვეთრად შეამციროს ერაყში თავისი სამხედრო ყოფნა.

ერაყის ომმა კიდევ ერთხელ დაანახა ყველას ის დილემა, რომლის წინაშეც დგას თანამედროვეობის უდიდესი სახელმწიფო. სახელმწიფო, რომელიც ცდილობს წესრიგი დაამყაროს სამყაროში. ეს დილემა ამგვარი სახის აღმოჩნდა: ანადგურებ დიქტატურას, მაგრამ იღებ ქაოსს. წავიდა სადამი, მაგრამ ერაყი არეულობამ მოიცვა. ამ არეულობამ და ქაოსმა საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა აშშ-ს რეპუტაციაზე. ამ რეპუტაციას კი გაფრთხილება სჭირდება, რადგან აშშ ალბათ ის ერთადერთი ძალაა, ვისაც ძალუძს მთლიანად მსოფლიოს ააცილოს ქაოსი. მაგრამ ამავე დროს როგორი იქნება აშშ-ს რეპუტაცია, მან რომ თვალი დახუჭოს ისეთ დიქტატურაზე, როგორსაც სადამის რეჟიმი წარმოადგენდა? თვალის დახუჭვისა და სირაქლემის პოლიტიკას რომ კარგი არაფერი მოაქვს, ეს არაერთმა მაგალითმა დაადასტურა. აშშ რომ სირაქლემის პოზაში ყოფნას არ აპირებს, ეს ეროვნული უსაფრთხოების ახალმა სტრატეგიამაც დაადასტურა.

## ძვირფასი ლითონი ძვირდება

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მოყოლებული ვერცხლი 18 პროცენტით გაძვირდა. გუშინ ნიუ იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე 1 უნცია ვერცხლის ფასმა 10,33/10,36 დოლარს მიაღწია, რაც ბოლო 22 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მაქსიმალურ მაჩვენებელს უახლოვდება. ამის მიზეზი ახალი საინვესტიციო ფონდ Barclays Global Investors-ის, რომელსაც აშშ-ს ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისია უახლოეს მომავალში დაამტკიცებს, შექმნის გამო ძვირფას ლითონზე გაზრდილი მოთხოვნილება გახდა.

რაც შეეხება ოქროს და პლატინას, მათი ფასი შედარებით ვიწრო დიაპაზონში მერყეობს. კერძოდ, გუშინ ვაჭრობის დაწყებისას უნცია ოქროს ფასმა 556,2 დოლარს მიაღწია, თუმცა, დღის ბოლოს 553,5/554,25 დოლარი დაფიქსირდა. უნცია პლატინას ფასმა კი გასული კვირის მონაცემებთან შედარებით 1,038/1,042 დოლარით მოიმატა და 315/318 დოლარი შეადგინა. **როიტერი.**

## ამერიკა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ უშვებს

გუშინ ჟენევაში გაიმართა რუსეთის და ამერიკის წარმომადგენელთა მორიგი მოლაპარაკება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რუსეთი ამ ორგანიზაციისაკენ 13 წელია მიიწევს. რუსეთმა უკვე გააფორმა ხელშეკრულებები იაპონიასთან და ევროკავშირის ქვეყნებთან და მიზნის საბოლოოდ მისაღწევად ამერიკის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა მხარემ წინადადებათა ახალი პაკეტი წარმოადგინა, ამერიკელთა პოზიცია კვლავ გაურკვეველი რჩება. საქმე იმაშია, რომ ამერიკელებს რუსეთის ყველა რეგიონში საკუთარი წარმომადგენლობების გახსნა სურთ, მაგრამ რუსეთი ამაზე არ თანხმდება, რადგან მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში აშშ-ს რუსეთზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელება შეეძლება. **როიტერი.**

## საპარლამენტო კომიტეტი 1 000 კუბური მეტრი საავტომობილო გაზის 70 ლარიანი აქციზით დაბეგვრის მომხრეა

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ფინანსთა სამინისტროს ავტომობილის გასამართი გაზის დებეგვრის საკუთარ ვარიანტს სთავაზობს.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ "საგადასახადო კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი ავტოსატრანსპორტო საშულებების საწვავად გამოსაყენებელი ბუნებრივი აირის 150-ლარიანი აქციზით დაბეგვრას ითვალისწინებს.

"ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილ კანონპროექტს არ ახლავს ეკონომიკური გაანგარიშება. არ არის დასაბუთებული, თუ რის საფუძველზე უნდა დაიბეგროს 1 000 კუბური მეტრი აირი 150 ლარით და არა 10 ან თუნდაც 200 ლარით", - აცხადებს ბიზნესის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ბუცხრიკიძე. საგადასახადო კოდექსით, ერთი ტონა ბენზინი 250 ლარით იბეგრება და ბენზინის გასაყიდ ფასში აქციზის წილი 12%-ია. ამ პრინციპით 1000 კუბური მეტრი გაზის აქციზი 70 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის მოსახმარი 1 000 კუბური მეტრი გაზი 150 ლარით დაიბეგრება, აქციზის წილი ღირებულების 25% გამოდის, რაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დაუშვებლად მიაჩნია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## თბილისსა და შანხაის შორის ეკონომიკური თანამშრომლობა ღრმავდება

**თბილისი.** თბილისსა და შანხაის შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს დედაქალაქში შანხაის ადგილობრივი თვითმმართველობის თერთმეტკაციანი დელეგაცია იმყოფება.

დელეგაციის წევრები ორშაბათს თბილისის მერს, ასევე დედაქალაქის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ორ ქალაქს შორის ურთიერთობათა გაღრმავების ფარგლებში, მხარეებმა ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარების საკითხები განიხილეს.

როგორც ჟურნალისტებს თბილისის მერმა, გიგი უგულავამ განუმარტა, შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს დედაქალაქში ჩინური კაპიტალის მოზიდვას. ჩინელი სტუმრები საქართველოში 22 მარტამდე დარჩებიან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## დეპუტატ გელაშვილის ბიზნესინტერესებს საპარლამენტო კომიტეტი შეისწავლის

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობამ საპროცედურო საკითხთა კომიტეტს დეპუტატ ვალერი გელაშვილის ბიზნესინტერესების შესწავლა დაავალა.

როგორც უმრავლესობის სახელით პარლამენტარმა რატი სამყურაშვილმა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იკვეთება სერიოზული ეჭვები, რომ გელაშვილი ღიად ლობირებს საკუთარ ბიზნესს და ჩართულია მის მართვაში. სამყურაშვილის თქმით, ამას ადასტურებს თავად გელაშვილის განცხადებაც, რომლის თანახმადაც, იგი საქართველოში საკუთარი ბიზნესის განვითარების და დაცვის მიზნით ჩამოვიდა. თუ საპროცედურო საკითხთა კომიტეტი გელაშვილის საქმიანობაში კანონდარღვევებს აღმოაჩენს, უმრავლესობამ შესაძლოა პარლამენტში მისი ბიზნესინტერესების შემსწავლელი კომისიის შექმნის საკითხი დააყენოს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ამინდი

| | 21/03 | 22 /03 | 23 /03 |
|---|---|---|---|
| კიევი | 0 | 3 | 3 |
| რიგა | -5 | -3 | 1 |
| ვილნიუსი | -8 | -7 | 0 |
| მოსკოვი | -6 | -7 | -5 |
| მინსკი | -2 | -5 | -1 |
| პარიზი | 6 | 0 | 6 |
| რომი | 15 | 17 | 13 |
| ლონდონი | 1 | 3 | 5 |
| მადრიდი | 12 | 10 | 7 |
| ბონი | 3 | 6 | 6 |
| ვარშავა | 0 | 3 | 1 |
| ათენა | 21 | 18 | 18 |
| ბერნი | 11 | 12 | 11 |
| ამსტერდამი | -1 | -1 | 2 |
| ოსლო | -3 | -5 | -3 |
| ანკარა | 13 | 20 | 21 |
| ვარნა | 15 | 15 | 14 |
| დელი | 33 | 33 | 33 |
| ტოკიო | 17 | 16 | 17 |
| კოპენჰაგენი | -3 | -1 | 0 |
| ბაქო | 14 | 15 | 18 |
| ერევანი | 17 | 16 | 20 |
| ასტანა | -3 | -5 | 0 |
| ჰელსინკი | -15 | -11 | -13 |
| დუბლინი | -1 | 0 | 2 |
| ლისაბონი | 15 | 13 | 12 |
| პრაღა | 2 | -6 | -5 |
| სოფია | 16 | 11 | 12 |
| ბუდაპეშტი | 14 | 7 | -3 |
| ბუხარესტი | 14 | 13 | 13 |
| პეკინი | 18 | 13 | 13 |

## მსოფლიოში შრომითი მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა 230 მილიარდ დოლარს მიაღწია

ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების საშუალებით, მსოფლიოს მასშტაბით, შრომითი მიგრანტების მიერ სამშობლოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობამ გასულ წელს დაახლოებით 230 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიოში, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების გამოკვლევის მონაცემებით, 175 მლნ-ზე მეტი შრომითი მიგრანტია აღრიცხული.

გამოკლვევის თანახმად, "ზოგიერთ სახელმწიფოში ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის მესამედს შეადგენს და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფულადი გზავნილების მიმღებნი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ აღნიშნულ თანხებზე არიან დამოკიდებულნი. ეს საფინანსო რესურსი, ძირითადად, კვებასა და ყოველდღიური ხარჯების დაფინანსებისათვის იხარჯება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფულადი გზავნილები ინვესტირებისთვის და საკუთარი ბიზნესის დასაწყებადაც გამოიყენება".

ანალოგიური ტენდენცია საქართველოშიც შეიმჩნევა. გადმორიცხული თანხების ნაწილი სამომხმარებლო ხარჯების დასაფინანსებლად წარიმართება. თანხის ნაწილის დაბანდება სხვადასხვა აქტივებში, მათ შორის უძრავ ქონებასა და საწარმოთა აქციებში ხორციელდება. 2006 წლის იანვრის მონაცემებით, უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში, ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების ("უესტერნ იუნიონი", "მანიგრამი", "ანელიკი", "კავკასუს ექსპრესი" და სხვ.) საშუალებით 36 მლნ აშშ დოლარზე მეტი გადმოირიცხა. ეს ციფრი 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, დაახლოებით, 10,8 მლნ აშშ დოლარით აღემატება. რაც შეეხება ფულადი გზავნილების სტრუქტურას, 2006 წლის იანვარში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხების 62,3% რუსეთიდან გადმოირიცხა, შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატები (13,4%) და საბერძნეთი (5,2%). რაც შეეხება 2005 წელს, ამ პერიოდში უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში, დაახლოებით, 403 მლნ აშშ დოლარზე მეტი გადმოირიცხა, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს დაახლოებით 145 მლნ აშშ დოლარით აღემატება.

გასული წლის მანძილზე საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან 62,9% რუსეთიდან გადმოირიცხა, შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებულ შტატები და საბერძნეთი. თუ 2000-2001 წლებში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი მასის შემოსვლა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ხდებოდა, 2002 წლიდან დღემდე ჩარიცხული თანხებით რუსეთი ლიდერობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## უნაღდო ანგარიშსწორების სისტემები პრობლემების თანხლებით ინერგება

საქართველოში პლასტიკური ბარათების ბუმი დაიწყო. სახელმწიფო უწყებები სახელფასო ანაზღაურების ელექტრონულ ფორმაზე გადასვლა გააქტიურდა და, სავარაუდოდ, მალე ყველა სახელმწიფო უწყება ხელფასებს ელექტრონული ბარათებით გაისტუმრებს.

ელექტრონული ბარათებით მოსარგებლეთა რაოდენობის ყოველდღიურად ზრდის მიუხედავად, ჯერჯერობით ბანკომატების რაოდენობა საკმარისი არ არის. სწორედ ამ მიზეზით ელექტრონული ბარათების მფლობელებს ხშირად რიგში დგომა უწევთ, ამის გარდა, ელექტრონული ბარათების მფლობელებს გარკვეული პრობლემები ექმნებათ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, რადგან ამ ობიექტებში უნაღდო ანგარიშსწორებისთვის შესაბამისი პირობები არ არსებობს. კომერციული ბანკების გეგმებში შედის ბანკომატების რაოდენობის ზრდა.

როგორც "თიბისი" ბანკში განაცხადეს, დღეისათვის ბანკს დაახლოებით 57 ათასი ბარათი აქვს გამოშვებული და მის მომხმარებელს 25 ბანკომატი ემსახურება. ბანკომატებიდან 22 თბილისშია, თითო-თითო კი ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. "თიბისი" ბანკი თავის მომხმარებელს უახლოეს 1 თვეში 2 ახალ ბანკომატს შესთავაზებს. როგორც "თიბისი" ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მაია ძირკველიშვილი განმარტავს, საბანკო პროდუქტი - პლასტიკური ბარათით სარგებლობა საქართველოში დღეისათვის, უფრო მეტად, წარმოადგენს თანხის განაღდების (ბანკომატებიდან, ბანკის ფილიალებიდან) საშუალებას, ვიდრე - ანგარიშსწორების საშუალებას (ანუ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში საფასურის გადახდა ბარათის საშუალებით). "ამის მიუხედავად, ბარათებით ანგარიშსწორების სამომხმარებლო ჩვევა ბოლო 1 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა: ამჟამად მარტო "თიბისი" ბანკის 250-ზე მეტი ტერმინალია დამონტაჟებული სხვადასხვა მაღაზიებში, სუპერმარკეტებში, რესტორნებში, სასტუმროებში და სხვა მომსახურების ობიექტებში, სადაც საფასურის გადახდა ვიზა ბარათებითაა შესაძლებელი," - აღნიშნავენ "თიბისი" ბანკში.

ბანკომატებთან რიგში დგომის გარდა, პლასტიკური ბარათების მფლობელები ბანკომატების ტექნიკურ ხარვეზებსაც აწყდებიან. ამას "თიბისი" ბანკში იმით ხსნიან, რომ საქართველოში საბარათე ბიზნესი ამჟამად ყალიბდება და ვითარდება. შესაბამისად, ტექნიკური ხასიათის ხარვეზები ხდება ხოლმე, რომლებიც ქსელების ტექნიკურ ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული. თუმცა ამ მიმართულებითაც მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდება.



"გაერთიანებული ქართული ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ ეს პრობლემა ადვილად მოგვარებადია, ვინაიდან ტექნიკასთან გვაქვს საქმე, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ბანკომატში ფული გათავდეს, თუმცა ეს პრობლემა დროულად მას შემდეგ იხსნება, რაც ქსელი ავტომატურად იღებს შეტყობინებას.

"გაერთიანებულ ქართულ ბანკს" ამჟამად 22 ბანკომატი გააჩნია და წლის ბოლომდე ბანკომატების ქსელი 50-მდე გაიზრდება. როგორც გქბ-ში აცხადებენ, ბარათების ზრდის ტემპები ყოველწლიურად 40 პროცენტს აღწევს. გაერთიანებული ქართული ბანკი უამრავი სხვა კლიენტის გარდა, ელექტრონული ბარათებით სახელმწიფო უწყებებსაც - საქართველოს რკინიგზა, მეტროპოლიტენი, პარლამენტი და სხვა ემსახურება. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს, გაერთიანებული ქართული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ელექტრონული ანგარიშსწორება გარდაუვალი აუცილებლობაა და ქართული ბანკები ამ პროცესის დაწყებას მომზადებულები და განვითარების სტრატეგიით შეხვდნენ, სწორედ ამიტომ ბანკების ქსელი და ემიტირებული ბარათების რიცხვი სოლიდურად იზრდება, რაც შეეხება მომხმარებელს, ამ მომსახურებით ისიც კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან ელექტრონული ფულის გამოყენება გაცილებით უფრო დაცულია შესაძლო ხიფათებისგან.

"სახალხო ბანკი", რომელსაც საქართველოში ყველა სხვა ბანკზე მეტი ფილიალი გააჩნია, თბილისელ პენსიონერებს ლოკალური ბარათებით ემსახურება. წლის ბოლომდე ქვეყნის ყველა პენსიონერს საშუალება ექნება, ლოკალური ბარათებით ისარგებლოს. ბანკის მენეჯმენტი წლის ბოლომდე ბანკომატების 100 ერთეულამდე გაზრდას გეგმავს საქართველოს მასშტაბით.

ბანკი "რესპუბლიკა" ბანკომატების ქსელს წლის ბოლომდე გააორმაგებს და 24-ის ნაცვლად მომხმარებელს 48 ბანკომატიდან გაუწევს მომსახურებას. "საქართველოს ბანკის" პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის დირექტორის დავით ბეჟიაშვილის განმარტებით, "საქართველოს ბანკი" ქვეყნის მასშტაბით 45 ბანკომატი გააჩნია, მათი რაოდენობა წლის ბოლომდე გაორმაგდება, რაც შეეხება ბარათების რაოდენობას, იგი 80 ათასია. პლასტიკური ბარათების ბაზარი მზარდია, განსაკუთრებული აქტივობა შეინიშნება 2005-06 წლების მიჯნაზე.

ქართულ კომერციულ ბანკებს ბანკომატები, ძირითადად, იქ გააჩნიათ, სადაც მისი კორპორატიული კლიენტის ოფისი, ან პრესტიჟული ობიექტებია განთავსებული.

როგორც აღვნიშნეთ, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის სახელფასო ანაზღაურება ელექტრონული ბარათებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საბარათე ბიზნესის განვითარებისთვის ბაზარზე ყველა პირობა არსებობს, ბევრი კერძო კომპანია თანამშრომელთა ელექტრონული ბარათებით ანაზღაურებაზე გადაყვანისგან თავს იკავებს. ექსპერტთა მოსაზრებით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ საგადასახადო ბაზარზე არსებული მდგომარეობის გამო არ ხდება ხელფასებისა და თანამშრომელთა რაოდენობის მონაცემების "გათეთრება."

სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას პლასტიკური საბანკო ბარათების გამოყენება მეწარმეთა აღრიცხვიანობის საუკეთესო საშუალებაა. ამას ადასტურებს საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა Visa International-ის დსთ-ს ქვეყნების რეგიონული მენეჯერი სვეტლანა გეორბელიძე, რომელიც ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა საქართველოში: "ის ფაქტი, რომ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას პლასტიკური ბარათების გამოყენება არ ხდება, შემოსავლების დამალვის ტენდენციაზე მიუთითებს, რაც ამ ობიექტებში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების დანერგვის შემთხვევაში მოგვარდებოდა."

გიორბელიძის განმარტებით, Visa International-ის პლასტიკური ბარათების მფლობელი დღეისათვის საქართველოს 11 კომერციული ბანკია, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით 210 ათასი პლასტიკური ბარათის მფლობელი ჰყავთ. ბოლო მონაცემებით, პლასტიკურ ბარათებზე ბრუნვამ საქართველოში წლიური 418 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან სავაჭრო ქსელში ანგარიშსწორებაზე მოდის მთლიანი ბრუნვის 5-6 პროცენტი. გიორბელიძის მოსაზრებით, კარგ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 10 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ამ საკითხის მოსაგვარებლად Visa International, საქართველოს მთავრობასთან და კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან ერთად საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობს. სხვათა შორის, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც მომდევნო რამდენიმე წელიწადში აზერბაიჯანის სავაჭრო ობიექტებში 30 ათასი საბანკო ტერმინალის დამონტაჟებას ითვალისწინებს.

Visa International-ის უახლოეს გეგმებში შედის საქართველოს საბანკო სექტორისათვის საკონსულტაციო მხარდაჭერის გაწევა უნაღდო ანგარიშსწორებაში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელფასო პლასტიკური ბარათებიდან საკრედიტო ბარათებზე გადასაყვანად და სხვ. ბოლო მონაცემებით, საქართველოში ბრინვაში არსებული Visa International-ის პლასტიკური ბარათებიდან 95 პროცენტი Visa Electron - ია, 3 პროცენტი - VIsa Classic, 1,9 პროცენტი - VIsa Gold, 0,1 პროცენტი - VIza Business.

პლასტიკური ბარათების ბაზარზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მზად არის ჯორჯიან ქარდი, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი პირველი საპროცესინგო კომპანიაა. ჯორჯიან ქარდი 1997 წელს დააარსეს რიგმა წამყვანმა საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა. დღეისათვის კომპანია ბანკებს სერვისების ფართო სპექტრს სთავაზობს: ტრანზაქციების პროცესინგი, ბარათების პერსონალიზაცია, საგადამხდელო სერვისები, ბანკომატებისა და პოს-ტერმინალების ინსტალაცია და ქსელის მართვა, ექვაირინგის აპარატურის მიწოდება და მხარდაჭერა, პროექტების მენეჯმენტი, კონსალტინგი.

ჯორჯიან ქარდის გარდა, ქართულ ბაზარზე მეორე საპროცესინგო კომპანია UFC მოღვაწეობს, თუმცა ამ კომპანიების გარდა, აღნიშნულ საქმიანობას კომბანკების სამსახურებიც აწარმოებენ ("ბაზისბანკი", ბანკი "ქართუ"). **პრაიმ-ნიუსი.**

## ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ლიმიტები განუსაზღვრა

**თბილისი.** 25 მარტიდან, გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის "ენგურჰესის" 4-თვიანი გაჩერების პერიოდში, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანგებო ლიმიტები ამოქმედდება.

საბითუმო ბაზრის ინფორმაციით, 25 მარტამდე საპროგნოზო საშუალო დღე-ღამური გასაყიდი ელექტროენერგია, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 26,8 მლნ კვტსთ-ს შეადგენს. მათ შორის: 25 მარტამდე "ენგურჰესის" დღე-ღამური საპროგნოზო გამომუშავება საშუალოდ 8,046 მლნ კვტსთ-ია; რუსეთიდან დღე-ღამეში 1,25 მლნ.კვტსთ-ის იმპორტი ხორციელდება, თურქეთიდან - 0,16 მლნ კილოვატსაათი, სომხეთიდან - 1,94 მლნ. კვტსთ.

ამასთანავე, საქართველოს ელექტროსისტემიდან აზერბაიჯანში დღე-ღამეში 1,49 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი ხორციელდება. საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტით თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასისათვის" დღე-ღამეში დაგეგმილია 7,8 მლნ კვტსთ-ი ელ.ენერგიის მიწოდება; "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის" - 5,4 მლნ კვტსთ-ის; "აჭარის ენერგოკომპანიისთვის" - 1,43 მლნ კვტსთ-ის; "კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის" - 0,5 მლნ კვტსთ-ის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## მახინჯაურის ახალი რკინიგზის სადგურის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება

**თბილისი.** მახინჯაურის ახალი რკინიგზის სადგურის მშენებლობაზე შპს "საქართველოს რკინიგზა" ტენდერს გამოაცხადებს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ევროპული სტანდარტების შესაბამისი სადგურის მშენებლობა მიმდინარე წლის ივლისისათვის უნდა დაასრულოს. რკინიგზის დეპარტამენტის ინფორმაციით, მახინჯაურის რკინიგზის ახალი სადგურის მშენებლობის პროექტი "საქართველოს რკინიგზის" დაკვეთით სამშენებლო კომპანია "აქსისმა" შეასრულა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## "ეარ ფრანსი" პარიზი-ერევანის მიმართულებით ავიარეისებს ფასდაკლებით ახორციელებს

**ერევანი-თბილისი.** ფრანგული ავიაკომპანია "ეარ ფრანსი", რომელიც 28 მარტიდან კვირაში სამ რეისს შეასრულებს ერევანი-პარიზი-ერევანის მიმართულებით, მგზავრებისათვის მნიშვნელოვან ფასდაკლებებს გამოაცხადებს.

როგორც კომპანიის ერევანის ოფისში აცხადებენ, ერევანი-პარიზი-ერევანის მიმართულებით ბილეთის 9 აპრილამდე შეძენის შემთხვევაში მისი ფასი 332 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნულ ვადაში შეძენილი ბილეთების გამოყენება 15 ივნისამდე იქნება შესაძლებელი. ერთი ბილეთის ფასი აქციის დასრულების შემდეგ 472 აშშ დოლარი იქნება. კომპანია "არმავიაც", რომელიც ამავე მიმართულებით ასრულებს რეისებს, ფასდაკლებებს აცხადებს: 3 ივნისამდე ბილეთი ორი მიმართულებით 474 დოლარის ნაცვლად 299 აშშ დოლარი ეღირება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## ფაქტებზე დაყრდნობილი მოსაზრება

მ.წ. 18 მარტს გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა სტატია "თბილგაზი დედას მიკლავს" და გვეცნო გაკოტრებული ორგანიზაციის ხელწერა. ჩვენს ქარხანას "თბილგაზმა", შეიძლება ითქვას, დედა და მამაც მოუკლა და სამწუხაროდ, მათი გამკითხავი არ ჩანს.

თქვენს გაზეთში ბიზნესის გვერდის გაჩენამ გადაგვაწყვეტინა, ეს წერილი მოგწეროთ და გაკოტრებული "თბილგაზის" მიუღებელი მეთოდები გაგაცნოთ.

თბილისში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ერთ-ერთს, თუ არა ერთადერთს, ყველაზე მოწესრიგებული გაზის მარეგულირებელი უბანი გაგვაჩნია, სადაც ვახდენთ გაზის ხარჯის, როგორც მრიცხველის ჩვენების, ასევე მისი ტემპერატურისა და წნევის ცვალებადობის კორექტირებას, ხარჯის შეუფერხებლად გადახდას, ენერგოეკონომიის თვალსაზრისით ჩავერთეთ ნორვეგიულ პროგრამაში და მოვიწვიეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან თბოტექნიკის კათედრის სპეციალისტები. როგორც ჩანს, ყველას არ მოსწონს პროფესიონალიზმი, კომპეტენტურ სფეროში გათვითცნობიერებული მომხმარებელი რიგ შემთხვევაში აღიზიანებს კიდეც. მიუღებელი წესებით 2005 წლის ოქტომბრიდან ზეწოლა განახორციელეს ჩვენს ქარხანაზე, რა არ დაგვაბრალეს, რა ეჭვებში და დამამცირებელი (შემოწმებები) მოგვიწყვეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო და ჩვენი პოზიციის მართებულობა გაგვიმყარა მათ მიერ უდროო დროს გაუგებარი მონდომებით, შეიძლება ითქვას, ძალდატანებით დაყენებულმა ძვირადღირებულმა მრიცხველმა, რომელიც პარალელურ რეჟიმში მათ მიერ დალუქულ ძველ მრიცხველთან მუშაობს და უფრო ნაკლებ ბუნებრივი აირის ხარჯს აჩვენებს, ვიდრე ძველი მრიცხველი. სანამ მრიცხველს შეცვლიდნენ, სრულიად უსაფუძვლოდ დაგვაწერეს 16 ათასი ლარი, ვითომდა მრიცხველის ცდომილებით მუშაობის გამო. რამდენიმეჯერ ბუნებრივი აირი შეგვიწყვიტეს, ისარგებლეს რა მონოპოლური მდგომარეობით (ძალა გვაჩვენეს). ამ დროს, წარმოიდგინეთ, ჩვენი ყველა კონკურენტი პურის ბიზნესში ბუნებრივ აირს იღებდა. თავს იმით იმართლებდნენ, გაზის მოწოდებაში შეფერხებებიაო. მართლაც იმ პერიოდს დაემთხვა მათი ქმედებანი, მაგრამ ჩვენი არც ერთი წინადადება, არც ერთი თხოვნა, რომელიც მეწარმეობის სასიცოცხლო ობიექტის შეუფერხებელ მუშაობას გამოადგებოდა, ყურად არ იღეს. იმ დროს, როდესაც 110 დოლარად ღირებული 1000 მ.კუბ. ბუნებრივი აირი 190 დოლარი გახდა და უნდა გაზრდილიყო მომსახურების ხარისხი, ხოლო მრიცხველები იქ დაეყენებინათ, სადაც მათი განცხადებით 50 ორგანიზაციაზე მეტში აღმოჩნდა ბუნებრივი აირის დატაცება, ერთსაც არ შესთავაზეს მრიცხვების შეძენა. სწორედ ამან გაგვაღიზიანა. ყოვლად გაუგებრად ჩვენზე განხორციელდა ზეწოლა, რაც, ბუნებრივია, მივიჩნიეთ ქარხნის გაჩერებისა და მისი მარკეტინგის შეგნებულად მოშლის ქმედებად, მოგვაყენეს აუნაზღაურებელი ზარალი, რომლის ავტორები გვიჩიანი, ბასიშვილი, ცხვარაძე, ლეკიშვილი და ივანიშვილია.

იმედია "თბილგაზის" ახალი ხელმძღვანელი გაითვალისწინებს ბიზნესის წარმომადგენელთა თხოვნას და სათანადო დასკვნებს გამოიტანს, რისთვის კეთდებოდა ყოველივე ეს.

ჩვენი სურვილია, ცივილურად ვითანამშრომლოთ გაზის ნებისმიერ მომწოდებელთან, რომელიც მიუღებელი წესებით ფეხქვეშ არ გათელავს მომხმარებლების ინტერესებს.

იმედს ვიტოვებთ, ჩვენზე წაგლეჯილი თანხა მომავალ გადასახადში მაინც ჩაგვეთვლება და ეს კონფლიქტური სიტუაცია ამით დასრულდება.

*სს №4 პურის ქარხნის კოლექტივი*

# ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე (43350 კვ მ მიწის ნაკვეთი) განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით

I. პრეამბულა

ქ. თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ქალაქის უმნიშვნელოვანესი, რიყის ტერიტორიის პოტენციალის გამოვლენისა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის მოაწყოს კონკურსი რიყის ტერიტორიის განკარგვაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

რიყის ტერიტორია ამჟამად მოწყვეტილია წყლის სარკეს და ქალაქისათვის სარეკრეაციო სივრცე ფუნქციით გამოუყენებელია. ამის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი სანაპიროს განიერი მაგისტრალია მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძებით.

აღნიშნული ტერიტორია შეიძენს განსაკუთრებულ ღირებულებას უშუალოდ მტკვრის სანაპიროზე განვითარების შედეგად და დატვირთული იქნება უპირატესად სარეკრეაციო ფუნქციით, ამ ზონისათვის შესაბამისი ობიექტების განთავსებით, ასევე განიერი მწვანე ტერიტორიების არსებობით. ამავე დროს ამ ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი სივრცეც.

II. კონკურსის წესით გასასხვისებელი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება-აღწერა

კონკურსის წესით გასასხვისებელი ტერიტორია (შემდგომში მოკლედ მოხსენიებული, როგორც - ტერიტორია ან მიწა) მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბანში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ტერიტორია ისტორიულად ცნობილია დასახელებით "რიყე" და მისი საზღვრები მოცემულია დანართში. გასასხვისებელი ტერიტორია (მიწის ნაკვეთი) შეადგენს 43350 კვ მ-ს. ტერიტორიაზე არსებობს გაზონური გამწვანება.

III. საკონკურსო პირობები

1. ქალაქ თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რიყის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო მაგისტრალის გადატანა სიღრმეში (ბარათაშვილის აღმართის კედლისკენ, გამწვანებული ზოლის მომიჯნავედ) არსებული მაგისტრალის გამტარუნარიანობის შენარჩუნებით და არსებულ გვირაბთან კავშირით (გვირაბის ყელის შებრუნებით);

2. ქალაქ თბილისში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რიყის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო მაგისტრალის გადატანის შედეგად საფეხმავლო გზის მოსაწყობად მდ. მტკვრის სანაპიროს პარალელურად არანაკლებ 10 (ათი) მეტრის სიგანის მიწის ნაკვეთის გათავისუფლება და საფეხმავლო გზის მოწყობა;

3. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან (გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის მოპირდაპირედ, რესტორან "ზერიკონი"-ს ზონაში) დამაკავშირებელი ქვეითად მოსიარულეთა ხიდის მოწყობა;

4. გასასხვისებელი მიწის ნაკვეთზე მშენებლობისას (და/ან პროექტირებისას) მოცულობების სიმაღლეების განსაზღვრა ბარათაშვილის აღმართის თაღების პროფილის სიმაღლეების გათვალისწინებით;

5. გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზე შენობების ტიპების შერჩევა;

6. გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის არანაკლებ 20% უნდა შეადგენდეს გამწვანების ტერიტორიას (შესაძლებელია გამწვანების ტერიტორიის გამოყენება საფეხმავლო გზის მოწყობისათვის);

7. გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ფუნქცია უნდა იყოს შერეული;

8. საფეხმავლო გზით და გამწვანების ტერიტორიით მოსახლეობის მიერ გადაადგილებისა და/ან შეკრებისას უსასყიდლო და შეუზღუდავი სარგებლობის უზრუნველყოფა;

9. კონკურსანტის მიერ ვალდებულების აღება, რომ გამარჯვების შემთხვევაში პროექტის შეუსრულებლობის ან რომელიმე პირობის (ვალდებულების) შეუსრულებლობის შემთხვევაში იკისრებს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ყოველი თვისათვის გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით, არაუგვიანეს მომდევნო თვის მე-10 დღისა;

10. კონკურსანტის მიერ ვალდებულების აღება, რომ გამარჯვების შემთხვევაში მის მიერ შემოთავაზებული მიწის საფასურის 50%-ს გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 დღის ვადაში, ხოლო დარჩენილ 50%-ს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში;

11. კონკურსანტის მიერ ვალდებულების აღება, რომ მიწის ნაკვეთს ან მის ნაწილს არ გაასხვისებს ან უფლებრივად არ დატვირთავს ქალაქ თბილისის მერიის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანი პროექტის (კომპლექსის) დამტკიცებამდე.

IV. ტერიტორიის ფასი

ტერიტორიის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის - შვიდი მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

V. კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების შეფასების კრიტერიუმები

1. კონსურსანტის მიერ შემოთავაზებული გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის შემოთავაზებული ფასი;

2. საკონკურსო პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების ვადა და გრაფიკის ტექნიკური შეთავაზების (წინადადების) დაწყების, განხორციელების ეტაპების მოცულობებისა და დასრულების ვადების მკაფიო მითითებით;

3. საკონკურსო პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების ტექნიკური შეთავაზება (წინადადება);

4. საკონკურსო პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების დაწყების დრო;

5. საკონკურსო პირობების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების დაწყებისა და დასრულების დრო, აგრეთვე შესრულების ტექნიკური შეთავაზება (წინადადება);

6. საკონკურსო პირობების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების დაწყებისა და დასრულების დრო;

7. საკონკურსო პირობების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების ტექნიკური შეთავაზება (წინადადება);

8. გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზე შემოთავაზებული პროექტის განმახორციელებელი არქიტექტორის ან არქიტექტორული (სამშენებლო) კომპანიის მიერ ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება;

9. გასასხვისებელ მიწის ნაკვეთზე შემოთავაზებული პროექტის განმახორციელებელი არქიტექტორის ან არქიტექტორული (სამშენებლო) კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტის (პროექტების) ხარისხი;

10. დაუშვებელია კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული რომელიმე პირობის (მათ შორის მიწის საფასურის ოდენობა) დამოკიდებულება (განპირობება) და/ან დაკავშირება სხვა კონკურსანტის შემოთავაზებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია;

11. შემოთავაზებული პროექტის განხორციელების ვადა.

შეფასების კრიტერიუმების მიმდევრობა (ნუმერაცია) პირობითია და არ ნიშნავს რომელიმე მათგანის პრიორიტეტულობას მომდევნო ან ქვემდგომი ნუმერაციით განსაზღვრულ კრიტერიუმზე.

შეფასებისას, გარდა წინამდებარე კრიტერიუმებისა, შეფასდება საკონკურსო პირობების მე-4-მე-7 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების თაობაზე კონსურსანტის მიერ შემოთავაზებული წინადადებაც.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 21 მარტის 11 საათიდან 2006 წლის 21 აპრილს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- განცხადება (კონკურსანტის შემოთავაზება, შედგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად) დალუქული პაკეტის სახით;
- ტერიტორიის სივრცითი მოწყობის ესკიზური წინადადება (პროექტი), რომელშიც ასახული იქნება ამ განცხადებაში მითითებული მოთხოვნები;
- ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები.

შემდეგი ცნობები და დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:

- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არსებობს დადებული ყადაღა;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25%-ის საბანკო გარანტია, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

შენიშვნა: "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაეცემათ (შესაბამისად, კონკურსში ან აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ) საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

"ბეს" გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ბუნებრივ ანგარიშზე. სახაზინო კოდი: 203827074, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო ანგარიშსწორების ანგარიში: 001132005, ბანკის კოდი: 220101107.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ამ მოთხოვნილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისიის სხდომები საჯაროა და გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ილია შარაშენიძე, საკონკურსო კომისიის მდივანი, საკონტაქტო ტელეფონი: 99-53-26. მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2. მარიკა ბეჟაშვილი, ქ. თბილისი მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის განყოფილების უფროსი, საკონტაქტო ტელეფონი: 96-91-26 (111), მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24.

# სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (NBFE) აცხადებს ღია ტენდერს დნმ-ის ლაბორატორიის მოწყობილობების შესაძენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი** - დნმ-ის სასამართლო ექსპერტიზის ინსტრუმენტები თანმიმდევრული და ფრაგმენტული ანალიზისათვის და სხვა ლაბორატორიული მოწყობილობები.

**დაფინანსების წყარო** - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტი N | ობიექტის დასახელება |
|---|---|
| 1 | გენეტიკური ანალიზის ინსტრუმენტები HID გამოყენებისათვის |
| 2 | რეალურ დროში PRC ინსტრუმენტები HID გამოყენებისათვის |
| 3 | HID გამოყენების კომპიუტერული უზრუნველყოფა |
| 4 | HID ინსტრუმენტის გაუმჯობესების კომპლექტი |
| 5 | დნმ-ის რაოდენობრივი ანალიზის კომპლექტის HID ნიმუში |
| 6 | AmpFISTR ადამიანის იდენტიფიცირების ტიპიზაციის კომპლექტი |
| 7 | ლაბორატორიული აღჭურვილობის სხვადასხვა საგნები |
| 8 | ლაბორატორიული ქიმიკატები და მასალები |

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მიიღო დაფინანსება საქართველოს მთავრობისაგან ადამიანის იდენტიფიცირების ლაბორატორიის პროექტთან დაკავშირებით და მას განზრახული აქვს, აღნიშნული თანხების ნაწილი მიმართოს "დნმ-ის სასამართლო ლაბორატორიის, ადამიანის იდენტიფიცირების ტესტის მონაცემთა ბაზის შექმნის, სასამართლო საქმეები შესწავლისა და მამობის დადგენის განცხადებების ინსტრუმენტების" შეძენის დაფინანსებისათვის.

შემთავაზებლებს შეუძლიათ წარადგინონ წინადადებები ერთ ან რამოდენიმე ლოტზე. წინადადებები შეფასებულ იქნება განცალკევებულად თითოეულ ლოტზე და გამარჯვებულად გამოცხადდება ყველაზე ნაკლები ფასის შემთავაზებელი წინადადება. წინადადებები, რომლებიც თითოეულ ლოტზე თავაზობს მხოლოდ რაოდენობის ნაწილს, იქნება უარყოფილი.

ტენდერი წარიმართება საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით და არის ღია ყველა შემთავაზებლისათვის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 21 აპრილის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N84 მე-4 სართული ოთახიN41 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. Mმოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი
ანგ. N007700425
ბანკის კოდი: 220101502

ინგლისურ ენაზე სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტი შეიძლება შეძენილ იქნას დაინტერესებული შემთავაზებლების მიერ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარდგენისა და 300 აშშ დოლარის ოდენობით საზღაურის გადახდის პირობით, რომელიც არ ექვემდებარება შემთავაზებლისათვის დაბრუნებას. დოკუმენტი გაიგზავნება კურიერის მეშვეობით.

პრეტენდენტმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს დახურული კონვერტით 2006 წლის 25 აპრილიდან 28 აპრილის 15.00 საათამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს ზემოთ მოცემულ მისამართზე, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე ადგილობრივი დროით.

# National Bureau of Forensic Expertise announces an open tender for the acquisition of Laboratory equipment and invites every interested person to participate in the tender

Object of acquisition: DNA instruments for consequent and fragmental examination and other laboratory installations.

Source of funding: State Budget

| number of lot | Name of the Item |
|---|---|
| 1 | Genctic Analysis Instruments for HID application |
| 2 | Real-Time PCR instruments for HID application |
| 3 | PCR instrument for HID application |
| 4 | HID application software |
| 5 | HID sample DNA quantitation kits |
| 6 | Amp FISTR Human Identity Typing Kits |
| 7 | Different items of laboratory equipment |
| 8 | Laboratory chemicals and consumables |

The National Bureau of Forensic Expertise has received a funding from the Government of Georgia towards the Human Identity Laboratory Project and intends to apply part of the proceeds of this funds to payments for the procurement of "instruments for Forensic DNA laboratory, Human Identification testing for data basing, casework and paternity applications".

Bidders may bid on one or several lots. The bids will be evaluated separately for each lot and the bid proposing lowest price shall be announced as winning. Bids offering only part of quantities within each lot will be rejected.

The tender shall be conducted in accordance with the legislation in force in Georgia and shall be open to all bidders from countries who are members of WTO.

Tender documents shall be available only after payment of fee, before 21st of April, 14.00, on following address: Tbilisi, Chavchavadze Av. 84, 4th floor, room N.41, National Bureau of Forensic Expertise.

The amount of the fee to be paid shall be 200 Gel and transfer should be done to following bank account:

Bank of Georgia, central branch.

Account N. 007700425
Banking code: 220 101 502

A complete set of bidding document in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 300 USD. The document shall be sent by currier service.

The interested party should present application, documents proving qualification data and bid proposal in Georgian language, in a closed envelope from April 25 to April 28 before 15.00 on the above mentioned addressed.

Interested persons may receive additional information at National Bureau of Forensic Expertise and review documents related to tender, on the above mentioned address from 10.00 to 18.00

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს რელსების შედუღების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ლოტი N1 | სამგზავრო ვაგონების სადეპოო რემონტი | ერთეული | 27 |
| | სამგზავრო ვაგონების საქარხნო რემონტი | ერთეული | 21 |

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი.

3. მიწოდების სასურველი ვადები: მხარეთა შეთანხმებით

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 და 11 აპრილს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერრო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების ლიცენზია

ე) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები

ვ) ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანობან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია

გ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების ლიცენზია

დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები

ე) ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს სარკინიგზო შემადგენლობის ასაწონი მოწყობილობის შესყიდვისა და მისი მონტაჟის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი : სარკიგზო შემადგენლობის ასაწონი მოწყობილობა (რკინიგზის ელექტრონული სასწორი)

რაოდენობა : - 3 (სამი) ცალი

ტექნიკური მახასიათებლები :

- აწონვის რეჟიმი - დინამიური (მოძრაობაში ვაგონების ჩახსნის გარეშე)
- აწონვის ობიექტი - ცალკეული ვაგონი და სრული შემადგენლობა
- ვაგონების მაქსიმალური რაოდენობა შემადგენლობაში - 60 ვაგონი
- ასაწონი ვაგონების ტიპი - გადაზიდვის წესებში მოცემული ყველა ტიპი (ღერძების რაოდენობის მითითებით, შერეული თუ არა და აშშ - 4 - 8.
- ასაწონი ტვირთების სახეობა - თხევადი, ფხვიერი, მყარი, აირადი (ყველა სახეობა)
- აწონვის ქვედა და ზედა ზღვარი - მინ -15 - მაქს - 150
- ცდომილების ზღვარი - 0,5 %,
- მოცემული ცდომილების დროს შემადგენლობის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე - 10 კმ/სთ
- მოთხოვნები ასაწონ სექტორზე - ბეტონი
- უნდა არსებობდეს სისტემის ლოკალურ ქსელში ჩართვის შესაძლებლობა (LAN)
- აწონვის დანაყოფის ფასი - 50 კგ
- კვების წყაროს ტიპი და მოთხოვნილი სიმძლავრე - 220 V 50 Hz
- საექსპლუატაციო კლიმატური პირობები - -15 - + 50
- სპეციალისტების მომზადება საექსპლუატაციოდ - სავალდებულა
- საგარანტიო მომსახურება არანაკლებ 1 წლისა. დამონტაჟების დღიდან

მონტაჟის ადგილი - ბათუმი, გარდაბანი, სადახლო.

3. მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 11 და 12 აპრილს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერრო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანობან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29/ა), ხელმეორედ აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ზონებად (ლოტებად) დაყოფილ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

| N | რაიონების დასახელება |
|---|---|
| 1 | 2 |
| | **ზონა N3 (ლოტი-3). ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის რაიონები.** |
| 1 | ბოლნისის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | დმანისის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 3 | თეთრიწყაროს რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 4 | წალკის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N9 (ლოტი-9). ბაღდათის, თერჯოლის, ტყიბულის რაიონები.** |
| 1 | ბაღდათის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | თერჯოლას რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 3 | ტყიბულის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N10 (ლოტი-10). ზესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის რაიონები** |
| 1 | ზესტაფონის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | ხარაგაულის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 3 | საჩხერის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 4 | ჭიათურის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N13 (ლოტი-13). ამბროლაურის, ონის რაიონები.** |
| 1 | ამბროლაურის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | ონის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N14 (ლოტი-14). ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონები.** |
| 1 | ზუგდიდის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | ჩხოროწყუს რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 3 | წალენჯიხის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N15 (ლოტი-15). სენაკის, ხობის, აბაშის, მარტვილის რაიონები** |
| 1 | სენაკის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | ხობის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები<br>აბაშის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 3 | მარტვილის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| | **ზონა N16 (ლოტი-16). მესტიის, კოდორის რაიონები.** |
| 1 | მესტიის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |
| 2 | კოდორის რაიონში განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები |

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის: N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, გადახდის დანიშნულება: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სატენდერო მოსაკრებელი), 2006 წლის 23 მარტიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 10 აპრილის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 11 აპრილის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი, ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ლოტების მიხედვით უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| | მანქანა-მექანიზმების დასახელება | ზონა 3 | ზონა 9 | ზონა 10 | ზონა 13 | ზონა 14 | ზონა 15 | ზონა 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბულდოზერი | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 |
| 2 | გრეიდერი | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 3 | ავტოგუდრონატორი ან ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 4 | სატკეპნი | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | |
| 5 | ექსავატორი პნევმო თვლებზე | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 |
| 6 | კომპრესორი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 |

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

ა. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2**. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება), მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები;

-- ინფორმაციას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელკშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- განაცხადი კონკრეტული ზონების (ლოტების) მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ორ ეტაპიან ტენდერს სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.89-კმ.96 ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის (გვირაბით) პირველი ეტაპის დარჩენილ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების (ინტელექტუალური) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. მიწოდების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (პირველი ეტაპის სამუშაოებიდან დარჩენილი ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესრულების ვადების შესაბამისად).

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები (საზედამხედველო მომსახურების გაწევისას გამოყენებული და დაცული უნდა იქნას საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმები და სტანდარტები), რომელთა გამოყენებითაც მოხდება საზედამხედველო მომსახურების განხორციელება, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 10 აპრილის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 11 აპრილის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 4.1.1. პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გაწევის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ა. ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათისა და სირთულის მომსახურების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც საავტომობილო გზებზე გაწეული უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულების ანალოგიურ ხასიათისა და შინაარსის სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას, 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო და პირველადი სატენდერო წინადადების მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის დაწყების ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით, პირველი ეტაპის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-11 კმ-ზე მდებარე სამეცნიერო-საწარმოო ბაზა (1850 კვ მ არასაცხოვრებელი ფართობი) და მასზე დამაგრებული 24065 კვ მ მიწის ნაკვეთი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 13000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 8679,18 აშშ დოლარი), იჯარის ვადაა 30 წელი.

"ბე"-ს სიდიდედ განისაზღვრება მინიმუმ 3250 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო სამი თვის გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) ობიექტზე უნდა აშენდეს სამი (ფეხბურთის, კალათბურთის და ხელბურთის) მოედანი და საცურაო აუზი, აგრეთვე სასტუმრო და საკონფერენციო დარბაზი;

ბ) სპორტული მოედნები და საცურაო აუზი უსასყიდლოდ უნდა ეთმობოდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფეხბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, წყალბურთისა და ცურვის გუნდებს, თითოეულს დღეში ერთი საათის განმავლობაში;

გ) სასტუმრომ უნდა უმასპინძლოს უსასყიდლოდ ამავე გუნდების შეკრებებს, თითოეული გუნდისათვის წელიწადში ორი კვირის განმავლობაში, იმ პირობით, რომ გუნდიდან შეკრებაში მონაწილეობას მიიღებს მაქსიმუმ 25 ადამიანი;

დ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებმა უნდა ისარგებლონ 20%-იანი ფასდაკლებით სპორტული კომპლექსის აბონემენტებზე;

ე) კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ორწელიწადნახევარში დაასრულოს სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ხოლო პირველ წელიწადს ინვესტიციის სახით დახარჯოს მინიმუმ 1,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა;

ვ) ყოველ 6 თვეში ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს.

საკუთრების უფლების გაცემის სანოტარო დამოწმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი.

"ბე"-ს გადახდა ხდება: ბანკი "რესპუბლიკა", სკ 211349192, ა/ანგარიში 345537, ბანკის კოდი 220101757, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 26 აპრილს 11 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10 საათიდან 15 საათამდე მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ტელ: 36 53 90).
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: სატენდერო აპარატში, საკონტაქტო ტელეფონი: 45-08-00, ნოდარ ზარდიაშვილი, მისამართი: თბილისი, თვალჭრელიძის N11ა.

შპს "სანიაღვრე მეურნეობა"
სატენდერო კომისია
21 მარტი 2006

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გენერალური პროკურატურა (მდებარე - ქ. თბილისი, ვ. გორგასლის N24) აცხადებს ტენდერს კომპიუტერისა და სხვა ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 21 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| ლოტი N | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი I | ფაქსის კარტრიჯი Panasonic KX-FA54 | ცალი | 15 |
| | ფაქსის კარტრიჯი Panasonic KX-FA57 | ცალი | 15 |
| | ფაქსის კარტრიჯი Panasonic KX-FA83 | ცალი | 5 |
| ლოტი II | ქსეროქსის კარტრიჯი Canon PC-D 320 | ცალი | 20 |
| | ქსეროქსის კარტრიჯი Canon PC-D 340 | ცალი | 30 |
| | ქსეროქსის კარტრიჯი Canon FC-E 30 | ცალი | 2 |
| | ქსეროქსის კარტრიჯი Canon PC 860 | ცალი | 10 |
| | ქსეროქსის კარტრიჯი XEROX Workcentre PE120i | ცალი | 4 |
| | ქსეროქსის კარტრიჯი XEROX Workcentre M20 SCX-6320D8/XRH | ცალი | 4 |
| ლოტი III | პრინტერის კარტრიჯი HP Color LJ 4600 - C9720A | ცალი | 1 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP Color LJ 4600 - C9721A | ცალი | 1 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP Color LJ 4600 - C9722A | ცალი | 1 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP Color LJ 4600 - C9723A | ცალი | 1 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ4250/4350 - Q5942A | ცალი | 2 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 1100 - C4092A | ცალი | 40 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 1000/1200 - C7115A | ცალი | 50 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 1300n - Q2613A | ცალი | 5 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 1010/1011 - Q2612A | ცალი | 275 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 2100 - C4096A | ცალი | 5 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 2420n - Q6511A | ცალი | 9 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP LJ 5L/6L C3906A | ცალი | 10 |
| | პრინტერის კარტრიჯი HP DJ 3650 - C6658AE | ცალი | 6 |
| ლოტი IV | ტონერი 6012 | ცალი | 20 |
| | ტონერი FC1PC860 | ცალი | 20 |
| | ტონერი FC-E-30 | ცალი | 45 |
| | ტონერი 6317 | ცალი | 30 |
| | ტონერი CAN 7161 | ცალი | 45 |
| | ტონერი PCD320 | ცალი | 35 |
| | ტონერი PCDC340 | ცალი | 50 |

2. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N24

3. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 აპრილის 1000 საათიდან 13:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.

5. მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება.

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლაშა ჯინჯიხაძე, ტელ. 93-24-85, 893 26-22-80.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს წმინდა გიორგის ქანდაკების ტრანსპორტირების (სანქტ-პეტერბურგიდან თბილისში) და მისი დეტალების ჯიღჯიღა ოქროთი მოოქროვების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ჯიღჯიღა ოქროს პარამეტრები - 2.5 გრ. წიგნები, სინჯი - 980, მოოქროვების ტექნოლოგია - ბრინჯაოს ზედაპირის მოოქროვება ჯიღჯიღა ოქროთი, გრუნტისა და "მორდანის" ლაქის გამოყენებით, ქანდაკების მოსაოქროებელი დეტალების ზედაპირის ფართობი - დაახლოებით 280 მ2.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 10 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 10 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 მარტიდან 2006 წლის 7 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ფიროსმა-ნის ქუჩაზე არსებული ტანვარჯიშის სკოლასა და მშენებარე საცხოვრე-ბელ სახლს შორის 2700 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 მარტის N61 დადგენილების შესაბამისად, კომპლექსური შენობის მშენებლობის მიზნით, ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე არსებული ტანვარჯიშის სკოლასა და მშენებარე საცხოვრებელ სახლს შორის 2700 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე არსებული ტანვარ-ჯიშის სკოლასა და მშენებარე საცხოვრებელ სახლს შორის 2700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვა საცხოვრებელი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის მშენებლობი-სათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქუჩაზე არსებული ტანვარჯიშის სკოლისა და მშენებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ.

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის პირველ ოთხ სართულზე იფუნქციონირებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ავტოპარკინგი.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2700 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 45 ლარი, სულ 121 500 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 45 ლარს, სულ 121 500 ლარს;

2. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მაღლივი საცხოვრებელი ან სხვა დანიშნულების კომპლექსის მშენებლობა, რომლის პირველ ოთხ სარ-თულზე იფუნქციონირებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ავტოპარ-კინგი.

3. კონკურსში მონაწილეთა მხრიდან საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემდეგ მისი საერთო საცხოვრე-ბელი ან სხვა დანიშნულების ფართის არანაკლებ 15 (თხუთმეტი)%-ის, კერძოდ: არანაკლებ 1 500 კვ.მ-ისა ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმ-მართველობისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის ვალდებულების და ამ ვალდებულების უზრუნველყოფის აღება;

4. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 20 (ოცი) თვისა;

5. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელშიც აუცილებლად უნდა განათავსოს ავტოპარკინგი პირველ ოთხ სართულზე;

6. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის საფასურის სრულად და ერთჯერადად გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, რომლის შესრულების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულს უფლება აქვს გადაცემული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაირეგისტრიროს საჯარო რეესტრში;

7. კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილია საკუთრებაში გადაცე-მული მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვა მოახდინოს მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემძენის მიერ აღიარების პირობით, რაც "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება შეზღუდვის აქტად და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში;

8. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრ-ცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

ბ) განახორციელოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით;

9. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისათვის ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა საუკეთესო პროექტის შემოთავაზება, საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში მისი საერთო ფართის (ავტოპარკინგის გარდა) არანაკლებ 15 (თხუთმეტი) %-ის, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობისათვის გადაცემის ვალდე-ბულების აღება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.

3. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიაანთი წინადადებები (მათ სორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი სასტუმრო კომპლექსის შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

4. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 6 075 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 2 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 121 500 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 50 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5 000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 2 მაისს, 15[00] სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 2 მაისს, 16[00] სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგანის ტბის მიმდებარედ არსებული 300-300 კვ.მ. ორი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 მარტის N62 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე ტიპის ორი ერთეული კაფე-ბარის მოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე არდაგანის ტბის მიმდებარედ მდებარე 300-300 კვ.მ. მიწის ორი ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, შ. ხიმიშაშვილის ქუჩაზე არდაგანის ტბის მიმდებარედ მდებარე 300-300 კვ.მ. მიწის ორი ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვა ორი ერთეული თანამედროვე ტიპის კაფე-ბარის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა არდაგანის ტბის მიმდებარედ;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თითოეულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის კაფე-ბარის მოწყობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: თითოეული 300-300 კვ.მ. სულ 600 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 10 ლარი, სულ 6 000 ლარი.

იჯარის ხელშეკრულების ვადა: 11 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 10 ლარს, სულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე 3 000 ლარს, ჯამში 6 000 ლარს. ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 11 წელს.

2. სარგებლობაში გადაცემულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის კაფე-ბარის მშენებლობა;

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრუ-ლოს საკურორტო სეზონის დაწყებამდე;

4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თითოეულ მიწის ნაკვეთზე აშენებული კაფე-ბარის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმა-რებელთა მაღალი დონის მომსახურეობა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილ-მოწყობა და სანიტარული და ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.

6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება, შესაბამისად საექსპლუატაციოდ მზადყოფნა 2006 წლის 31 მაისისათვის;

7. დაუშვებელია საკონკურსო ტერიტორიის გაცემა ქვეიჯარით.

8. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ თითოეული მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტუ-რული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.

3. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიან-თი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთა-ვსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამე-დროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

4. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თვითოეულმა პრეტენ-დენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 150 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 3 000 ლარის 5%-ს თვითოეული ფართობისათვის.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 5 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 5 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები:**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 2 მაისს, 1500 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 2 მაისს, 1600 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგანის ტბის მოპირდაპირედ მდებარე 6 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 მარტის N59 დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივი დანიშნულების მაღლივი სასტუმრო კომპლექს-ის მშენებლობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე არდაგანის ტბის მოპირდაპირედ არსებული 6 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრე-ბაში განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე არდაგანის ტბის მოპირდაპირედ არსებული 6 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვა მაღლივი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა, "არდაგანის" ტბის მოპირდაპირედ;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მაღლივი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომელშიაც განთავსდება ავტოპარკინგი და არანაკლებ 1700 ადგილიანი საკონცერტო დარბაზი.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 6 000 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 90 ლარი, სულ 540 000 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 90 ლარს, სულ 540 000 ლარს;
2. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მაღლივი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა.

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 20 (ოცი) თვისა.
4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს მაღლივი სასტუმრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელშიც აუცილებლად უნდა განათავსოს საკონცერტო დარბაზი მინიმუმ 1 700 ადგილზე.
5. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის საფასურის სრულად და ერთჯერადად გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, რომლის შესრულების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულს უფლება აქვს გადაცემული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაირეგისტროს საჯარო რეესტრში;
6. კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილია საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვა მოახდინოს მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემძენის მიერ აღიარების პირობით, რაც "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება შეზღუდვის აქტად და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში;
7. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:
ა) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრ-ცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;
ბ) განახორციელოს ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილისა და ერას ქუჩების კვეთაში არსებული ტროტუარისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით;
8. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისათვის ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა საუკეთესო პროექტის შემოთავაზება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;
დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.
3. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიაანთი წინადადებები (მათ სორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი სასტუმრო კომპლექსის შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.
4. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 27 000 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 540 000 ლარის 5%-ს.
ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 70 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 70 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5 000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 2 მაისს, 15[00] სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 2 მაისს, 16[00] სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, შპს "სტროიმონტაჟი"-ს მიერ მშენებარე კომპლექს "ბათუსის" მოპირდაპირედ არსებული 8 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 მარტის N60 დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის მშენებ-ლობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, შპს "სტროიმონტაჟი"-ს მიერ მშენებარე კომპლექს "ბათუსის" მოპირდაპირედ არსებული 8 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, შპს "სტროი-მონტაჟი"-ს მიერ მშენებარე კომპლექს "ბათუსის" მოპირდაპირედ არსებული 8 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრე-ბაში განკარგვა მაღლივი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა, შპს "სტროიმონტაჟი"-ს მიერ მშენებარე კომპლექს "ბათუსის" მოპირდაპირედ;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მრავალბინიანი მაღლივი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელშიაც განთავსდება ავტოპარკინგი;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 8 300 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 45 ლარი, სულ 373 500 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 45 ლარს, სულ 373 500 ლარს.
2. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი მაღლივი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა;
3. კონკურსში მონაწილეთა მხრიდან საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში მისი საერთო ფართის არანაკლებ 15 (თხუთმეტი) % - ის (არანაკლებ 8000 კვ.მ.-ის) ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის ვალდებულების და ამ ვალდებულების უზრუნველყოფის აღება;
4. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 20 (ოცი) თვისა.
5. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების მაღლივი კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
6. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის საფასურის სრულად და ერთჯერადად გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, რომლის შესრულების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულს უფლება აქვს გადაცემული მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაირეგისტროს საჯარო რეესტრში;
7. კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილია საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვა მოახდინოს მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემძენის მიერ აღიარების პირობით, რაც "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შწსაბამისად ითვლება შეზღუდვის აქტად და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში;
8. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:
ა) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრ-ცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.
ბ) განახორციელოს ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, შპს "სტროი-მონტაჟი"-ს მიერ მშენებარე კომლექს "ბათუსის" მიმდებარედ არსებული ტროტუარის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.
9. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისათვის ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ საუკეთესო საპროექტო წინადადების შემოთავაზება, საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში მისი საერთო ფართის არანაკლებ 15 (თხუთმეტი) %-ის, კერძოდ: არანაკლებ 8000 კვ.მ.-ისა ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადაცემის ვალდე-ბულების აღება და შემოთავაზებული სხვა პირობები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;
დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.
3. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალუ-რი მოცულობით (ესკიზის სახით) პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.
4. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 18 675 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 8 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 373 500 ლარის 5%-ს.
ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 70 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 70 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 2 მაისს, 15[00] სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 2 მაისს, 16[00] სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის აღწერილობა |
|---|---|---|
| 1 | 13 ერთეული, ახალი მსუბუქი კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალება | 1. ოთხკარიანი;<br>2. საწვავის ხარჯი - 9 ლიტრი 90 კმ/სთ სიჩქარეზე.<br>3. საწვავის ტიპი - ბენზინი;<br>4. ძრავის მოცულობა - 1500-1700 სმ. კუბი.<br>5 სიმძლავრე - არანაკლებ 65 ცხენის ძალა.<br>6. სიჩქარე - არანაკლებ 120 კმ/სთ.<br>7. სიჩქარის კოლოფი - მექანიკური.<br>8. ფერი - თეთრი. |

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.*

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 11 აპრილიდან 13 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
2.1. იურიდიული პირებისათვის:
· *ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
· *ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
2.2. ფიზიკური პირებისათვის:
· *ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);*
· *ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);*
3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 10 აპრილის ჩათვლით;
5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133
6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96.

**სატენდერო კომისია**